

სივრცული სუბსტრუქტი



შედეგ ქოაქონსის სუბსტრუქტი

ძველი ბერძნულიდან თარგმნა, შესავალი და
შენიშვნები დაურთო ლიანა კვირიკაშვილმა



თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 1989

ტკბილად მოსაგონარ მოძღვარს
აკადემიკოს სიმონ ყაუხჩიშვილს
უძღვნი ამ თარგმანებს

Caro magistro a grata discipula

ორფიული და პროკლე დიადოხოსის საგალობლები პირ-
ველად ითარგმნა ძველბერძნულიდან ქართულ ენაზე. წიგნი
განკუთვნილია ანტიკური და შუა საუკუნეების კულტურის
სპეციალისტებისათვის, აგრეთვე მკითხველთა ფართო წრე-
სათვის.

თსუ „ბერძნულ-ლათინური ბიბლიოთეკის“ სარედაქციო კომისია:

ა. ალექსიძე, შ. აფაქიძე, ბ. ბრეგვაძე, რ. გორდეზიანი,
გ. კობლაძე (სწავლული მდივანი), გ. თევზაძე, რ. მიმინოშვი-
ლი, თ. ნოდია, ა. ურუშაძე (თავმჯდომარე), თ. ყაუხჩიშვილი,
შ. ძიძიგური.

რედაქტორი ა. ურუშაძე

რეცენზენტები: ვ. გვახარია, ი. გაგუა

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1989

4603020300

0 _____

m 608(06)-89

ISBN 5—511—00351—4

ორფიკუდი საბადობდები

მისტერიულმა მღუმარებამ დაბინდა ორფიკული საგალობლების სათავე, ბევრიც დარჩა იმ პოეტური ქმედებიდან გამოუთქმელი, ხოლო მითმა თუ ლეგენდამ შეუნახა თანამედროვეობას სახელი პომეროსამდელი ეპოქის პოეტის — ორფევსისა, რომლის დედაც მუზა იყო — კალიოპე, ხოლო მამად ზოგნი მდინარის ღმერთს — ეაგრეს — იტყვიან, ზოგნიც — აპოლონს. ორფევსის გალობანი საიდუმლო ღმრთის-მნახურებისათვის, მეტწილად ბაკური მემსხვერპლეობისათვის ითხზებოდა. მხოლოდ მოიხრების ორფიკული გალობის პოლოს არის ნათქვამი: „გასრულდა ესე მოიხრების გალობა, რომელი ორფევსმან შეთხზა“; მაგრამ ეს სტრიქონი შემდეგ უროინდელი დანართია დედანში.

პირველი ორფიკული კრებული პისისტრატეს დროს შეუდგენია ონოპაკრიტოსს. ამ საგალობლების ხელნაწერებს ევროპაში პირველად ჯ. აერისპა ახსენებს 1423 წელს (გ. ფოტმა დააუარია ეპისტოლე). პირველი გამოცემა განხორციელდა ფლორენციაში 1500 წელს.

ყოველი გალობის თავში მითითებულია, რა სახის მსხვერპლი (უთუოდ უსისხლო) შეიწირება: ყველაზე ხშირად საკმეველის გვერდით ნახსენებია სურნელი ბალახი. რა თქმა უნდა, თვით საგალობელიც მსხვერპლად იგულვება. იგი, ვითარცა ჭერ კიდევ რიტუალის წილი, დანიშნულია სულიერი განწმენდისათვის.

საკვირველად დატვირთულია ყოველი სიტყვა. გალობა არსებითად შედგება მისტერიული ღმერთების ეპითეტებისაგან, რომელთაგან თითოეული მითს ინახავს. ქმედების წილი ჭერ მეტად მცირეა, თუმცა, მეორე მხრივ, არქაული მაგიიდან კარგა დიდ დროს გაუვლია. როგორც მკვლევარნი აღნიშნავენ, თითო-ორჯო პირიანი ზმნა ოდენ მოქმედების

ტენ დენცი ახე იძლევა წარმოდგენას¹. ორფიკულ საგალობლებში ძლიერ არის განვითარებული ღმერთების შერწყმა, რომელიც სპეციალურად გამოიკვლიეს ნ. ი. ნოვოსადსკიმ² და სხვებმა. ღმერთები შეფარული სახელებით იხსენიებიან. რის გამოც რთულდება გალობის აღქმა. და მაინც ეს არსებითად პოეტური ძეგლებია. რომლებშიც მესაიდუმლოებად ხელთდასხმულნი საგანკებოდ ეფერებიან ღმერთებს და სთხოვენ ყოველ სიკეთეს, მათ შორის ჭანის სიმრთელესაც, რაც სავსებით ჩვეულებრივია მათთვის, ვინც იცნობს ეგვიპტურსა და სხვა ძველ აღმოსავლურ საარწმუნოებრივ შეხედულებებს. ორფიკული საგალობლების ენა უპირატესად *semel dicta*-თა, ანუ «ერთხელ ნათქვამთა» ენაა. მიუხედავად ამისა, ძველ ბერძნულ დიალექტებში ჩახედულთათვის ტექსტი იკითხება, კონიექტურებისაგან იცბრილება და თვალწინ იხსნება ის სამყარო, ათასწლეულზე მეტი ხნის შემდგომ რომ ჰიტყვა (ლოგოსი) აღაზევა ეგზოტერულ თეოლოგიაში და ერთარსება ღმერთის ჰიპოსტასად აქცია.

ღმერთთა გენეალოგიის გააზრება ორფიკულ საგალობლებში ქრონოლოგიურად დაშორებულია, უკეთ, ბევრად უსწრებს ორფიზმის როგორც ფილოსოფიური მოძღვრების სისტემატიზაციას. სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ეს სისტემატიზაცია ნეობლატონიკოსებს ეკუთვნის. ორფიზმის მიმართება პითაგორას, პლატონის და პროკლეს ფილოსოფიურ ხედვასთან დაწვრილებით განიხილება სპეციალურ გამოკვლევებში; შეძლებისდაგვარად ფავითვალისწინეთ ეს ასპექტებიც, რომ აღარაფერი ვთქვათ ფ. ხაილერის და კ. კეისნერის ფუძემდებლურ ნაშრომებზე ანტიკური ჰიმნოლოგიის სფეროში.

ჩვენ ორფიკული საგალობლების ტექსტს ვიკვლევდით

¹ იხ. Н. А. Рубцова, Гимническое обращение как жанрообразующий принцип (на материале «Илиады» Гомера, гомеровских гимнов, гимнов Каллимаха), Автореферат кандид. диссертации, Москва, 1983.

² Н. И. Новосадский, Орфические гимны, Варшава, 1900.

როგორც მხატვრულ ქმნილებებს. ცედილობდით არ გამოგვ-
რჩენოდა არცერთი სახეობრივი ნათქვამი, შეგვენარჩუნებო-
ნა თარგმანში დედნის „მკაცრი ლოცვითი“ განწყობილება,
როგორც მას (დედანს) ახასიათებენ, და ხელოვნების სიმალ-
ლე. ზოგჯერ ერთ სიტყვას მთელს ფრაზაში ვშლიდით და
ზეუსტად გადმოცემისათვის პოეტური პროზა ვარჩიეთ მკაცრ
მეტრს. ღამის, ცის, ვარსკვლავთა, მზის, მთვარის, ღრუბელ-
თა, ზღვის, დედამიწის, ხსოვნის, ცისკრის, ძილის, სიზმრის,
სიკვდილის ღმერთთა ბერძნული სახელები ტექსტებში ნა-
თარგმნი გვაქვს „ლაქედ“, „ცად“ და ა. შ. ვფიქრობდით, რომ
ამ გზით საგალობლებს უფრო ახლოს მოვიტანდით მკითხ-
ველთან. თარგმნისას ხელთ გვქონდა Orphei Initia, sive
Hymni sacri, სადაც ბერძნული ტექსტის პარალელურად
წარმოდგენილია ი. სკალიგერის ლათინური თარგმანი; მთელ
წიგნს ჰქვია Orphei Argonautica, Hymni, Libellus de la-
pidibus (რომლის მეცნიერული აპარატის შექმნაში, ჰ. სტე-
ფანუსისგან მოყოლებული, რამდენიმე თაობას მიუღია მონ-
აწილეობა), Lipsiae, 1764. ჰეკატეს გალობა აქ, ტრადიცი-
ისამებრ, ერთვის შესავალ „ლოცვას მუსეოსის მესაიდუმ-
ლოედ ხელთდასასხმელად“. ასე რომ სულ ოთხმოცდაექვსი
გალობაა. შდრ. Orphicorum fragmenta, ed. O. Kern, 1922
(1), 1963 (2).

ქართული თარგმანი შედარებულია ინგლისურთან: Orpheus, The Mystical Hymns, translated from the Creek by Th. Taylor, London, 1896; შედარებულია აგრეთვე გერმანულ თარგმანთან: Orpheus, Altgriechische Mysteriengesänge, aus dem Urtext übertragen u. erlaut von J. O. Plassmann, Jena, 1928. განსხვავებული ან საექვეო იკითხვისები აღნიშნულია სქოლიოებში. ორიოდ გალობა გადმოდებულია რუსულად; უკრაინული თარგმანიც არსებობს. ამას გარდა, მოგვეპოვება „ორფიკული არგონავტიკის“ ქართული თარგმანი, შესრულე-

ბული დედნიდან ნ. მელაშვილის მიერ (1977 წელს გამოცა
ა. ურუშაძის რედაქციით).

მადლობას მოვახსენებთ ყველას. ვინც რაიმე დახმარება
აღმოგვიჩინა წიგნის მომზადებისას. განსაკუთრებით პროფ.
ა. ურუშაძეს, რომელმაც თარგმანის ტექსტში ზოგიერთი
მნიშვნელოვანი შესწორება შეიტანა.

ლოცვა მუსეოსის¹ მესაიდუმლოედ ხელთდასახსმელად

- რწერთადე წმინდა მემსხვერპლეობას², ჰოი, მუსეოს.
ლოცვას. რომელი სხვათა უფროის ილადადება.
ზეესო მეუფევ, მიწავ და ზეცის წმინდა ჩირაღნო,
მზისა და მთვარის საღმრთო ნათებაჲ და ვარსკვლავებო,
5 შენ. პოსეიდონ, ლაქვარდი თმით რომ ევლები მიწას,
ნაყოფ-მწყაზარო დემეტრავ წმინდა პერსეფონეთურთ
და არტემიდაჲ, ისრვით მოლხინევ, ელვარე ფებოს,
საუფლო დელფოს რომელი სახლობ. ო, დიონისე,
პატივმოსილო ნეტართა შორის და მეფერბულეჲ,
10 სულთ ძლიერო არეს, ჰეფესტოს წმინდა რისხებაჲ,
ზღვის ქათმა რომ გშვა, დედფალო, განთქმულ-საბოძკრიანო,
შენ. მეუფეო მიწისქვეშეთის, დიდო ღმრთეებაჲ,
ქებევ და მასთან ეილითიაჲ. ჰერაკლეს ძალო
და მეოხებაჲ დიკეოსინეს, ევსეპიააჲ:
15 ჰე ვუხმობ ნიმფებს სახელოანებს, პანს უდიადესს,
პერას, ფაროსან ზეცისს ნებიერ თანაჲეცხედრეს,
და მნემოსინეს სანდომოს, ვუხმობ ცხრა წმინდა მეზას,
ქარიტებს, ჰორებს და წელიწდეულს [სულსაც ვეზრახვი],
ნაწნაჲშენიერ საუფლო ლეტოს, ნანარ დიონეს,

¹ ბერძენი სქოლიასტის ცნობით, მუსეოსი იყო მთვარის და ეგმოლოსის ჩამომავალ. მისგან თხზული „საიდუმლო მსახურებანი“ (ანუ მისტერიები) იხსენიება პლატონთან და სხვა ავტორებთან. შეუთხზავს აგრეთვე *Παρθένους* თუ *Καταξίσεις* და *Καθάρμοι* («ხსნანი» და «განწმენდანი»).

² ბიზანტიურ-ქართული დოკუმენტარებული ლექსიკონის მასალების მიხედვით, „მესაიდუმლოება“ და „მემსხვერპლეობა“ მისტრიური ღმრთისმსახურების შესატყვისაა, „მესაიდუმლოე“ და „მემსხვერპლე“ მისტრა და ა. შ.

- 20 ძლიერ კურეტებს და კორიბანტებს და კაბეირებს
და დიდთა მხსნელთა მათთან, ზევესის უხრწნელ მონაგარს,
იღველ ღმერთებს და ზეციერთა ანგელოზს — ჰერმესს,
ღმერთების ქადაგს, და წმინდამბილველს კაცთა — თემიდას,
მე ვულადადებ უხუცესს ღმერთს და დღეს ნათლიერს,
- 25 პისტისს და დიკესს, სრულად უმწიკვლო რჯულის დამღებელს,
რეას და კრონოსს, ტეთისს, შემოსილს ლურჯი პეპლოსით,
დიდ ოკეანეს ასულთა თანა ოკეანისთა,
ატლანტისა და ეონის დიად ძალს ზესთა რჩეულს,
მარადლე მედინს ქრონოსს და სტიქსის წყალთა
მბრწყინვალეთ,
- 30 ლობიერ ღმერთებს და მათვე ზედა კეთილ განგებას,
დემონს უწმინდესს და სიავესაც მოკვდავთა — დემონს,
დემონებს ცათა, ჰაერისა და წყლების წიაღის
და დედაშიწის, ქვესკნელისა და ცეცხლის მორბედთა,
[მთვარეს —] სემელესს, ბაკხუსის თანა კეთილ მნათობთა,
35 ინოს, პალემონს, მქმნელს ბედიანად, და ლევკოთეას,
ამოდ მესიტყვე ნიკესს, ხელმწიფე ადრესტიას
და ასკლეპიოსს — მას დიდ მეუფეს დამამებელს.
და ბრძოლად აღმძვრელს ქალწულ პალადას, ქართა, ქუხილთა,
სოფლის, ოთხ სვეტზე დასაყდრებულის, წილთა ვუგალობ,
40 დედას ვეზრახვი უკვდავთა, ატისს, მასთან მთოვარეს,
ზეციერ დედფალს, და უხრწნელსა და წმინდა ადონისს,
საწყისს და ბოლოს, ვინათგან ესე ყოვლისადა ჰგიესს,
ო, სასიკეთოდ მოსლვად ვეზრახვი -- გულით ხარებულთ,
მემსხვერპლეთის წმინდა წესის და საღმრთო მკვრევითვის.
45 პეკატეს ვაქებ, გზის შესაყართა შევნიერ დედფალს.
ცის, მიწის, ზღვისას, შემკულს პეპლოსით ზაფრანისფერით,
და ტიმბიდიას¹, მკვდრის სულებს შორის ბაკხურად
შეშლილს,
პერსიას², ძალთა მონადირეთა საშინელ დედფალს,

¹ ტიმბიდიო დაკრძალვის დედფალია. შდრ. ლიბიტინა. იხ. აგრეთვე 71-ე ორფიკული გალობა.

² არტემიდას სახელია საიდუმლო ღმრთისმსახურებისთვის.

ხარებით მსრბოლს¹ და სოფლის ხელმწიფე მდედრს,
 კლიტემპყრობელს,
 50 წინამძღვარს, ნიმფას, ყრმათა გამომზრდელს, დამლახველს
 მათათა;
 აწ საიდუმლო კურთხევას ქალწულს ვვედრებ საოხად. —
 მწყემსს რომ კეთილად შეეწევა და მარადღე ხარობს.

პ რ ო თ ი რ ა ი ა ს ა ლ მ ი ²

(1)

[შეიწირება] საკმეველი და „ხის რძე სულნელი“³.

მომაყურე, დედფალო დიად წმინდაო, სახელმწიფალო
 ღმრთეებო, საღმობიერთა მწევ და მელოგინეთა ამო სამზე-
 რო; მდედრთა მაცხოვარო, მხოლოო ყრმათმეტრფეო. გულ-
 ღმობიერო, სწრაფად მეშვედ მქმნელო, ყმაწვილთა თანა მყო-
 5 ფო მოკვდავთა, პროთირაია [კარიბჭისა ხარ]. | კლიტემპქონე-
 ბელო, კეთილად რომელ მიეგებვი, მადლიერო, ყოველთათ-
 ვის საამებელო. რომელს გიპყრია სახლნი ყოველთა და საქორ-
 წინო ნადიმით რომელ განიხარებ, სარტყლის განმხსნელო⁴ და
 უხილავო, ყოველი საქმით ვინ იხილვები, თანაგელმის სატკივა-
 რი და სუბუქი მშობიარობით განიხარებ. ეილეითია, დამხსნელო
 შრომათაგან, [რომელნი აღინდებიან] საშინელი უცილობლო-
 10 ბით; | ვინათგან შენ, მხოლოს, გიხმობენ მშობიარენი, სიმშვი-
 დეო სულის. შენში არს მწუხარება საღმობათა მეშვეობითთა
 დავიწყებისა⁵. ო. არტემიდა ეილეითია და წმინდაო პროთი-
 რაია [კარიბჭისაო]. ყური მომაპყარ, ნეტარო, და მომეც შვი-
 ლი შემწემან და მიხსენ, ვითარცა ჰშვედი მარადღე — შენ, მა-
 ცხოვარი სრულად ყოველთა.

¹ არტემიდას ეპითეტია.

² კარიბჭის დედფალის სახელია; ზოგნი არტემიდას ეპითეტად მიიხნევენ, ზოგნი — ქეკატესად.

³ ასე განმარტავს საბა „სტურაკს“.

⁴ იგულისხმება ქალწულისა.

⁵ ვიღვბო კონიექტურას: *λαψιπύμορες* (ნაცვლად *λυσιπύμορες-ისა*) *ἀρία*.

[შეიწირება] საკმეველი და მუგუზლები.

მე ვუგალობებ ღამეს, ღმერთთა და ადამიანთა დამნაღებელს. ღამევ, დაბადება [ხარ] ყოველთა, შენ, რომელს კვიპრისისაც გიხმობთ. მომაპყარ ეგე სასმენელი, ნეტარო დედფალო, მრუმე ლურჯფერად მოლაპლაპევ. ვარსკვლავ-ნათელი, სიწყნარით და ღრმად მიძინების სიჩუმით ხარებულო; სიამტკბილობაო, მეტრფეო იმის, რომ გათევენ, საზმართ დედაო. საზრუნავის დამავიწყებულო კეთილო, შრომათაგან დამბნელო და განმაცსრომელო; ძალს მიმცემო, სანოომოო ყოველთა, რაშების გადამრეკელო, დამის ნათელი¹, ნაზეკრად სრულო², მიწისაო და ცისაო კვალად, მრგვლიად მოსაქცეველო. რომელი ჰლადობ ჰაერის-მორბედ მფრინველთა თანა და ორმელი ნათელს ქვესკნელს წარგზავნი და კვალად მიიღტვი ჰადესს; ვინათგან საშინელი გარდუვალობის ძალს უბყრია ყოველი. აწ, ნეტარო ღამევ. ყოლად ბედნიერო, ყოველთათვის სანდომოო. ღმობიერო სიკეთით, ვინ ყურად იღებ სიტყვათა სალოცავსა და ჰავედრებელ ბგერებას, — ნიზვიდოდე, მოწყალეო, და ნათლისაგან ჩრდილთა ძლევის (?) შერსაც განგვარიდებდე³.

უ რ ა ნ ი ს ი ს ა ლ მ ი

[შეიწირება] საკმეველი და ღიბანონი.

ცაო, ყოველთა დამბადებულო, ქვეყნიერების წილო, აღუფხვრელო საუკუნოდ, დაბადებით უბუტესო. დასაბამო ყოველთაო და ყოველთავე დასასრულო, სამყაროო. [ხარ]

¹ დედანში არის: *νυχθυρις*.

² *ἡμυελή* ასევეა თარგმნილი გერმანულად.

³ *φθονος δ' ἀποταμωσ υψαιουειν* ანგლისურ თარგმანში იკრძება: ბნდის საშინელი ჩრდილის შიშს განაქარებდეს. გერმანულ თარგმანში სწერია: განაგდე შიშის ხატები, რომლებიც ბრწყინავენ სიბნელეში.

მამი, რომელი მრგვლიად შემოევლები დედამიწას, საზლო
 ლქერთა: ნეტართაო, ქარბორბალებით მავლო, | ცისა და
 მიწის მეციხოვნეო. ყოველთა ზღუდედ ქმნულო, რომელს
 მკერდში გიბს ბუნების დაუთმენელი გარდუვალობა; ფერი
 შენი სხეულისა— მრუმე ლურჯფერი. დაუოკებელო, ყოლად
 მოსწრაფეო. პირად ელვარეო, ყოვლის მხილველო, ვისად
 წულად კრონოსი ჰვიეს. ნეტარო ღმრთეებავ ყოლად უხეშ-
 თაესო. — მომავურე. რომელი შოიღებ ღირს სიცოცხლეს აბ-
 ლისად მესაიღუმლოისად.

ე თ ე რ ი ს ა დ შ ი

(4)

[შეიწირება] საკმეველი და ზაფრანა.

შენ. ვის ზევისს მალად სამყოფო ძალი გიძს, აღუფხვ-
 რელი საუკუნოდ, ვარსკვლავების და ჰზისა და მთვარის
 წილო, ყოლად დამაცხრომელო, ცეცხლით მფშვინავო, ყო-
 ველთა სულდვშულათვის ცეცხლის კვალო, მალად ჩენი-
 ლო ეთერო, ქვეყნიერების კავშირო ურჩეულესო, | რტოვ
 შვენიერო და ნათლიერო. ვარსკვლავთა ნათლის მქონებე-
 ლო, — გიბმობ და ვლოცულობ შენდა, რათა მშვიდად სა-
 ზომელად მექმნებოდე !.

პ რ ო ტ ო გ ო ნ ო ს ი ს ა დ შ ი ²

(5)

[შეიწირება] საკმეველი და ზმური.

დიდ პროტოგონოსს, ორბუნებოვანს³, ვუხმობ. რომელი
 ეთერში იძრვის, — კვერცხითგან შობილი, ოქროვანი ფრთე-

დედანში არის: *αεραεικτισον εμβριον ειςου*. ინგლისური თარგმანი შორ-
 დედანს, ასევე გერმანული: მაჩვენე შენი ნათელი სახე.

ორფიკულ მოძღვრებაში პროტოგონოსი (ჰირველშობილია, ჰპირშშოა)
 ება ეთერის ძედ, ამიტომ მოსდევსო მისი გალობა ეთერისას.

ორბუნებოვანება ეროსთან არის დაკავშირებული, როგორც სქოლიასტები
 თებენ (H. 57,4 და Argon. 14).

ბით მორთული, ხარსავით მყვირალი, რომელ არს აგებადი
 ნეტართა და მოკვდავთა კაცთა, მრავლის მხსოვნელი და ორ-
 5 გიამრავალი, ერიკეპეოსი¹, | გამოუთქმელი, დაფარული,
 მსტვინავი, ყოლად ნათელი ნატამალი; რომელმან ხმათა მრუ-
 მე ბნელი, მრთელს სამყაროში მოზღვაკებული, განაბნიე
 ფრთეთა შხივილით; ბრწყინვალის ნათლის წმინდისა მომყვ-
 ნებლო, რომლის გამოისობით შენ [ნათელს] ფანესს გილა-
 ლადებ, ანუ პრიეპოს ხელშწიფეს, [წმინდა მებაღეს,] ანუ
 10 ელვარების ათინათს თვალმრგვალს. | ხოლო, ნეტარო, დიად
 გონებიერო და დიად თესლის გამომღებლო, მოედ საზა-
 რულევანი წმინდა მსახურებად ათასნაირად, მემსხვერპ-
 ლეობის და მესაიდუმლოეობის მთავართა თანა.

მ ა რ ს კ ვ ლ ა ვ თ ა დ მ ი

(6)

[შეიწირება] საკმეველი და სურნელი ბალახი.

მე შევღაღადებ ცის ვარსკვლავების უწმინდეს ნათელს
 და ყოლად წმინდა ბგერებით ვუხმობ ღმრთეებათა, რომელ-
 ნი გზას წარგვიმართებენ: ცის ვარსკვლავებო, სანდომო
 5 ზვილნო შეის ღამისანო, რომელნი მრგვლიად გარემოქცე-
 ვით საყდრის შემოგარენს შემოეველებით, | რომელნი ჰგიეთ
 სხივიერნი და ცეცხლშემოსილნი და მარადღე ჰბადებთ ყო-
 ველთა; ბედისწერისანო, განჩინებულს ყოველსავე ჰნიშნავთ
 და ამცნებთ; ვინ მიუყვებით მოკვდავთა კაცთა საღმრთო
 ბილიკებს, ყურისმგდებელნო შეიღნათელ სარტყელთა, ჰაე-
 რის იძრვისნო ცისა და მიწისანო, ცეცხლის-მორბედნო და
 10 მარადღე მყარნო. | სრულ გილაპლაპებთ ღამეული ეგე მრუ-
 მე პეპლოსი. ბრწყინვალედ შეენიერნო, საზარულევანნო,
 შუალამისანო, მოედით ყოლად წმინდა საიდუმლო მსახურე-
 ბის ფრიად ბრძნულთა ღვაწლთათვის, — რომელნი დიდად
 განთქმული საქმეებით გამორჩეულად სრბას აღასრულებთ.

¹ 'Houze iatis ორფიკული ღმერთია, რომელიც *Μηνης* -ადაც ითქმის და *Φάτης*-ადაც: GP'FH.

[შეიწირება] საკმეველი და ლიბანონ-მანანა.

მოიხილე და მომაყურე, ნეტარო, ვის საუკუნო გქონან თვალნი, ყოვლის მხილველნი. ტიტანო ოქროელვარევე და მალად მავალო, ნათელო ცისავე, თვით-აღმცენარევე. დაუღლელო¹, ცოცხალთა ამო სახედ სამზერო, მარჯვენაო დამბადებელო დილეულ ნათლის და მარცხენაო — ერთკერძო და-

5 მ-ს. | შემზავებელო ჟამთაო, რაშთა ფერხით მეფერხულე² [ნარ]. კეთილად მორბეულო, გრვეინვით მსრბოლო, ცეცხლ-შემოსილო, საბედველში რომ გაქვს ხარება, საეტლოო, სრულ უსამანო სიმრგვლის (ჰნჰჰთ) გზაზედ რომელი სტრი-

10 ალებ: კეთილდმსაარებელთათვის თანამავალად საღალადებელი, ხოლო მწიკვლევეანთათვის თავაწყვეტილად მრისხანე ხარ; შენ ოქროსი გიპყრია ქნარი, მრთელი სოფლის თანახვიერად შენაწვევრებულ სავალს მიიკვლევე, | კეთილ საქმეთა მანიშნებელო, ყრმაო ნერგო დარისაო, ქვეყნიერების განმგებელო, მესალაშურევე, ცეცხლის მორბელო, სიმრგვლედ მოქცეულო, ნათლის მქონებელო, მეეტლეო განმაცხოვლებელო, ნაყოფიანო. მკურნებელო, მოლაპლაპევე, უმანკოო, დრო-

15 ის კიდევ, უხრწნელო ზევსო, სიწყნარით ჰგიე, ყოლად ნათელო; მრთელი ქვეყნის თვალო, მრგვლიად მავალო, | ნათელო, რომელი იზრიტები და სხივშეენიერად მბრწყინვალე ხარ; სამართალის გამომეძიებელო, ნაკადულის მეტრფეო, ქვეყნიერების უფალო მამრო, რწმენის მეუნჯეო, სამარადლეოდ ყოლად უზესთაესო, ყოველთათვის მწვევ და მეოხზო, თვალო სამართალისაო, სიკოცხლის ნათელო, მხედარო, ქვითინით ქმნულსა საწერტელსა და გვემასა თანა ოთხრაშიან ეტლს

20 რომელ მიპრეკ, | ყურად ილე სიტყვანი ესე და საამებელი ცხორება მემსხვერპლეთა და მესაიდუმლოეთა უჩვენე გაცხადებულად.

¹ შდრ. ქართული წარმართული ფიციის ფორმულა: დაღლილი მზის მადლმა.

² ἄεθραβδμοσι πησσι χορῆσθω.

[შეიწირება] საკმეველი და სურნელი ბალახი.

მომაპყარ ყური, ხელმწიფეო დედფალო, ნათლიერო, ღვთიანო სელენევ, ხარისრქიანო მთოვარეო, ღამის მორბედო, წყვდიადში მრონინეო, ღამეულო, ჩირადის მპყრობელო¹, უნათლესი ნათლით მბრწყინვალე ქალწულო. მთოვარეო, რომელი ბადრზე მოღვები და იკლებ რომელი, მდედრო და მამრო, | ელვარეო, რაშთა მეტრფეო. დროის დედავ, ნაყოფის მომკებელო, მნათობო, სულმძიმე მწუხარეო, ნათლის გამომღებელო, ღამისაო, ყოვლის მხილველო, ღამისთევის მეტრფეო, შვენიერი ვარსკვლავებით ხომრიელო, სიწყნარიო ხარებულო და ნეტარების წილხედომით ნააშებო, ნათლის მთოველო, სიხარულის მომღებელო, აღვსებადო, ღამის ალაღვავ და ქანდაყო, | ვარსკვლავთმთავარო, გრძელი პეპლოსით შემოსილო, მრგვლიად მავალო, ყოლად ბრძენო ქალწულო; მოედ, ნეტარო, სახარულევანო, მნათობკეთილო, შენის ნათლით მბრწყინვალეო, მავედრებელთა შენთა რომელ შეიფარებ.

ბ უ ნ ე ბ ი ს ა ლ შ ი

(9)

[შეიწირება] საკმეველი და სურნელი ბალახი.

ო, ბუნებაო, ყოლად დედაო დედფალო და ბევრის მომგონებელო დედაო, ციერო², უხუცესო, ყოვლის მთხზველო, ღმრთებელო ხელმწიფეო, ყოველს რომელ დაიმორჩილებ, დაუთრგუნველო, წარმმართველო, ყოლად მბრწყინვალეო, ყოვლის მპყრობელო, პატივშემოსილო, ყოლად უზესთაესო,

¹ ბამბიჯაჲ იყო ეურუმბი, რომელსაც ელენისნის საიდუმლო ღმრთისმსახურებაში მსხვერპლშეწირვის დროს ეპყრა ჩირადი.

² იხილეთ ა-ს ვიღებთ, და არა ჭკარა-ს.

5 | უხარწნელო, პირმშოთ, ძველად თქმულო¹, მამრთა მადიდებელი შუალამისაო, ვარსკვლავმდიდარო, ნათლის მქონებელი, ძლივსა დასაკავებელი, რომელი ფერხთა კვალს უხმაუროს ტერფებით გარე შემოევლები; წმინდაო ღმერთთა შემაჰკობელი და უსასრულო სრულქმნაო, ზიარო ყოველთათვის და უზიარებელი მხოლოო; | თვითმეშვეო, უმამო, სახიერებაო უაღრესო დიად სახარულევანო; ყვავილკეთილო თხზულო, სიყვარულო, მრავალშეზავებულო. წურთნილო; წინამძღვარო, მბრძანებელი, სიკაცხლის მოპტანო. ყოლად გაძელო ქალწულო, თვითმყოფო, სამართალო, ქარიტების სახელმრავალო [მინდობაო] პეითო, ეთეროვანო, მიწისაო

10 და ზღვის მფარველო. | მკაცრი და სატკივრიანი [ხარ] ავთათვის, ხოლო წმინდობთა მიმართ — ტუბილი; ყოლად ბრძენო, ყოვლის მბოძებელი, შესაწირავიანო², ყოლად ხელმწიფეო მდებრო; გამოსახრდელთა მპოხელი და მოწიფულთა დაძმნელი. შენ — ყოველთა მამა, დედა, მზრდელი და მაწოვარი, მოსწრაფე მეშვე, ნეტრეული, თესლმდიდარი,

20 რომელი ჰსახავ [საგანთა], ლტოლვაი ძლიერი; | ო, ყოლად ოსტატო, შემოქმედო, ყოვლის მთხზველო, დედუფალო ღმრთეებო, სამარადლეო, მძრველო, ბევრის განმცდელი, მრთლად გონიერო, მარადლე რომელ ქართა ქროლებით უსწრაფესთა ნიღვართა მოაქევე; ყოლად მეღინო, მრგვლიად მოყვანილო და სრულ სხვა სახის მქონებელი; საყდარსა ზედა მჭლოპარეო, პატივოსანო, მხოლოო განრჩეულისა განმასრულებელი, | კვერთხის მპყრობელთაგანო ზესთა, მძლავრად მგრგვინავო და ყოველთა უმეტეს ძლიერო. უშიშო, ყოველთა დამპორჩილებელი მდებრო, განჩინებულო ბედისწერაო, ცეცხლის მწქრეველო. საუკუნო ცხორება და უკვდავი განგება — ყოველი შენად ჰვიეს, ვინათგან ყოველ-

¹ დედანში არის *αἰδύλα*. ინგლ. თარგმანში: მარად ღვთაებულად, გერმანულში: ძველთაგან განთქმული.

² დედანში: *καμύσεια*. ინგლისურში: ფრთხილო და წინდახედულო. გერმანულში: შემწირველო.

სა ამას მხოლოდ აღაგებ. ოლონდ, დედფალო, ელოცულობ
შენდამო, ჟამთა შინა | მშვიდობა და ჯანის სიმრთელე სეე-
30 კეთილთა თანა მომეც და ყოველთა ზესთა მყოფობა.

პ ა ნ ი ს ა ლ მ ი

(10)

[შეიწირება] საკმეველი და ნაირი სურნელი.

პანს ვუბნობ ძლიერს, ხვასტაგიანს, ქვეყნიერების ყოვ-
ლაღობას, ცასა და ზღვას და მიწის შიგანს ყოლად სასაყდ-
როს და ცეცხლსა მას უკედავს, ვინათგან პანისანი არიან
ნაწევარნი და ნასბამნი ესე. მოვედ, ნეტარო, მეფერხულევ
5 და მრგვლიად მსრბოლო, თანაჟოსაყდრეო პორათა; | თხიე-
რად მოსაქცევთა¹ ზედა მზრუნველო, ბაკხელო, მეტრფეო
ღმრთიე აღძრულთა, დამე წინამძღვარო², ქვეყნიერების პარმო-
ნიას და შენაწვერებულეებას რომელი იქმ ძალთსაცემელით [და
იტყვი] შესაქცევ გალობას; ოცნებათა მეოხო, მოკვდავთა
შიშით საშინელო; ხარებულო მით, რომელ წყაროებს აღმა
აუყუვები თხიერად მოსაქცევთა საბალახოებზე, და მენრებვის-
განაც [ხარებულო], ნათელმხილველო, მონადირეო, ექოს
10 მეტრფეო და ფერიების თანაჟოდასეო, | ყოველთა მორჩი
[ხარ] და მეშვე ყოველთა, სახელმრავალო ღმრთეებაო;
[მრთელი] ქვეყნიერების მპყრობელო, განმზრდელო, ნათ-
ლის მქონებელო, ნაყოფიანო, მკურნებელო, მღვიმესა ში-
გან ხარებულო, მძიმედ მრისხებელო, ჭეშმარიტი ზევსი [ხარ]
წყვილქადასხმული; ვინათგან შენთვის შემოუწერელი დე-
დაძიწა დამყარებულ არს, შენვე გეკუთვნის ზღვის დაუღლე-
15 ლის ღრმად დათესული წყალი | და ოკეანე, მრგვლიად რო-
მელ წყლით დედაძიწას შემოევლეება, და საზრდელად პაე-
რის წილი მიმხვდარი. ცოცხალთათვის ცეცხლის ნატამალო
დაშთენილო და მწვერვალითგან ზეგარდმო მყოფო უსუბუ-

¹ „თხათა“ ევფემიასთან გვაქვს საქმე.

² დედანში: ძოჲფითაი:ჯ. ვემყარებით GPH- ის განმარტებას.

ქესი ცეცხლის ნასახო, ვინათგან ჰგიეს ღმრთეებრივი ესე
ნათხზენი ნებითა შენით; ყოველთა ბუნებისა ფერისმცვალე-
20 ბელი ხარ შენი განგებით, | დაჰმწყსი კაცთა ნათესავს შემო-
უწერელ სოფელსა შინა. ოლონდ, ნეტარო, ბაქხელო, მეტრ-
ფეო, ღმრთივ აღძრულო, მოვედ კეთილი სიწმინდის მკერე-
ვად და ცხორების კეთილი ბოლო მოგვანიჭე და შენეული
განაგღე სიშმაგე დედამიწის კიდეთა კერძო.

ჰერაკლესადმი

(11)

[შეიწირება] საკმეველი და ლიბანონი.

ჰერაკლე, სულმტკიცეო, დიად ახოვანო, ძლიერო ტიტა-
ნო¹, საშინელი ძალი გიძს ხელში, დაუმცხრალო, საგმირო
ღვაწლით შემოსილო, ათასნაირო, მამავ ღროის საუკუნოო,
კეთილგონებიერო, გამოუთქმელო, გულფიცხელო. სრულ
5 სალოცავო, ყოვლის შემძლებელო, | ყოლად ძლიერი გულის
მქონებელო, მომრთხმელო მშვილდის, წინასწარმეტყველო,
ყოვლის შთამნთქმელო, ყოვლის დამბადებელო, ყოველთა
ზესთა მყოფო და ყოველთავე მეოხო, რომელმან მოკვდავთა-
თვის განისვენე და ველური თესლტომი ოტებულ ჰყავ, [ვი-
ნათგან] მშვიდობა იგსუროდა, ყმაწვილთა მეძუძური და
მბრწყინვალედ სადიდებელი; თვითბუნება [ხარ], მუხლჩაუხ-
10 რელი, დედამიწის აღმცენარე ახოვანი. | შენ პირშოთათვის
ელვარე ჰქმენ ქერქლის პერანგი, რომელი განთქმული ჰგიე,
თხემით მოგაქვს ცისკარი და შავი ღამე²; აღმოსავალით
ვიდრე დასავალამდე ათორმეტ-გზის იღვწი, უკვდავთათვის
მრავალგადანახადი, უსახლერო და შეურყეველი. მოედ, ნე-
ტარო, სნებისა და სატკივრის ყოვლითურთ დამაამებელი,

¹ სქოლიასტი შენიშნავს, რომ ტიტანი ჰერაკლესია, ხოლო თითქმის მთელი საგალობლის მანძილზე იგი მზედ იგულებება.

² იხ. ლ. ალექსიძე, ორფიკული დრო; ახალგაზრდა ფილოსოფოსთა პრობლემური სემინარის სესიის მასალები, თბ., 1984, გვ. 23.

- 15 | ბორცოთა ცთომათა და უგნურებათა განმდევნელი, ხელით
რტოს მოარხვედღე, ხოლო ფრთველთა ისრისმტყორცნელთა
მიავებდღე მძიმე გარდასავალს.

კ რ ო ნ ო ს ი ს ა დ მ ი

(12)

[შეიწირება] საკმეველი და „ხის რქე სულნელი“.

- აღყვავებულს მარადღე მამავ ნეტარ ღმერთთა და ადამიანთა, ბრძენო და ბევრზრახვაო, უმწიკვლოო, დიად ძლიერო და მხნეო ტიტანო, რომელი ყოლად მიღეულ-ჰყოფ¹ და კვალადვე ჰმატებ, რომელს საკრველნი გამოუთქმელნი გაქვს
- 5 უსაზღვრო სამყაროსა; | ო, კრონოს, საუკუნის დამბადებელი, კრონოს, ბრძენო და ნაირსიტყვაო; მიწისა და ვარსკვლავიანი ცის აღმცენარევე, საწყისო და სახეო ნაკლებთათვის, რეას მეუღლეო, წმინდა პრომეთევე, რომელი ჰგიე [მრთელი] სამყაროს ყოველ ნაწილში, მთავარო ტომის აზრ-მოქნილო და ახოვანო; ყურადმღებელო ხმათა სავედრებელ-
- 10 თა, | ნეტარძი მოიღებდღე სვეკეთილს ბოლოს ცხორებისას, საუკუნოდ უყვედრელს.

რ ე ა ს ა დ მ ი

(13)

[შეიწირება] საკმეველი და სურნელი ბალახი.

ო, ხელმწიფეო რეა, ასულო მრავალსახე პროტოგონოსის², საკრველს ეწევი იმ წმინდა ურმის-თვალთა, რომელს ბარნი ეზიდებიან; უკრავ ბობლანთა, გარდაარეულად აღტაცებულს, ქალწულს, სპილენძს რომელ ახმიანებ, [დედაო ზევ-

¹ დედანში არის: *მ.ა.ა.ა.ა.ა.* ინგლ. თარგმანში: რომელს გეკუთვნის მატება და კლება.

² ორფიკული სახელია; ლათინურად თარგმნიან: *primigenitus*.

სის. მეუფისა, ოლიმპიელის მის, ფაროსანის,]¹ ყოლად პა-
ტივით შემოსილო და ჰაეროვანო, თანამეცხედრევე ნეტარო
5 კრონოსის; | ვინ მთაში ჰლალობ და მოკვდაეთა საზარი ხშია-
ნობით [განიზარებ]; ყოლად ხელმწიფეო რეა. ბრძოლის
ყიჟინით აღლაღებულო, ძლიერო სულით; მაცთურო მაცხოვ-
ნებელო და მხსნელო, მთავარო გვარტომისაო; დედაო ღმერ-
თთა და მოკვდაეთა კაცთა, ვინათგან მიწაც და ვრცელი ცაც
ზეგარდამო შენ გამოით ჰგიეს, მასთან ზღვაცა და მონაბერიც.
10 ო სრბის მეტრეო², ჰაერის სახევე, | მოედ მაცხოვრად,
ნეტარო ღმერთქალო, ზრახვით კეთილგონიერით, მშვიდობა
მოგვიტანე საცხოვრებლითურთ ბედიანით, ხოლო მწინკულე-
ვანება და უბედურება [შორს] წარავლინე კიდისა მიმართ
დედამიწისა.

ზ ე ვ ს ი ს ა დ მ ი

(14)

[შეიწირება] საკმეველი და „ხის რქე სულნელი“.

ო, ზევსო დიად პატივოსანო, ზევსო უხრწნელო, წამებას
ამას სამაცხოვაროს შენდამი ვწამებთ, თანავე ლოცვას. მეუ-
ფეო, თავით გამო შენით სუბუქად განცხადდა ესე: მიწა,
რომელ არს დედა დედფალი, მთათა მალლად ბგერადი სიმაღ-
5 ლეები | და ზღვა და ყოველი, რაიც ცის მიერ მისსავ წიაღში
ვანგებულ არს. ზევსო კრონიოს, სკიპტრის მპყრობელო, რო-
მელი იქმ ქუხილსა და მეხისტეხას, სულით ძლიერო, ყოლად
მეშეო, საწყისი ყოველთა და ყოველთავე დასასარული
[ხარ]. ქვეყნის ძრვის ძალო, რომელი ჰზრდი და ნაყოფიე-
რად შეიქმ, წმინდა-მყოფელო, ყოვლის შემძრველო, ელვი-
10 ნო, ქუხილიანო, გრგვინიანიო, გამდელო ზევსო. | მომაყურე,

¹ ეს ტაეპი, ისე როგორც სხვანი, რომელთაც კვადრატულ ფრჩხილებში ვა-
თავსებთ (მხოლოდ მთელ ტაეპებზეა ლაპარაკი), ბერძნულ დედანშივე გახლავთ
აღდგენაო.

² „...φειδόμενος“ საუთრად რეას ეპითეტია.

ათასნაირი, და მოიღე ჯანის სიმრთელე უყვედრელი და დედ-
ფალი ეირენე და სიუხვი¹ დიდება უძრახველი.

ჰ მ რ ა ს ა ლ მ ი

(15)

[შეიწირება] საკმეველი და სურნელი ბალახი.

მრუმე ლურჯფერსა წიაღსა შინა დამყარებულო, ჰაერის
სახეო, ჰერა, ყოლად უფალო დედაო, ნეტარო თანამეცხედ-
რეო ზევსის, სულის საზრდელი ნიაგის საამებელის მნჭრევე-
ლო მოკვდავთათვის, ძლიერთა წვიმათა და ქართა გამდელი,
5 ყოველთა დამხადებელი, — | ვინათგან გარეშე შენსა სრუ-
ლიად არაა [არსთაგანმან] აგრძნა სიცოცხლის ბუნება; ვი-
ნათგან ეზიარები ყოველთა, სრულ შეზავებული წმინდად
და პატივით; ვინათგან ყოველთა უძლიერესი ხარ მხოლო და
ყოველთა ზედა ჰმბრძანებლო, დილეული სტვიწვით რხეუ-
ლო ნაკადულსა ზედა. ოლონდ, ნეტარო დედფალო, სახელ-
10 მრავალო, ყოლად უფალო დედაო, | ნეტარ მოხვიდოდე,
მწყალობელი და მონდობილი, პირად შევნიერი და ხარებიანი.

პ ო ს ე ი ლ ო ნ ი ს ა ლ მ ი

(16)

[შეიწირება] საკმეველი და ზმური.

მომაყურე, პოსეიდაონ, დედამიწის მპყრობელო და მრუ-
მე ლურჯფერ თმიანო, რაშებიანო¹, ხელთ გაქვს სამკაპი,
სპილენძისაგან წახნაგებული, შენ, რომელ ჰვიე ღრმა-მკერ-
დიანი ზღვის ფუძეში, მეუფეო ზღვის, რომელი ჰგრგვინავ
წყლის ხმაურით და მძიმე არს ქუხილი შენი, ქვეყნის ძრვის
5 ძალო; | ტალღანი შენნი — აღლაღებულნი, პირად მაღლიანო
და საამებელი, მიპრეკ კვადრიგას, ზღვათა სტვენა-შხივი-

¹ შდრ. პომპროსის კიშნიდან: „რაშებს ჰხედნი და ხომალდებს ჰშველი“.

ლით წყალს ადამღვრევ მარილიანს შენ, რომელს ზღვის ღრმა ღვარები გერგო მესამედ წილად, ტალღებით ხარებულ-ლო და თანავე ნადირით, ზღვის ღმრთეებაო. მაცხოვრად ექ-
 10 მენ ღვედამიწის სასაყდროს და ხომალდთა შეენიერ სრბასაც [მოჰბედე]. | მშვიდობა და მთელი ჯანი მოგვეც და ბედნიე-რება უყვედრელი.

პ ლ უ ტ ო ნ ი ს ა დ მ ი

(17)

რომელი ჰსახლავ მიწისქვეშეთში, სულით ძლიერო, და ტარტაროსის მდებლობედ [ჰგეე], მძივედ დაჩრდილულ არს იგი და მოკლებული ელვარებას: ზევსო, ქვესკნელის სკიპტ-რის მპყრობელო, ესე სიწმინდე შეიწყენარე სურვიელად; ო, პლუტონ, რომელს ხელთ გაქვს კლიტენი მრთელი დედამიწი-
 5 სა, | სიმდიდრის მოძლებელთა მოკვდავი ტოპი [გიპყრია] წე-ლიწდელ ნაყოფიანად, რომელს წილად მესამედად გერგო მიწა ყოლად საუფლო. საბრძანებელი უკვდავთა და მოკვდავ-თა სიმტკიცე ძლიერი: რომელმან საყდარი დაამტკიცე ბნე-ლოვანი ალაგის ქვეშე. [საყდარი] შორეული ჯა საუკუნო,
 10 არცა [სიოათი] ნქრეული, არცა განჩრეული ჰადესი | და მრუ-მე ლურჯფერი აქერონი, რომელს ძირნი ჰქონან დედამიწისა-ნი. მოკვდავთა სიკვდილის მადლისა უფალი ხარ, ო, დიად ღმრთეებაო, ევბულევს¹, რომელი წინათ წჰინდა დემეტრას ქალს შეერთე, მდებლობით მოწყვეტილს და წარტაცებულს ზღვის წიად-კერძო, რაშთა კვადრიგით წარიყვანე ატიისის
 15 ქვაბულს, | თემს ელევსინის, კარად ჰადესის. მხოლოი იქმენ დაფარულთა და ცხადთა საქმეთა ბჰე და განმსჯელი. ღმრთიან-ო, ყოვლისმპყრობელო, უწმინდესო და ელვარედ პატივშე-მოსილო, სათაყვანებელ მუზათა ოხით ხარებულო და ღირ-სო კრძალულებით, მწყალობელს გიხმობ² — მოვედ მხარე-ბელი მესაიდუმლოეთა.

¹ პლუტონის მისტერი სახელა.

² ღედანში: ძოჲაღღა. კერმ. ითარგმნება: გიხმობ.

[შეიწირება] საკმეველი და „ხის რძე სულნელი“.

მამო ზევსო, რომელი მაღლად მყოფსა და ცეცხლის ნაოლიერს სირავ სამყაროს და უზეშთაეს ბრწყინვალეებასაც ეთერის ელვის შენვე აელვებ, ყოლად ნეტართა საბრძანებელს არყევ საღმრთო ქუხილით, სრულ ღრუბლიანს სისოვ-

5 ლეში მგზებარე ელვის აღმნთებელი ხარ; | ქარიშხლებს, წვიმებს. მძლავრ ქუხილთა და მეხისტეხას იქმ ხმაურიანთა და შექირვებულთა ზედა, ისრებისაგან დაიფარავ ყოლად მგზებარეთ, ძლიერთ, შემძრველთ და სულით ახოვანთა; ფრთოვანი—ევე საქურველი საშინელი, გულის შემაძლერველი და ბეწვის ამწლელი, მოულოდებელი და მგრგვინავი,

10 აუსხლეტელი წმინდა ისარი, | რომლის ძალიც უსაზღვროდ მძაფრი შხივილით შთანთქამს ყოველს,— შეუშუსრველი, სულდაზიდული, რისხება-დაუღვენელი, ქარიშხლის ლესული ისარი, ზეითგან ნაელვები¹ მგზებარის, რომელს განეკრძალუ-

15 | ხოლო სახე ნათლით ელვარებს და ქუხს და გრგვინავს ხევებში იგი [წილი] ეთერისა; შემოიძარცვა [ირგვლივ] ქიტონი, საფარველი იგი ცათა, და მეხისტეხით სტყორცნის ელვათა თეთრ-სპეტაკთა.

ოლონდ, ნეტარო, ძლიერი რისხვა დაათხიე ზღვის ტალღებს და მთების მწვერვალებს: ძალი შენი უწყით ყოველ-

20 თა. | მაღლი მოიღე სიწმინდის მცურევისათვის, [მოეც] გონებას ყოველი განგებული, ცხორება სვიანი სულისად, მასთან სიმრთელე ჯანის, რომელ ხელმწიფობს, [მშვიდობა იქმნეს — ღმერთი ყრმათ მაწოვარი და ელვარედ პატივოსანი,] ზნესრულთათვის — ცხორება, საუკუნოდ აღყავებული გულისხმისყოფით.

¹ *καταιβάνης* ველისამობს საიდუმლოდ მგზებარე ზევის ელვს.

[შეიწირება] საკმეველი და ლიბანონ-მანანა.

5 ევზრახვი დიადს, წმინდას, მძლავრად მგრგვინავს, ყოვ-
ლით-კერძო სახილველს, ჰაეროვანს, რომელი ეგზების და
ცეცხლში იბროლს, ჰაერის სანათებელს, ღრუბლებითგან
ნათლის მაელვებელს ქუხილიანი სრბის ხმიანობით, საში-
ნელს, რისხვებამძიმეს, მოურევნელ ღმერთს წმინდას, | მაელ-
ვებელ ზევსს, ყოლად მეშვეს, უზესთაეს მეუფეს, რომელი
განმზადებულ არს, რათა მოგვიტანოს ცხორების ტკბილი
აღსასრული.

ღ რ უ ბ ლ ე ბ ი ს ა დ მ ი

(20)

[შეიწირება] საკმეველი და ზმური.

5 ჰაეროვანო ღრუბლებო, ნაყოფთა მზრდელნო, ცას რომ
დაივლით, წვიმის მშობელნო და მობერვით გადარეკილნო
სამყაროზედ, ქუხილიანნო და ცეცხლოვანნო, ძლიერად
მგრგვინავნო და წყლის გზათა ჩამომდგმელნო, ჰაერის შემ-
ზარავი ხმის წიაღში მქონებელნო, | სულთა მობერვით შეჰარ-
ყეველნო საყუდელისა და მქუბარენო; აწ თქვენ გვედრე-
ბით, ცვარნამშემოსილნო, ნიავებით კეთილ-მნქრეველნო,
რათა წარმოგზავნოთ ნაყოფთა მზრდელი წვიმები დედამი-
წაზე.

ტ მ თ ი ს ი ს ა დ მ ი

(21)

[შეიწირება] საკმეველი და ლიბანონ-მანანა.

ოკეანისას ვუხმობ ნიჰფას— თვალმნათობ ტეთისს, მრუმე
ლურჯფერი პეპლოსით მოსილს ხელწიფე მდღარს, მოსრია-

ლეს იმ ეტლშვენიერს ტალღათა ზედა, სიოთი ამოდ მონახე-
რით რომელი იძრვის და დედამიწას შემოევლება. ო, დიდ-
5 რონ ტალღებს რომ შეახეთქებ ზღვისპირის კლდეთა; | ხოლო
წყნარი¹ და ლბილი სრბით დამამშვიდებლადაც ჰკიე, ხომალ-
დებით დამშვენებულთ, ნადირთა მაწოვარო, გრილ და სო-
ველ-საველიანო, დედაო კვიპრიდასო, დედაო ჩრდილოვანთა
ღრუბელთა და ნიმფების ჩქერალიანი წყაროებისავე. ყური
10 დამიგდე, ო, ყოლად წმინდავ, და მოწყალებით მეოხ მეყო-
ფოდე, | ნეტარო, მართი გზებით მოეც ზურგის ქარი ხო-
მალღთა.

ნ ე რ ე ვ ს ი ს ა ლ მ ი

(22)

[შეიწირება] საკმეველი და ზმური.

ო, საბრძანისის მრუმე ლურჯფერად მოელვარის ხელთ-
მპყრობელო, — ძირთა ზღვისათა, ერგასისნი ქალწულნი
გულს გიხარებენ ტალღებსა ზედა შვილშვენიერი დასებით,
ნერევს, დიდად სახელოანო ღმრთეებავ; ფუძეო ზღვისავ,
5 დედამიწის კიდეო და საზღვარო, საწყისო ყოველთა, | რომე-
ლი შესძრავ და აღამღვრევ დეოს² წმინდა საძირკველს. ოდეს
[წყლის] შიგან მღვიმეებში სული არაა მოგბერავს. ხოლო,
ნეტარო, მიწისძვრანი გვარიდე და მესაიდუმლოეთა მოეც
ბედნიერება სიწყნარესა თანა და სიჯანსაღე, შენ. რომელი
ბედნიერებას მოიღებ ხელით.

¹ ნებნათიძე, ჩვენი ვარაუდით, არის [საკრალური] საშინელი, რომელიც იქმს სიკეთეს, ეგებ იმ აზრით, რა აზრითაც „შიში შეიქმს სიყვარულსა“.

² დეო დემეტრას სახელია. აქ, როგორც ჩანს, დედამიწას ნიშნავს.

[შეიწირება] საკმეველი და სურნელი ბალახი.

ზღვის ნერევის ფერიებო, გვირგვინი ყვავილისა სახე არს თქვენი, წმინდანო, დაბეჭდულნო¹, სიღრმისანო და დაფარულნო [საღმრთოდ] შესაქცეველნო, სოველ-სავალიანნო, ერგასისნი ქალწულნი ტალღებზე სხლეტით ბაკხუსისთვის დღესასწაულს იქმთ, ტრიტონთა ეტლში განიხარებთ. [ზღვის] 5 ზურგს რომელ შემოველებით, — | ნადირის სახე-ხატისანი, რომელთა სხეულებს ზღვა დაჰმწყისა, ხოლო სხვანი სიღრმე-სა შინა სახლობენ ტრიტონისეულ ზვირთთა აღზევაებაში, სახლი თქვენი — წყალი, მსხლტომელნო და ტალღას გარს-მოკლებულნო, ზღვაში ცთომილო დელფინებო, ზღვის ხმაურ-რიანნო, ელვარება გაქუსთ მრუმე ლურჯფერი. თქვენ გეზ- 10 რახვით, მოეციო მესაიდუმლოეთა ბედნიერება სრული, | ვინათგან თქვენ პირველთა აკურთხეცთ საღმრთო იგი სა-დუმ-ლო მსახურება კეთილად წმინდა ბაკხუსისა და უმანკო პერ-სეფონესი დედითურთ კალიოპეთი ქეუფისა თანა აპოლო-ნისა.

პ რ ო ტ ე ვ ს ი ს ა დ მ ი

[შეიწირება] საკმეველი და „ხის რძე სულნელი“.

პროტევეს ვეზრახვი, ზღვის კლიტემპეპრობელს, პირმ-შოს, რომელმან საწყისნი ყოვლის ბუნებისანი გამოაცხადა, რომელმან წმინდა ნივთი შეცვალა სახემრავალი გვარებით², — ყოლად პატივშემოსილმან, დიად ბრძენმან და გულისხ- 5 მისმყოფელმან არსთა, | რაოდენნიც წინათ ყოფილან და

¹ დედანში: *οφθαλμοί*.

² დედანში: *ιδεῖαις πικρὰς ἰατρικαῖς*. ინგლისურ, გართმული მრჩობლედით შესრულებულ, თარგმანში იკითხება: Pure sacred matter to transmute is thine. | And decorate with forms all-various and divine.

რაოდენნიც იქმნებიან შემდგომად კიდევ. ვინათგან ყოველს პირველი ბუნება (ფსუჰ) პროტევსში აქვს შთადგმული და დამარხული. ოღონდაც, მამავ, მოუხვიდოდე მემსხვერპლეთა და მესაიდუმლოეთა ღირსი განგებულებით, სვეკეთილი ცხოვრების ბოლო მბრწყინვალე მოეც [შათთა] საქმეთა გამო.

გ ე ა ს ა ლ მ ი

(25)

[შეიწირება] საკმეველი, ყოველი თესლი, გარეშე პარკთა (хлебъ, faba) და სურნელი ბალახისა.

- მიწავ დედფალო, დედაო ნეტართა და მოკვდავ კაცთა, ყოლავ გამდელი, ყოვლის მომბოძებელი, შენ გამოით ყოველი მწიფდების და ყოველი წარწყმდების, ძალო აღყვავილებისაო, ნაყოფიანო, შევნიერი ყვავილებით გარდაშლილო,
- 5 საყუდელი უკვდავი სოფლისაო, ათასფერო ასულო, | შენ, საშობაო ტკივილებიანს, წიადში გაქვს ნაყოფი მრავალსახე; საუკუნოო, დიად სათაყვანებელი, მკერდი შენი — გრცელი და ხვედრი შენი — ბედნიანი, ღმრთეებაო, რომელი ამოდ მნქრეველი სიმწვანით განიხარებ ყვავილმდიდართ, წვიმებით ხარებულო, რომლის ირგვლივ ბრუნავს ვარსკვლავთა სამყარო, ფრიადი ხელოვანებით ნაქანდაკები, ბუნებით მარადლე მყოფი და საშინლად მედინი. | ოღონდ, ნეტარო დედფალო, ნაყოფნი დიად სახარებელნი შენ გამოით იზრდებოდნენ და გული გქონდეს მწყალობელი და მონდობილი ბედნიერთა თანა ჟამსა ყვავილის ფურცლობისასა.
- 10

ღმერთების დედისადმი

(26)

[შეიწირება] საკმეველი და ნაირი სურნელი.

უკვდავი ღმერთების დედაო, რომელს ღმრთეებრივი გმოსავს პატივი, ყოველთა მზრდელი, აქ მოვედ, ძლიერო დედ-

ფალო, ხელწიფება შენი—ლოცვათა ზედა, ხარების მომაკვ-
 დინებელთ უღელს დაადგამ და ლომთა უსწრაფეს ეტლში
 შეაბამ, სკიპტრის მპყრობელო დიდებული ცარგვალისაო,
 5 სახელმრავალო და წმინდაო და ნანარო, რომელს გიპყრია
 სამყაროს შუაგული საყდარი, ვინათგან თავად გაქვს დედამი-
 წა. მოკვდავთათვის საამებელი საზრდელის მოჰლებს. ხომ
 შენგან იშვა უქვდავთა და მოკვდავთა ტომი. შენთვის მდინა-
 რეთა და მრთელ ზღვასაც ძალი აქვთ მარადღე. ჰესტიად ილა-
 10 ლადები და ბედნიერების მომბოძებლად გიხპობენ. | ვინათგან
 ყოველგვარი სიკეთის საბოძვართთ აამებ მოკვდავთა. მოედ
 საიდუმლო მსახურებისთვის, ო, ხელმწიფეო მდედრო, ბობლ-
 ნებით რომელი სტკებეი, ყოვლის დაპაკრობელო, ფრიგის
 მანნელო და მაცხოვარო. კრონოსის მეუღლეო, ცის ასულო
 უხუცესო, მეძჳძურო, აღტაცებულო; მოედ სახარულევანი,
 კეთილპოსავთათვის აღლადებულო.

ჰ ე რ მ ე ს ი ს ა ლ მ ი

(27)

[შეიწირება] საკმეველი და ლიბანონი.

მომაყურე, ჰერმეია, მოციქულო ზევსის და მაიას ძეო,
 ვისაც გულო გაქვს ყოლად ძლიერი, ასპარეზობისაო, მოკვ-
 დავთა განმგებელო, სიხარულიანო, ნაირზრახვაო, მეგზურო,
 არგუსის მკლველო, სანდალფრთეედო, კაცთმოყვარეო, მოკვ-
 5 დავთათვის სიტყვის წინაისწარმეტყველო. | რომელი განი-
 ხარებ წურთნილი და მასთან მზაკვრული შთანაფიქრით, გან-
 მაცხოვრებელო. ყოვლის გამომთარგმანებელო, ვაჭრებითგან
 სარგებლიანო¹, ზრუნვათაგან დამხსნელო, [შენ.] რომელს
 ხელთ გაქვს მშვიდობიანობის ფარი უყვედრებელი²; ნეტა-
 რო, დიად მეობო, სიტყვაფერადო, მუშაკობით მწეო, მოკვ-

¹ დედანში: *ჯგბქჷაიძე*.

² ი. სკალიგერი შენიშნავს, რომ აქ *Καθυσιαστα*-ს ჰ. სტეფანუსი მიიჩნევს აშიიდან ტექსტში მოხვედრილად.

10 დაეთა მოყვარეო იწროებასა შინა; | ენის ფარო¹, წმინდაო და საშინელო, სავედრებელო კაცთათვის. მომაყურე მლოცველს და ცხორების მბრწყინვალე ბოლო მომავე, მუშაკობით, სიტყვის მაღლით და ხსოვნით [ალბეკდილი].

პ ე რ ს ე ფ ო ნ ე ს ა დ მ ი

(23)

ო, პერსეფონე, დიდი ზევსის ასულო, მოედ, ნეტარო, მხოლოდ შობილო დედფალო, საამებელი და წმინდა [საბოძგარი] მიირთვი, პლუტონის ყოლად პატივშემოსილო მეუღლეო, რომელმან უწყი ზრუნვა და სიცოცხლის მომცემელად ჰგვი; შენ გიპყრია ჰადესის კარიბჭე დედამიწის ქვეშე წმინდა და მღვიმედ შესავალი, | შურისმგებელო, ნაწნავებსანდომო, წმინდა რტოო ზევსის, ეგმენიდების დამბადებელო, მიწისქვეშეთის დედაუფალო, შენ — ქალწული — ზევსმა გშვა გამოუთქმელი მშობიარობით. დედაო ევბულევის², მძლავრად მგრგვინავის, ათასნაირის, ჰორათა [დასის] მთხზველო, ნათლის მქონებელო, პირად ელვარეო, | წმინდაო და ნანარო ყოვლისმპყრობელო ასულო, ნაყოფხომრიელო, კეთილად ნათლიერო, [წმინდა]რქიანო, მხოლოო მოკვდავთათვის სანდომოო, გაზაფხულისაო, ლიმონარ-მდელოთა მონაბერით ხარებულო, რომელი სახილველ-ჰყოფ შენს სპეტაკ სხეულს ფეროვან ნაყოფ-შემოსილი რტოებით, წარტაცებულო სძალო შემოდევის სარეცლისაო, | სიცოცხლე და სიკვდილი ხარი მხოლოი მოკვდავთათვის დიდად დამაშვრალთა, ფერსეფონეია, ვინათგან მარადლე აღმოაცენებ და მოაკვდინებ კიდევაც ყოველს. მომაყურე, ნეტარო ქალმერთო, ნაყოფი აღმოგვაწოდე დედამიწითგან, მშვიდობით აღყვავებულო, ვის ლბილი ხელი გაქვს ჯანის სიმრთელისათვის და ცხორებისათვის ფრიად ბედნიერის, შვენიერ სიბერეს რომელ

¹ თუ საკურველო? *γλῶσσην δεινὸν ἔπιον.*

² *Ἐβουλίτης. ἵος* ბაქუსის ან პლუტონის მისტიური სახელია. იხ. GPTII.

20 შთამოუძღვება | ტაძრად შენდა და კეთილად შემძლებელის
პლუტონის მომართ, დედაო ხელმწიფეო.

დიონისესადმი

(29)

[შეიწირება] საკმეველი და „ხის რძე სულნელი“.

დიონისეს ეუხმობ, მძლავრად გგრავინავსა და სიზარულ-
ლით მზახებელს, პირმშოს, ორბუნებიანს, სამგზის შობილს,
ბაკხელ მეუფეს, ველურს, გამოუთქმელს, დაფარულს,
წყვილრქადასპულს, წყვილხატიანს, სურო-შემოვლებულს,
ხარის სახისას, ახოვნად შემჭიდებელს, რომელს ბაკხურად
5 ეზრახვიან, უმწიკვლოს და წმინდას, | მხრებზე დაყრდნო-
ბილს¹, სამწლეულს, რომელს თან მოაქვს ტევანნი ვენახისა,
მწვანედ შეფოთლილი — პეპლოსი მისი. ზრახვა—კეთილო,
კეთილზრახვა-მრავალო, ზევისის და პერსეფონეის გამოუთქ-
მელსა და აღუწერელ სარეცელზე ნაშობო, უხრწნელო,
ღმრთეებაო, — მოაყურე, ნეტარო, [ამა] ხმას და, საამომან
და უწყინარმან, ლობიერი გულის მქონებელმან, დასტური
ბრძანე მოხდენილად შემოსარტყლულთა გამდელთა თანა.

[პრმა²] კურატეზისადმი

(30)

მხლდომელო კურატებო, რომელ ჩააბამთ საბარკულიან
ფერხისას, მოფერხულენო, რხეულნო მრგვლიად, მთეულე-
თისანო, აღტაცებით მხმობელნო, ქნართა მესაყრავენო, შეუ-
ნაწევრებელნო და უმწყობრონო, რომელნი აჰმხედრდებით —
5 მიძღვარნო, დიად პატივით შემკულნო, | მთის მეტრფე დედის

¹ ეგებ იგულისხმებოდესო, რომ მხრებით მოჰყავთ სილენებსა და სატირებს.
GPTH, s. v. Ἰμάδος.

² „კურეტი“ სიტყვა აზრობრივად „ყრმასთან“ არის დაკავშირებული.

თანამოგზაურნო, მესაიდუმლოეობის და მემსხვერპლეობის მთავარნო; მოხვიდოდეთ, კეთილ-მესიტყვეობით მოალერსენი, მეხრისად მწყალობელნი მარადღე სახარულევეანი აღლთ.

ა თ მ ნ ს ს ა ლ მ ი

(31)

ო, პალას, მხოლოდ შობილო, დიდის ზევსის წმინდა და ნანარო ჩამომავალო, ღვთიანი და ნეტარი დედფალი ხარ, საომარშფოთიანო და ამბოხიანო, ძლიერო სულით, გამოუთქმელო, თანავე თქმად საქცეველო, დიად სახელიანო. ქვაბულსა შინა მყოფო, რომელი ჰგიე მთათა ზედა თავმადალთა და მწვერვალთანთა | და მთათა ზედა ჩრდილოანთა და ტყიანი ღარტაფებით გულს რომელი დაიტკობო. აბჯრით ხარებულო, მოკვდავთა სულების სიბორგილით შემაშფოთებელო, საწამებელო და შემადრწუნებელი სულის მქონებელო; გორგონას მკვლელო, საქორწინო სარეცელს განრიდებულო. ხელოვნებათა დედაო ყოლად ბედნიერო; მოწრაფედ აღმძრველო, ბოროტათვის განძვინებულო, ხოლო კეთილათვის სიბრძნეო. | მამრი და თანავე მდედრი იშევე, ომის მეშვეო გონებით; ათას-სახეო ურჩხულო, მეტრფეო ღმრთივ აღძრულთა¹, მბრწყინვალე პატივით შემოსილო; ფლეგრაიელ გიგანტთა მომსრველო, მძლეო მხედარო; ტრიტოგენეია, დამხსნელო ბოროტთაგან, ძლევაშემოსილო ღმრთეებო. დღისით და ღამით — მარადღე და ბოლოდვე | შენდამო მლოცველს მომაყურე, მოიღე მშვიდობა დიად ბედიანი და სიუხვე და ჯანის სიმრთელე სვეკეთილობის ჟამისა, — თვალმნათობო, ხელოვანებაერცელო, ფრიად სავედრებელო მდედრო ხელმწიფეო.

ნ ი კ მ ს ა ლ მ ი

(32)

[შეიწირება] საკმეველი და მანანა.

კეთილ-ძალმოსილს მე ნიკეს ვუხმობ, მოკვდავთ სანდო-

¹ დედანში: *φιλέρπες*

მოს, მხოლოდ რომელ დაპხსნის მოკვდავთა საბრძოლო წა-
დინს და წყობას სატივირიანს რკენისა ეამს წინააღმდეგობთა.
ბრძოლაში განმკითხველად ჰვიე დასადაფნავთა საქმეთა ზე-
და, | რომელთა ნეტარ მოსწრაფედ მიართმევდე უტკბესსა
ლოცვას; ვინათგან ყოველთა ხარი მძლეველი და ყველა
ბრძოლის შარავანდი მბრწყინვალე, დღესასწაულად გარდაშ-
ლილი, ნიკეს ყოლად ამალღებულს აპატივოსნებს¹. ოლონდ,
ნეტარო, მოუხვიდოდე ელვარე თვალს², სანდომოს და ნა-
ნატრს, [მოუხვიდოდე] — შენ, რომელს მარადღე მოგაქვს
ყოლად ამალღებულთა საქმეთათვის შარავანდი მბრწყინვალე.

ა კ ო ლ ო ნ ი ს ა ლ მ ი

(23)

[შეიწირება] საკმეველი და მანანა.

მოვედ, ნეტარო, პეანო³, ტიტოსის⁴ მკვლელი, ფებოს
ლიკორევეს, მემფისელი, ბრწყინვალედ პატივ-შემოსილო,
„იე“⁵ ლადადით სავედრებელი, მომკერძებელი ბედნიერების:
ოქროქნარიანო, მთესველო, მხვნელო, პითოელი, ტიტანო,
გრინიელი და სმინთელი, პითონის მკვლელი, დელფური
5 მისანო, | საშინელი, ნათლიერი, ღმრთეებაო, უცხოო, განთქ-
მული ყრმაო; მუზათა წინამძღვარო, ქოროს მთხზველო, შო-
რად მტყორცნელი, მშვილდისრიანო, ბაკხელი და დიდიმეე-
ლო, შორად მზმნელი⁶, გამომეტყველო მისნობით (ღიქ;ჟ),
უმანკო; დელოსელი მეუფეო, ყოვლის მკვრეტელი გაქვს
თვალი მოკვდავთ-სანათებელი, ოქროთმიანო, წმინდა სათქ-
10 მელთა და მისნობათა გამოაჩენ. | ყური მომაპყარ მე, ხალხი-

¹ სიტყვასიტყვით: (ნიკეზედ) მღებარე არს.

² ლათინური თარგმანით: Dia Dearum.

³ პეანი აქ თვით აპოლონს აღნიშნავს.

⁴ ტიტოსი გიგანტია, რომელიც აპოლონმა ქვესკნელს შთააქცია.

⁵ „იე“ აპოლონისადმი მიმართვის ფორმულაა.

⁶ *ἄκρῆδες*. შდრ. ი. აბუ ლაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, ვ. 7.
მზმნელი: მისნობის მოქმედი, წინასწარმცნობელი; კუდიანი.

სათვის შენდამო მლოცველს, გულ-ლმობიერო, განსჭვრეტ ვინათვან ამა შემოუწერელს ეთერს ყოველს და დედამიწას სვიანს და კეთილ-განგებიანს, ხოლო ზეგარდამო მრუმე ღამესა და სიწყნარეს შინა თვალვარსკვლავიანს ბნელსა ქვეში ძირნი შენდა იხილვებიან, [თვალთწინ] მთელი ქვეყნიერების გქონან საზღვარნი; | დასაბამი და დასასრული გიძს საზრუნავი ყოლად აღყვავებულო. შენ მთელს ცარგვალს დიხდ ბგერადი კითარით პარმონიულად შეიქმ (შეაზავებ და შეანაწევრებ), ზან ნიტის¹ კიდედ დახვალ, ზან კვალად იპატოისკენ¹, ხოლო დორიულს [მიპყვები] წყობას². მთელი ცარგვალი განალაგე და განაწყობ განმაცხოველებელთა დასთა, | პარმონითა და შეზავებით შეათანაზომე კაცთათვის ყოლად-სოფლიური ბედისწერა; შეგიზავებია ზამთარ-ზაფხული ერთურთის სწორად; ზამთარი იპატისად, ზაფხული ნიტისად განგიწესებია, დორიული კი — ყოლად სანდომო გაზაფხულის თავისდროულ ყვავილად; ამის გამო მოკვდავნი სახელ-მოდგამობით გეზრახვიან მეუფე | პანად — წყვილ-ჩქადასხმულ ღმრთად, ქართა საღამურების მხმობელად. ყოვლისა ამისთვის სამყაროს ბეჭდით ჰგეე დაბეჭდული. ყური მოვაპყარ, ნეტარო, და მაცხოვრად გვექმენ მესაიდუმლოეთა, ზეთისხილის რტოებით რომელ აღმოვთქვამთ სიტყვას.

ლ ე ტ ო ს ა ღ მ ი

(34)

[შეიწირება] საკმეველი და სურნელი ზეთი.

ლეტო, მრუმე ლურჯ-ფერ პეპლოსიანო, დედფალო, მრჩობლთა მშობელო, ნანარო და სათაყვანოო, კოიეს ასულო, სულდიდო, დიად სავედრებელო ხელმწიფე [დედავ], შვილშენიერო, მქონებელო ზევსის საშობაო ტკივილისაო, ფებოსის და
 5 ისრვით მოლხინე არტემიდას დამბადებელო, | ასულისა — ორ-

¹ *νέκρη* ანუ *ψήρη* და *ψάρα* სამუსიკო ნიშნებია, უთარგმნელად დატოვებული იოანე პეტრიწთან: ნიტი, იპატოა იხ. იოანე პეტრიწის შრომები, II, 222.

² შდრ. ვ. გვახარია, ქართულ მუსიკალურ სისტემათა განვითარება, თბილისი, 1962, გვ. 419.

ტიგიაში, ხოლო ძისა — კლდიან დელოსზე. ო, მოიხილე, უფალო დედავ, და გულმოწყალებდ ჰოედ ყველა ღმერთის საიდუმლო მსახურებისთვის, ამოდ გაასრულე.

ა რ ტ ე მ ი დ ა ს ა დ მ ი

(35)

[შეიწირება] საკმეველი და მანანა.

მომაპყარ ეგე სასმენელი, ხელმწიფეო მდედრო, სახელმრავალო, ასულო ზევსის, ტიტანის ქალო, მგრგვინავო, განთქმულო, მოისარო წმინდაო, ყოველთათვის ნათელო, ჩირალის მპყრობელო¹, დედფალო, რომელი მონადირე ხარ, მელოგინეთა სალოცავო, მათ მესატკივრეთა მეოხო და სატკივრიანო ხელთდაუსხველო; | სარტყლის დამხსნელო², აღტაცებულო, მონადირეო, ზრუნვათაგან დამხსნელო³, ასპარეზ-კეთილო, ისრვით ხარებულო, ველთა მეტრფეო⁴, დამით რომელ მიმოიქცევი, კლეისიო, აღერსიანად მომგებებელო, მკურნებელო, მამრის სახეო, ამომავალო⁵, წრაფად სობის ძალო, მოკვდავთა ღმრთეებაო ყრმათა მზრდელო, უკვდავო, მიწისაო, ნადირთ მომსრველო, სვეკეთილო, | რომელი ჰსცავ მათათა მუხნარებს, წმინდაო ირმების მდევარო; მდედრო მეუფეო, ყოლად ხელმწიფეო, შვენიერ რტოდ და ნატამალად მარადღე მყოფო, მუხნარისაო, მეძებრებიანო. კილონიელო, ათასნაირო. მოვედ, დედფალო მაცხოარო, მეტრფედ გივის მესაიდუმლოე ყოველი, — კეთილად რომელ მოგვეგებვი, უცხო ნაყოფი მოგაქვს

15 დედაპიწისა, | მშვიდობა სანდომო და კეთილად თხზული

1 საკულტო ტერმინია ბადიშჯ. სხ. მთვარის გალობა (მე-8).

2 იგულისხმება „მომლოგინებელი“.

3 „დამხსნელი“ დედანშიც მეორდება.

4 *φιλαιγέρτι*-ს მიღებულ აკეთხვისთაგან განსხვავებულად, ჩვენ ვთარგმნით ასე, და არა როგორც *φιλαιγέρτις*.

5 არტემიდას ეპითეტია ლაკედემონსა და არკადიაში. სხ. И. Х. Дворецк и И. Древнегречесско-русский словарь, s. v. *Ορμία*.

სიმართლე ჯანის. ნეტარ აოტებდე მთების მწვერვალებისკენ
სენთა და ტკივილთა.

ტ ი ტ ა ნ ე ბ ი ს ა ლ მ ი

(36)

[შეიწირება] საკმეველი და ლიბანონი.

5 ო, ტიტანებო, ცისა და მიწის მბრწყინვალე შვილნო, ჩვენ-
თა მამათა წინაპარნო, ქვესკნელს, ტარტაროსის სასახლეს ში-
ნა, მიწის შიგანში დამყარებულნო, საწყისნო და წყარონო
დიად დამაშვრალი ყველა მოკვდავისა, | წყლის იძრვისთა და
მფრინველთა და მიწის მკვიდრთა; ვინათგან თქვენ გამო ჰგი-
ეს სოფელში ყოველი ტომი, თქვენ გიხმობთ, მძაფრი რისხება
გადაიგდეთ, თუ ვინმე მიწიერ წინაპართაგანი სასახლეს მოე-
ახლება.

კ უ რ მ ტ ი ა გ ა ლ ო ბ ა

(37)

[შეიწირება] საკმეველი და ლიბანონი.

5 რომელნი სპილენძს აყდრიალებთ, ჰოი, კურეტნი, არე-
სის აბჯრით შეაბჯრულნო, ზესკნელისანო, ქვესკნელისანო და
ზღვისანო, მრავალფუფუნეულნო, განმაცხოვრებელნო მონა-
ბერნო, მრთელი ქვეყნის მაცხოვარნო დიდებულნო, რომელ-
ნი სახლობთ წმინდა მიწაზე სამოთრაკიის; | მოკვდავთ საფრ-
თხისაგან განარიდებთ — ზღვაში ცთომილთა, [სიწმინდის]
სრულებასაც პირველნი მიამთხვევთ მოკვდავთა, უბრწუნელნო
კურეტნო, არესის აბჯრით შეაბჯრულნო; გქონან ოკეანე და
10 ზღვა და ხეები და, ოდეს დახვალთ დედამიწაზე, რეკენ ფერხ-
ნი თქვენნი სუბუქნი, | მოლაპლაპენო საჭურველით; ხოლო
გიფრთხიან ნადირნი ყოველნი — მდევართა და ხმაური და ზა-
ხება აღიწევის ცამდე, [დახვალთ და] ფერხთა ტრიალისაგან
მტვერი ღრუბლადმდე ადის; მაშინ ყვავილი ყოველი გარდაშ-

15 ლალ არს; ღმრთეებანი უკვდავნი, მზრდელნი და თანავე მომს-
 პოლველნი, | ოდეს აღტყდებიან განძვინებულნი ადამიანთა
 მიმართ, — აღმფხვრელნი სიცოცხლისა და საცხოვარისა და
 შეპყრელნი სენთა; კენესის დიდი ზღვა ღრმაჩქერალებიანი და
 20 თავმაღალი ხეები ძირიანად განერთხმიან მიწას; ხოლო ექო
 ცისა ფოთლების შრიალის ბგერებია. | ჰოი, კურეტო კორი-
 ბანტებო, მბრძანებელნო და ფრიად ძლიერნო, სამოთრაციის
 უფალნო და თანავე ზევსის წულნო; მონაბერნო, მარადღე
 მკოფნო, სულის მზრდელნო, ჰაერის სახენო, ზეციერ მარჩბივს
 25 რამელ გიზმობენ ოლიმპოს ზედა; კეთილად ანჭრევთ, წყნარ-
 ნო. მაცხოვრებელნო | და თავისდროულად შემოსულნო, ნა-
 ყაფის მომღებელნო და მომბერავნო¹ უფალნო.

კ ო რ ი ბ ა ნ ტ ი ს ა ღ ე ნ

(38)

[შეიწირება] საკმეველი და ლიბანონი.

ვუხზობ მარადღე მყოფი მიწის უფალს უძძლავრესს, კირ-
 ბანტს, განგებით ბედიანს, არესისეულს, საზარელს სახით, ღა-
 მათა ქურუმს², საშინელ ზართა განმარიდებელს, ხილვათა
 5 მკოფს. კორიბანტს, ცთომილს უდაბნოისას; | მეუფეს ფერად-
 სახენს, ღმერთს ორბუნებიანს, მრავალ-სახიანს, მეწამულს, მო-
 კვდინებულს ორთავ ღვიძლთა ძმათაგან. რომელმან დეოს
 განწესებით გარდასცვალე წმინდა სხეული, ნადირის ხატის
 10 შავი ურჩხულის სახედ მქმნელო, — ყური მომაპყარ, აღმოქმე-
 ლო ნეტარო, გარდაიდღე სასტიკი რისხვა | და მტკიცე უცი-
 ლობლობისაგან დააცხრვენ სულნი ხილვისანი.

¹ ἐπιτροπός. შდრ. „მობერავ“, რომელიც „შთავონების“ აზრით გვხვდება
 შუა ჭაუკუნეების ქართულ საგალობლებში.
² Κηρύττα, ლათინურ თარგმანში შეესატყვისება Lucumonem.

[შეიწირება] საკმეველი და „ხის რძე სულნელი“.

- ო, დეო, ყოლად დედაო, ღმერთთათვის სახელმრავალო ღმრთეებაო, პატივოსანო დემეტრავ, ყრმათა გამდელი, სვიანად მქმნელო, სიმდიდრის მომცემელო დედფალო, მზრდელი ყანისავ და ათასნაირი ნიჭის მომღებელო, სიწყნარით და დი-
5. დად დამაშვრალობით ხარებულო, | მთესველო, მჭელეულთა შემკრებელო, მკათა დედფალო, ნაყოფ-ჭეჭილიანო, ელევსინის წმინდა ველებზე რომელი ჰგიე. მწყაზარო, სანდომოო, გამდელი მოკვდავთა სრულ ყოველთა; პირველმან რომელ შეაბი უღელი ხარი და ერქვანი გასწიე: სანდომო, ყოლად ბედიანი
- 10 ცხორება მიწიერთა მოუვლინე, | სიმწვანით დიად მოფენილმან, ბაკხელთა კერის თანამყოფელმან, ელვარედ შემკულმან პატივით. ჩირალიანო, უმანკოო, ზაფხულში ნამგლებით ხარებულო,— შენ ქვესკნელისა ხარი, შენ—ნათლით შემოსილი, შენ—ყოველთათვის ამოდ მისახედომი. შვილ-შვენიერო, ყრმათა მეტრფეო, წმიდაო გამდელი ასულო, რომელმან ვეშა-
- 15 პნი აღვირ-ასხენ და შეაბენ ეტლთა, | მრგვლივ მოქცევით საყდარსა შენსა გარემო მემღერი ხარი. მხოლოდ შობილო, შვილმრავალო დედფალო, მოკვდავთათვის ყოლად ხელმწიფეო, რომლისა სახენი—მრავალნი, ყვავილმდიდარნი, წმინდარტონი-
- 20 ბა | და სიმდიდრე ყოლად ბედიანი, მასთანვე განმგებელი სამრთელე ჯანის.

ანტაია [-რმა¹] დედის ბალოვა

(40)

[შეიწირება] საკმეველი და სურნელი ბალახი.

ო, ანტაია² დედუფალო, ღმერთქალო, სახელმრავალო დედავ უკვდავთა ღმერთთა და მოკვდავთა კაცთა, რომელი ოდეს-

¹ „ანტაია“ რეას ერთ-ერთ საღმრთო სახელად არის განმარტებული GPh-ში.

² ლათინურ თარგმანში *Aut aia*-ს ენაცვლება *Empanda*, რომელსაც ე. ფორ-

- ლაც იარებოდი — ბევრთა გზათა დამლაზველი და შეურვებუ-
- 5 ლი, აღთქმა აღიკვეთე ელევსინის ველებზე, | ჰადესს მოუხ-
ვედ დიდებულ პერსეფონიას; სიწმინდე-დახსნილს¹ — ყრმაი
გხვდა უმანკო მეგზურად, წმინდა სარეცლის [ამბავი] როჩელ
გაგიმხილა² ქვესკნელის უფლის (ზევისი?) უმანკოისა, — შენ,
ვინაც კშეე კეთილგონებიერი ღმერთი მოკვდავის თესლისა-
გან³. ოღონდ, ღმერთქალო, ვლოცულობ შენდა, ვედრება-
- 10 მრავალ დედუფლისადმი, | შემწყნარებელი მოუხვიდოდე დი-
ად წმინდა მესაიდუმლოეს და მემსხვერპლეს შენსას.

მ ი ს ე ს ა ლ მ ი

(11)

[შეიწირება] საკმეველი და „ხის რძე სულნელი“.

- ძეგლის-მწერლად ვეზრახვი ნართეკის მპყრობელ⁵ დიონი-
სეს, თესლს ევბულევსის ხშირ-მოსაგონარს და სახელმრავალს,
უმანკო და ფრიად წმინდა მისეს, გამოუთქმელ დედუფალს,
5 მამრსა და მდედრს, ორბუნებიან დამხსნელ იაკხოსს; | ანუ იშ-
ვებ ელევსინის საკმეველიან ტაძარსა შინა, ანუ ფრიგიას მე-
საიდუმლოეობას და მემსხვერპლეობას იდღესასწაულებ დედი-

ჩელინი განმარტავს: paganorum dea-დ და ა. შ. საგალობლის მიხედვით უც-
ლობელია დემეტრასთან (ცერეოსთან) სიახლოვე და ქედმარტებას. ივენი აზრო-
ის უფრო იცავს, ვინც „ცერერამდის“ მიღის, თუმცა a parte dando. იხ.

Forcellini, s. v. Empanda

¹ Δύσχωτος; გაღმოვიდეთ „სიწმინდე-დახსნილად“. ი. სკალიგერი ფიქრობს,
რომ ღმერთქალი ასულზე მწუხარების მიზეზით (propter iuclum) უწმინდურია,
სიწმინდე-წართმეულია.

² შდრ. ჰომეროსის ჰიმნი დემეტრასადმი: მზემ ამცნო ამბვი დემეტრას

³ ვეყარებით ი. სკალიგერის წაკითხვას: Ομηρος ἔειπ' ἀναχναῖος indicat
humano semine conceptum.

⁴ Ἰσθη ნიშნად იგულებდა.

⁵ ნართეკი (Ἰσθμίου) მცენარეს ჰქვია; ხოლო Ἰσθμίου—ფრიგი; საკულტო ტერ-
მინია, აღნიშნავს ნართეკის კვერთხის მპყრობელს ბაქური მსვლელობის დროს.

10 სა თანა, ან კვიპროსს იშვებ კითერეიას თანა კეთილგვირგვი-
ნოსანის, ანდა საყანე წმინდა ველეებზე განიხარებ დედისა თა-
ნა — წმინდა ისილა¹ დედფალისა, შავით ნოსილის, | მღინარე-
ბასთან ეგვიპტისა ღმრთისმსახურთა გამდელთა თანა. შემწყ-
ნარებელი, ნეტარ მოხვიდოდე, რომელი კეთილ ღვაწლს გა-
ასრულებ.

ჰ ო რ ე ბ ი ს ა ლ მ ი

(42)

[შეიწირება] საკმეველი და სურნელი ბაღაა.

5 ჰორანო, თემიდას და მეუფე ზევსის ასულნო: ევნომიე და
დიკე და ვირენე დიდად სვიანო, — გაზაფხულისანო, ლიმონარ-
მდელოსანო, ყვავილმრავალნო, წმინდანო, ფერმრავალნო,
სურნელიანნო, ყვავილთა სახედ რომელ ანჭრევთ, | ჰორანო
რტო-სამარადლეონო, მრგვლიად მსრბოლნო, ამო-პირისახისა-
ნო; ცვრიანნი პეპლოსნი შეგიმოსავთ ყვავილების, მრავალთა
მზრდელის; პერსეფონეს თანა ჰლალობდით, ოდეს იგი მოი-
რებმა და ქარიტებმა მრგვლიად თხზული ქოროებით სანათე-
10 ბელში აღმოიყვანეს საამებელად ზევსის და დედის, ნაყოფის
მომღებელისა. | მოედით კეთილად გამოსათქმელ მსახურება-
ზედ წმინდათა ახალმესაიდუმლოეთა [აღზილვისა], დროულ-
ნაყოფშენიერ დაბადებათა რომელნი მოგვაახლებთ უყვედ-
რელად.

ს მ მ ე ლ ე ს ა ლ მ ი

(43)

[შეიწირება] საკმეველი და „ხის რქე სულნელი“.

მე კადმოსის ქალს ვეზრახვი — ყოლად ხელმწიფეს, საბით
შვენიერ სემელეს, ნაწნავ-სანდომოს, მკერდმალალს, დედას

¹ ისილა დემეტრასთან არის გაიგივებული.

თიხის¹ მპყრობელ დიონისესას, სრულ ხარებულის; მან დიდ ტკივილებს უძლო, [აღდებულს] ცეცხლიანი ბრწყინვალეობით, | ოდეს კრონოსის წულის, უკვდავი ზევსის, ნებით დაჰბადა. პატივთა და შარავანდთა შემომოსველად ჰგიეს შენდა პერსეფონეია, მოკვდავთა კაცთა შორის შემდგომად ყოვლის სამწლეულისა [რათა იქმნეს] დღესასწაული, როდესაც შენას ბაკხუსის საშობაო ტკივილს მოგვევრიან და განგიახლებენ საუღუმლო ღმრთისმსახურებისათვის² და იქმან ფრიად წმინდა ტრაპეზს და უმწიკვლო მემსხვერპლეობას. | აწ, ღმერთქალო, შენდამო ვლოცულობ, კადმოსის ნასახო ხელმწიფეო მდედრო, და გულის სიღბოს შენსას ვუხმობ მესაიდუმლოეთადმი მწედ მყოფობისათვის საუქუნოდ.

**აღბაცებული დიონისესადმი. რომლის დღესასწაულიც
სამ წელიწადში ერთხელ მოდის** (44)

მოედ, ნეტარო დიონისე, ცეცხლით თესულო, რომელს შუბლი გაქვს ტყიური ხარის, აღბაცებულო და ბაკხელო, სახელმრავალო, ყოვლის შემძლებელო, მახვილით რომელ განიხარებ, თანავე სისხლით და წმინდა მენადებით, ოდეს კიჟინით გარდამოხვალ ოლიმპოდან, მძლავრ-ხმიანო, გარდარეულო ბაკხუს. | მტვირთველო თიხისს, მძიმედ მრისსებელო, პატივშემოსილო ყველა ღმერთისაგან და მოკვდავთა კაცთა, რომელნი მიწის მკვიდრნი არიან. მოედ, ნეტარო, სხლეთით მროკველო, ყოველთა დიდად მახარებელო.

ლიკენიტესადმი (45)

[შეიწირება] საკმეველი და მანანა.

ამა ლოცვებით მე დიონისეს ვუხმობ — ლიკენიტეს, [ვის ჰმსახურებენ პირველ-მოსთვლულის წმინდა კალათით,] ნი-

¹ *Πρόιος* დიონისეს კვერთხია, სუროთი და ვაზით შემოვლებული, თავზე ნაქის ჯირჩა აქვს.

² *σελήθειο* გაშლილად გადმოვეციო, სხვარივად არ მოხერხდა: [ტკივილს] მოგვევრიან და განგიახლებენ საიდუმლო ღმრთისმსახურებისათვის.

³ სახელის განმარტება ტექსტში შევიტანეთ: ვის ჰმსახურებენ პირველ-მოსთვლულის წმინდა კალათით (*λίχνο*).

სელს, მრგვლიად აღყვავებულს, სანდომოს, კეთილგონებიერ ბაკხუსს, ფერიების ამო ნატამალს და შარავანდ-კეთილი აფრო-
5 დიტესას, აღმა ტევრებში საფერხლოდ ყოველ ნაბიჯს ვის გამო სძრავენ, [ფერხისაჲ მისი] ითხზევა აღტაცებით ფერიების თანა, მადლიანთა და ჰაეროვანთა. და ზევსის ზრახვით ფერსეფონეიას მომართ მოყვანებული — იზარდე, ზარო უკვ-
დავთათვის ღმერთთა. კეთილგონებიერო, მოედ, ნეტარო, და შეიწყნარე მორთმეული ესე წმინდა [საბოძვარი].

**სვეტიბეზე აღკრული სუროთი¹ ზემკული
ბაკხუსისაღმი**

(46)

[შეიწირება] საკმეველი და სურნელი ბალახი.

მე ვუხმობ ბაკხუსს, სუროთი განშვენებულს, ღვინის მომ-
ლებელს, [იმა სუროთი შემკულს,] რომელი კადროსის სასახ-
ლეში ყოველსავე გარეველება. მძლავრად დააყენა ძრვა დედა-
მიწისა აღმძრველმან² [მისმან], ოდეს ცეცხლის არმურ-
5 მა | ელვა-ტეხით სძლია მთელს ქვეყანას, ხოლო სამკაული ესე
ყოველთა [სურო] აღეკრა სვეტებს.
მოედ, ნეტარო ბაკხუს, ხარებული გულით.

ს ა ბ ა ძ ი ო ს ი ს ა ღ მ ი

(47)

[შეიწირება] საკმეველი და სურნელი ბალახი.

ყური მომაპყარ, მამავ, კრონოსის ძეო, საბაძიოს, დიდებულ
ლო ღმრთეებავ, რომელმან ბაკხუსი დიონისე, მალლად ხმი-

¹ როგორც გადმოგვცემენ, სემელეს სასახლე რომ დაიწვა, მაშინ გადარჩენილ სვეტებზე ასული სურო იგულისხმება.

² „წარმომგზავნელმან“? დედანში არის: *ძარმომგზავნელმან*.

ნი, [ზევსის] ბარძაყში შთააყრე ¹, რათა განსრულებული მოჰვლენოდა მართლად საღმრთო ტმოლოსს ² დაწვშვენიერის ჰიპასის ³ თანა. | ოლონდ, ნეტარო, ფრიგიის მფარველო და [მეუფეო,] ყოველთა უმეუფესო, მეოხად მოუხვიდოდე [შენ], გულმოწყალე, მესაიდუმლოეთა.

ჰ ი პ ა ს ი ს ა დ მ ი

(48)

[შეიწირება] საკმეველი და „ხის რძე სულნელი“.

მე ჰიპასს ვუხმობ, ბაკხუსის გამდელს, ასულს. რომელი მეამება, მესაიდუმლოედ და მემსხვერპლედ ხელთდასხმული, წმინდა საბოსისაგან⁴ აღლაღებული ღამისეული ფერხისაით, ცეცხლიან გრგვინვას [რომელ შეჰგავს] კიჟინი. ყური მომაპყარ, შენდამო მლოცველს, ქვესკნელის დედავ ხელმწიფეო; | ან ფრიგიაში გიპყრია და ჰსცავ იდის მთას წმინდას, ანუ ტმოლოსი განგაცხრობს შენ, ლიდიელთა შემოსავლებელი შევენიერი. მოხვიდოდე საიდუმლო ღმრთისმსახურებაზედ, წმინდითა სახით ხარებული.

[ბაპხუსის] დახსნის ლენეური⁵ გალობა (49)

მომაპყრენ შენნი სასმენელნი, ნეტარო ძეო ზევსისავ, ბაკხუს სთვლისაო, დედანი შენნი — მრჩობლნი, შთასახებავ ხშირად მოსაგონარო, სახელმრავალო, [საკრველთაგან⁶] დახსნილო ღმრთეებავ. საიდუმლოდ ნაშობო წმინდა რტოო ნე-

¹ εσθραπέτης აქვე გაშლილია კიდევაც.

² Τμοδος ქედია ლიღიაში.

³ Ἰασας ღიონისეს გამდელია. იხ. მომდევნო გალობა.

⁴ ტექსტშია Ἐδβος. ჰიპასი საბინად იგულისხმება, თუ ვენდობით ლათინურ თარგმანს.

⁵ ლენეები ერქვა ღვინის ღმერთის ათენურ დღესასწაულს.

⁶ პენთესის საკრველთაგან (?).

ტართა, „ვეოს“ გიხმობენ, ბაკხუს, კეთილად მზრდელო, კეთილ-ნაყოფიანო, [თავად] ნაყოფო ნაზარდო, დიდად საზარდ-
 5 ბელო, | მოკიეინევე გარდარეულო, ლენეელო, მეტად ძლიერო, ათასნაირო; განაცხრობ მოკვდავთა, [ესრეთ] იხილვები, — მწეო და წმინდაო ყვავილო, ხარებაო მოკვდავთათვის — ტკივილის უნაწილო¹, ძევ ეპაფოსის, თამაშვენიერო, საკრველ-დახსნილო, განძვინებულო თირსის მპყრობელო, ბაკხურო ზახებაო, „ვეოს“ გიხმობენ, ყოვლისად გულმოწყალეო, ვისთვისაც გსურის, მოკვდავთა და უკვდავთა [მნათობო] ამოშავა-
 10 ლო; | აწ გიღალადებ, მოედ მესაიდუმლოეთა თანა, საამებელი და ნაყოფიანი.

ნ ი მ ფ ე ბ ი ს ა ლ ე ი

(50)

[შეიწირება] საკმეველი და სურნელი ბალახი.

ნიმფებო, ასულნო გულზვიადის ოკეანისა, დედამიწის სოველ-სავალიან სიღრმეთა ქვეშე გაქვთ სამყოფელი, სახლო თქვენი — დაფარული, ბაკხუსის გამდელნო, ქვესკნელისანო, ხარება-მრავალნო, ნაყოფის მზრდელნო, ლიმონარ-მდელოსანო,
 5 ხვეულ გზებზედ მიმორხეულნო, წმინდანო, | ქვაბულის მეტრფენო, ქვაბულში ხარებულნო, ჰაერსა შინა ჰკიეთ; წყაროთანო, მოსხლეტით მავალნო, ცვარი — სამოსელი თქვენი და რონინი — სუბუქი; საჩინონო, უხილავნო, ველებისანო, ყვავილმრავალნო; პანისა თანა მთად ასხლეტილნო, ბაკხუსის ქურუმნო და მხეველნო, კლდეებზედ რომელ მოედინებით, ამოხმიერნო, კვერთხი—საკურველი თქვენი, ტყეთა შინა ჰკი-
 10 ეთ, | ქალწულნო კეთილ-სურნელნო, თეთრ-სპეტაკით შემოსილნო, სიოს რომელ კეთილად ანჭრევთ, მწყემსებრნო, საძოარათა დედფალნო, ნადირნი გეტრფიან, ელვარე-ნაყოფიან-

¹ იხ. GPTH s, v. *Φιλάνθρωπος*: *expers doloris*.

ნო, მუხნარის მეტრფენო¹, ნანარნო, მრავალთა მზრდელნო და დედამძუქენო, ასულნო ჰამადრიაღებო [ტყის ფერიებო], შექცევის მეტრფენო, გზა-სოველნო, ნისელნო, გარდარეულნო, დაამებისანო, გაზაფხულით განჯრომილნო, ბაქუსის და დეოს თანა მოკვდავთათვის მადლია მომტანნო. მოედით კეთილად მოსაკრძალე² ელ ტაძართა შინა — სასარულევანნი სულით, უმწიკვლო წყართა გარდამადინებელნო ეჰმსა საზრდელის ზეავრიელაზის.

ს ა მ წ ლ ე უ ლ ი ს ა დ მ ი

(51)

[შეიწირება] საკმეველი და სურნელი ბალახი.

გიბმობ, ნეტარო, სახელმრავლო, გარდარეულად განმკრთალო, ბაქხევს, ხარისრქიანო, შენ, ლენაიოს², ცეცხლით თესულო, ნისელო, [ძალო] ჯაგისა და ტყე-ველისაო³, დედის განზრდილო, კალათიანო, რომლით მოგაქვს პირველ-მოსთვლული, ცეცხლშემოსილო და თავო მემსბევრპლეობისაო; ო, ღამისაო, სჯა-კეთილო, მიტრის მფლობელო, რომელი არხევ
 5 კვერთხს შენსას ბაქხურს, | წმინდა ქურუმო გამოუთქმელო, სამბუნებაო, დაფარულო რტოო ზევსის; პირმშოო, ბრძენო და შემოქმედო, ღმერთთა მამაო და თანავე ძეო; მზარს დაყრდნობილო⁴, სამეფო კვერთხის მქონებელო, ფერხისაის გარდარეულად მეტრფეო, წინამძღვარო საადათო სლვათაო; ბაქხუსის წმინდა და სრულად უჩინო სამწლეულთა მედღესასწაულეო, მიწით აღმომადინებელო [წყართაო⁵], ნათელო ცეცხ-
 10 ლისაო, ებაფოსის ძეო, ყრმაო ორდელიანო | მთებზე მორბედო, რქადასხმულო⁶, ირმის ტყავის სამოსიანო, წელიწდეუ-

¹ *Κηρυχαδεις* იკითხება ვულგატაში.

² *Αηνας* ღვინის ღმერთად იყო ცნობილი (ბაქხუს-დიონისე).

³ ვთარგმნეთ ლათინური თარგმანის მიხედვით: Faune, ნაცვლად. *ἄσθεσθ*-ისა.

⁴ წესად ყოფილა ბაქხური კვერთხის (თარსოსის) მხრით ტარება.

⁵ როგორც ფიქრობენ, ღვინისა, თაფლისა და სხვათა.

⁶ ი. სკალიგერი წერს: *αξιδας* — რქადასხმულო.

ლო, პეანო, ოქრო-საქურველო¹, შემოვლებულო, რომელს ვაზი გაქვს სამკაულად. ბაკხუს, სუროთი ხარებულო, სიმრაველესა თანა ქალწულთასა ჰგიე, კეთილად ქმნულო. მოუხვიდოდე, ნეტარო, მესაიდუმლოეთა, ყვავილებად გარდაშლილი და საბარულევეანი საუკუნო.

წ ე ლ ი წ დ ე უ ლ ი ს ა დ მ ი

(52)

[შეიწირება] საკმეველი და ყოველი [სურნელი],
გარდა ლიბანონისა.

მე წელიწდეულს² ვეზრახვი ბაკხუსს, [იმავე] ქვესკნელის დიონისეს, რომელ იღვიძებს ქალწულ ნიმფათა თანა თმამშეენიერთა და, პერსეფონეს წმინდა სასახლეში მძინარე, აძინებს
5 | სამწლეულ ჟამს, წმინდას, ბაკხუსისეულს; | ხოლო როდესაც კვალად სამწლეულს სლვას სალადობოს აღაორძინებს, საგალობელად მოიქცევა იგი კეთილად შემოსარტყლულთა გამდელთა თანა, — მოკიჟინე და აღმძრველი გუნდთა მრგვლიად მოსაქცეველსა ჟამსა შინა. ოლონდ, ნეტარო, გამოკვირტულო, რქის მქონებელო, ნაყოფიანო ბაკხუს, მოხვიდოდე ყოლად
10 | საღმრთო საიდუმლო მსახურებაზედ მახარებელი სახით, — | რომელი ფრიად წმინდა, მესაიდუმლოეობის ნაყოფით ფუფუნეული [ხარ].

სილენოსის, სატიროსის, ბაბახელთადმი

(53)

[შეიწირება] საკმეველი და მანანა.

ყური მომაპყარ, დიდად სავედრებელო მამამძიძეო და გამდელი ბაკხუსის, სილენოსთაგან ურჩეულესო, ვის პატივი უნ-

¹ *χρυσόκλις* -ის ნაცვალ პერმანუსს შემოაქვს *მუსმეუჩის*.

² ი. სკალიგერი შენიშნავს, რომ წელიწდეული — *αἰακιστής* — არ ეწინააღმდეგება სამწლეულს.

და მოგაგოს ყოველმან ღმერთმან ლა მოკვდაუმანცა ნათესაე-
 მან უამითი-უამად სამწლეულად, წმინდაო, მოსაყრძალეებლო,
 5 მედღესასწაულეთა ადათის საიდუმლოებათ-მთავარო; | მოკი-
 ენნო, მეტრფევ მღვიძარებისაჲ, ჭაბუკად ჰგიე თვისთა სილე-
 ნოსთათვის; ნაისების და ბაკხელების წინამძღვარო, სუროთი
 შემკობილთა; მოედ ყოლად საღმრთო საიდუმლო მსახურება-
 ზედ მესაიდუმლოეთა სატიროსთა თანა ყოველთა, ნადირის
 ხატთა, უფლის ბაკხური კიეინით აღგვიტაცე, ბაკხურთა დღე-
 სასწაულთა თანა წინასწარ მოგვიეღინე წმინდად განსასრულე-
 10 ბელი ლენეები, | წმინდა მესაიდუმლოეობის და მემსხვერპლე-
 ობის ადათს აღუჩინე ორგიები საღამისთეონი¹, ლალად მზახე-
 ბელო, თირსის მეტრფეო, რომელი მედღესასწაულეთათვის
 დამაწყნარებელი ხარ.

ა ფ რ ო ღ ი ტ ე ს ა ღ მ ი

(54)

ზეციერო, მრავალ-საგალობელო, განღიმების მეტრფეო
 აფროდიტე, ზღვითგან შობილო, დედფალო მეშვეო, წმინდა
 მეტრფეო საღამისთეონის, ღამისაო, უღლის დამდგმელო, ზაკეა-
 5 თა მთხზველო, დედაო გარდუვეალობისაო, ვინათგან ყოველი
 შენგან არს და მორჩილ შენდა—მთელი ქვეყანა; | და მძლე ქმნი-
 ლხარ სამისა მოირასი და ჰბადებ ყოველს, რაც კი ცად ჰგიეს
 და მიწაზედ ნაყოფმრავალზედ, ანუ ზღვაზედ. ანუ სიღრმესა
 შინა. ბაკხუსის წმინდა თანამდგომელო, რომელი იამებ ნადიმო-
 ბით, ჰყოფ ქორწილს, დედაო ეროსთა; [სასოების დედფალის]
 პეითოისად საქორწინო სარეცლით ხარებულო, დაფარულო,
 10 მადლიანო. | საჩინოო და უხილავო, ნაწნავებსანდომოო, ღირ-
 სეული მამის ასულო. სასძლოისაო, საზრდელიანო, მპყრობელო
 ღმერთთა სკიპტრისაო. ჰოი, ძუ მველო; მოდგმის მომცემო,
 მამრის მეტრფეე, ყოლად სანდომოვ და უამესო სიცოცხლის

¹ ეს ტერმინი გვხვდება ძველ ქართულ პიზნოგრაფიაში. ბერძნული *ψαλμογράφος*-
 ისთვის აბსოლუტურად ზუსტი არ არის.

მომღებლო, რომელმან შეაუღლე მოკვდავი აღვირუსხმელი
 გარდუვალობით და ნადირთა მრავალ თესლ-ტომსაც [ურთი-
 15 ერთ]-ლტოლვა აღუძარ სახრვით. | მოვედ, კვიპროსზე შობი-
 ლო საღმრთო ნატამლო; ან ოლიმპოზედ ხარ შენ, დედფა-
 ლო, ხელმწიფეო, ხატშვენიერად განღიმებულო, ანუ ჰმსახუ-
 რებ საკმეველ-უცხო სირიის საყდარს, ან ეტლთა თანა, ოქ-
 როსგან ქმნულთა, წმინდა ეგვიპტის ველებზე ჰსცავ შენ წყალ-
 20 მრავალ საბანელს, | ან ნაამები მრუმე ლურჯ-ფერა [ზღვის]
 ნაპირით¹, იხარებ მოკვდავთა მრგვლიად მროკველ დასებთან.
 ანუ იამებ მრუმე ლურჯ-ფერ თვალება ფერიებით ღმრთიან
 მიწაზე, ეტლით სუბუქით [ჰქრი] ზღვის წყალთა სილიან კი-
 დეს ანუ კვიპროსზე, ხელმწიფევე მდედრო, გამდელის თანა; იქ
 25 შვენიერი | უსძლო ნიმფანი, შეუუღლველნი. ყოველ წელი-
 წადს შენ გიგალობენ, ნეტარო, და უკვდავსა და წმინდა ადო-
 ნისს. მოედ, ნეტარო² დედფალო, დიად ხანდომო სახისაო,
 ვინათგან ღირსი სული [ჩემი] წმინდა სიტყვებით შენდამო
 ხმობს.

ა დ მ ნ ი ს ი ს ა დ მ ი

(55)

[შეიწირება] საკმეველი და სურნელი ბალახი.

მომაყურე შენდამო მლოცველს, ო, ღმრთეებაო სახელ-
 მრავალო, ურჩეულესო, ჰაეროვანთმებიანო, უდაბნოს მეტრ-
 ფევე, ხანდომო საგალობლებით გადაშლილო, ზრახვა-კეთილო,
 ათანაირო, ყოვლის საზრდელო დიდად საჩინოო. ქალწულო
 და ყრმაო³, შენ, ყოველთათვის რტოო საუკუნოდ, ადო-
 5 ნის, | იშრიტები ნათლისმცემელი მრგვლიად შვენიერთა ეამ-
 თა შინა, ხომრიელად ყვავილოვანო, წყვილრქიანო, დიად სან-
 დომოო; ცრემლი შენი პატივით შემოსილი ჰვიეს, პირად
 მბრწყინვალეო, ნადირობით ხარებულო, გრძელთმიანო, საწა-

¹ სიტყვასიტყვით: ზღვის ტალღასთან [მდებარე] ნაპირებით.

² დედანშიც მეორდება *μαχηριον*.

³ ქალწულსა და ყრმაში მთვარის ძალი თუ იგულისხმებაო, სქოლიასტებო მიუთითებენ.

10 დელ-გონებიერო¹ კვიპრიდას ტკბილო რტოო, ნატამალო
რტოო სიყვარულისაო, ნაწნავებსანდომო ფერსეფონეს სარე-
ცელზე ნაშობო, | რომელი ხარ ბნელ ტარტაროსს ქვეშე და
კვალად ოლიმპოს მიგაქვს სხეული მოსასთვლელი. მოედ, ნე-
ტარო, და მესაიდუმლოეთათვის მოილე ნაყოფი დედამიწისგან.

ჰვესკნელის ჰერმენისადმი

(56)

[შეიწირება] საკმეველი და „ხის რქე სულნელი“.

რომელი [ქვესკნელს მედინის,] გარდაუვალი კოკიტოსის
შემოუქცეველ ქვეყანას ჰგიე და მოკვდავთ სულებს წარუძღ-
ვები დედამიწის ქვეშე სამყოფოს, ჰერმეს ბაკბუსო, დიონი-
სეს ფერხისაის რტოო და ქალწულ პაფიესაო, წამწამ-შეენიე-
5 რის აფროდიტესო, — | პერსეფონესგან ვინ წმინდა სახლის
მხეველად ქმნულხარ, მწარე-წილხედომილ სულთა თანამოგ-
ზაურად დედამიწის ქვეშე ჰგიე, [სულთა] ამათ შთაუძღვები
რა ბედისწერის დადგება ეამი; ყოლად წმინდა, მძინარეობის
მომგვრელი კვერთხით მისნობას იქმ ყოველთა ზედა და კვა-
10 ლად მძინართა განაღვიძებ, ვინათგან | დედფალმა ფერსეფო-
ნიამ მოვაგო პატივი, რომ ვრცელ ტარტაროსს გზად უწინამ-
ძღვრო მოკვდავთა სამარადლეო სულებს. ოლონდ, ნეტარო,
მემსხვერბლეთა და მესაიდუმლოეთა მოეც მბრწყინვალედ
ზე-მხილვარება საქმეთა შინა.

ეროსისადმი

(57)

[შეიწირება] საკმეველი და სურნელი ბალახი.

მე ვუხმობ დიადს, წმინდას, სატრფიალოს, საამო ეროსს,
მშვილდოსანს, ფრთეფს, ცეცხლისმორბედს და ლტოლვით

¹ დედანში არის: *Κυδερσις*.

სრბაშენიერს, ღმერთთა და მოკვდავ ადამიანთა თანა რომ იშ-
ვეპს, მარჯვეს, ორბუნებოვანს, ყოველთა კლიტემქონებელს:
5 | ცია ეთერის, ზღვისა და მიწის— და მოკვდავთათვის ჩაოდენ
სულსაც ყველა გვარტომის დაჰმწყისის დედფალი სიმწვანისა
და გამოკვირტვისა და ჩაოდენიც ჰყავს ვრცელ ტარტაროსს
და ზღვას მძღავრზმიანს, — შენ ერთადერთს გაქვს ხელთ სა-
დავე ამათ ყოველთა. ხოლო, ნეტარო, წმინდა ზრახვებით საი-
10 დუმლო ღმრთისმსახურთა თანა მოედ, | სუბუქი და შორიელი
ლტოლვანი ამათგან წარმომიგზავნე.

მ ო ი რ ე ბ ი ს ა დ მ ი

(58)

[შეიწირება] საკმეველი და სურნელი ბალახი.

მოირებო, რომელთ არ გაქვსთ სამანი, სანდომო შეილნო
წყვდიადი ღამის, მომხედეთ მლოცველს, სახელმბრავალნო, რო-
მელნი ზეშთა-ციერსა ავაზანსა თანა ჰგეით, რომ თეთრი წყა-
ლი საღამეო სითბოითგან აღჩნდეს წყაროდ პოხილსა და ჩრდი-
5 ლოან სიღრმეს, ქვაშენიერ მღვიმესა შინა; | მონანქრევ იყვე-
ნით მოკვდავთ [სამყოფო] დედამიწაზედ, რომელ არს გარე-
შეუწერელი; მას უკან დახვალთ მოკვდავთ პატივოსანსა და
იმედით [ტვირთ-] აღსუბუქებულ ტომში, — მრუმე მეწამული,
წმინდად თხზული სამოსით შეფარულნო, საბედისწერო ველზე
[ხართ], სადაც ეტლს, მომვლელს მრთელი დედამიწისას, მიჰ-
რეკს დიდება, რომელს ახლავს სამანი სამართალის და იმედის
10 და საზრუნავისა | და აღთქმა ძველთა ღმერთკაცთა ჟამის და
გარეშეუწერელის საწყისისა შჯულშენიერის; ხოლო მოირა
მარტოდ დაჰმზერს ცოცხალთ ცხორებას და არცვინ სხვა
უკვდავთაგანი, ვის აქვს თავანი თოვლიერის ოლიმპოისა, თვი-
ნიერ ზევსის სახედველისა უნაკლულოს, და, ჩაოდენსაც
განვსცდით, ყოველი უწყის მოირამ და მის თანავე ზევსის გო-
15 ნებამ [უწყის] მარადღე. | ოღონდ ღამეულნო, მდაბალ-გონე-
ბიერნო, წყნარი და კრძალული სულისანო: [უცვალებლო]
ატროპე და ლაქესის და [მრთველო] კლოთოო — მომიხვიდო-

დეთ, კეთილშობილნო, ჰაეროანნო, უჩინონო, უქცეველნო; საუკუნოდ წარუშლელნო, რომელნი ყოველსავე მოიღებთ და წაჭვრით მოკვდავთა განჩინებით. მოირებო, მოაყურეთ ამას ჩემს ლოცვანს და სიწმინდის მცვრევას; | მოვედით, რომელ სიკეთის ნდოვით წამებისაგან დაჰხსნით მემსხვერპლეთა და მესაიდუმლოეთა. [გასრულდა ესე მოირების გალობა, რომელი ორფევსმან შეთხზა].

მ ა რ ი ტ ე ბ ი ს ა ლ მ ი

(59)

[შეიწირება] საკმეველი და „ხის რძე სულნელი“.

მომაპყარით ყური, ქარიტებო, განთქმულნო და მბრწყინვალედ პატივშემოსილნო, ასულნო ზეესისანო და ნაკეცებით თხზული სამოსელით მორთულ ევნომიესნო: ელვარეო აგლაიე, ყვავილოვანო თალეია და სახარულევანო ეფფროსინე, ყოლად ნეტარო; სიხარულის დედანო, სანდომონო, წმიდა ხარებანო. | ნაირსახიანნო, მარადლე აღყვავილებულნო, მოკვდავთათვის აჰოდ სასურველნო, სალოცავნო. წელიწადებში მოსაქცეველნო, გვირგვინი ყვავილისა არა საბე თქვენი, ყველას რომ ჰსურის. მოხვიდოდეთ, ბედნიერების მომღებელნო, საიდუმლო ღმრთისმსახურთათვის მარადლე სათნო იქნებოდით.

ნ ე მ ე ს ი ღ ა ს ა ლ მ ი

(60)

ო, ნემესიდა, შენ გიხმობ, დედფალს, უუდიადეს მდედრ ხელმწიფეს, ყოველსავე სწვდება სახედველი შენი¹, თანავე გამომეძიებელი და განმცდელი ტომად-ტომადთა მოკვდავთა ცხორებისა; სამარადლეოო, დიად სათაყვანებელო, მხოლოო, რომელი იხარებ სამართლიანებით, ფერისმცვალებელი ხარ

¹ გაშლილია *παιδοποιός*.

5 პირად-პირადის განჩინების, საუკუნოდ მერყევისა; | რომელს
ყოველთა არ-უხარწნელთა უღელი კისრად დაგისაყდრეს და
გწუთნეს. ვინათგან ნება შენი მარადლე ყოველთაგან იქმნე-
ბა, არცა გივიწყებს სული ამპარტავანი და სიტყვათა გაურ-
ჩვეელი სილალით მზვაობარი: ყოველსავე განსჭვრეტ და ყო-
ველსავე ისმენ და ყოველსავე განჰსჯი; შენში ჰგიეს მოკვდავ-
10 თა საქართალი, ყოველთა უზესთაესო ღმრთეებაო. | ნეტარო
და უმანკოო, — მწე მემსხვერპლეთა და მესაიდუმლოეთა, მო-
ედ სამარადლეოდ და მოეც კეთილი საფიქრალი, განმკრძალე-
ლო და განმარიდებლო ყოლად საქულველთა ნებათაგან, არა-
წმინდათა, ქედმაღლობით ყოლად ნაკლულევანთა და ფრიალ
ცოდვილთა.

ღ ი კ ე ს ა ლ მ ი

(61)

[შეიწირება] საკმეველი და ლიბანონი.

საგალობლად მაქვს თვალი დიკესი, სამართლის მსჯელის,
სახით მბრწყინვალის, რომელი ზევსის წმინდა საყდარზედ
ჰხის და ზეცით გარდამო მოკვდავთა ბევრი საგვარტომოს
დაჰმზერს ცხორებას, უმშჯავროთათვის შურის-მგებელი, [სას-
5 წორს] რომელ დაამძიმებს სამართლიანად, | ჭეშმარიტებას
რათა უსწოროს, რომელი შეჰკრებს არამსგავსთა და არაერთ-
ფერთა.

ყოველსავე, რაიც ბოროტი ფიქრებით ავად განსჯილ არს
მოკვდავთათვის, უფროისად უსამართლო სურევებით მოსურ-
ნეთათვის, შენ მხოლოი შეურაცხჰყოფ და უსამართლოთა სა-
მართალს განუჩინ, — მტერი უმშჯავროთა, კეთილგონებიერი
10 თანამდგომელი ხარ მართალთა. | ოლონდ, დედფალო, საახოე-
ნო ფიქრთათვის მოედ სამართლიანი, რათა სამარადლეოდ სი-
ცოცხლის ღირსი საგანგებო დღე დადგებოდეს.

[შეიწირება] საკმეველი და ლიბანონი.

ო, მოკვდავთათვის სამართლიანო ყოლად, აღვსილო ნეტარებით და სანდომოო, სისწორის გამო მარადლე კაცთა მახარებელი ხარ მართალი, ყოლად პატივით შემოსილო, წილხვედრ-ნეტარო. დიკეოსინე ქედმაღალო, სამარადლეოდ რომელ წმინდა მცნებებით და განჩინებებით განსჯი საჭიროდ

5 (αὐτὸν ἔμαρτυρα), | შენ, სინიდის-შეუმღვრეველი: რათგან შემუსრავ მარადლე ყოველს, შენს უღელს ვინც არ შეუვრლებიან, არამედ ზესთა ამა [უღლისა] მკაცრ სასწორს მძიმედ გადახრიან გაუმადლარნი. შეუძრველო და უშფოთველო, შეფრფინვით ვის [გიმზერს] ყოველი, მეტრფევ ზაკხური აღლაღების, საწადელო, სიწყნარით ხარებულო, ერთგული ცხორების [წმინდად]

10 მოშურნეო: | რათგან მარადლე უფროისს რასმე ემიშვი, ზოლო სისწორით და შეზავებით განიხარებ. ჭეშმარიტად შენში სიბრძნე და სიკეთე სრულ აღვსებად არის მედინი. ო, მომაცურე, დედფალო, მუსრავ მოკვდავთ სიავეს სამართლიანად, რომ საუკუნოდ წონასწორობით წარეპართოს გამორჩეული ცხორება მოკვდავთა კაცთა, რომელნი ნაყოფს ყანობირისას

15 შეექვევიან, | და იძრვისთა მათ ყოველთა, რაოდენსაც კი თავის წიაღში გამდელად ექმნეს მიწა — დედფალი დედა, თანავე ზევისი. ზღვაზედ [რომელ მბრძანებლობს].

ვეზრახვი უკვდავთა და მოკვდავთაცა წმინდა მეუფეს, ზეციერ ნომოსს, ვარსკვლავთმოქმედს. ბეჰედს სამართლიანს, ზღვისას და მიწისას, ზღვას შიგან მდებარის, — ბუნების სიმყარეს, გარდუზრელს, აღუმრღვეველს, საუკუნოდ დამარხულს

5 კანონებით, | რომლებითაც ზეგარდამო მოაქვს დიდი ცა და თავად მოვალს, უსამართლო შურს ხმაურის მსგავსად თავად

10 აოტებს; რომელი თანავე აღაორძინებს მოკვდავთათვის ცხო-
რების აღსრულებას მბრწყინვალეს; ვინათგან მხოლო ჰგიეს
ცხოელთა საჭეთმპყრობელად, უწრფელესთა ფიქრთა თანამ-
ყოფი და მიუქცეველი საუკუნოდ, | დიად ძველი, მრავალგან-
ცდილი, ყოველთა თანა კანონისათა და აღათით ქმნულთა ერთ
საწლად მოვანებული უვნებელად, ხოლო უკანონოთა და უა-
დათოთა მიმართ ძვირი სიავის მქონებელი. ოღონდ, ნეტარო,
ყოლად პატივშემოსილო, ბედნიერების მომღებლო, ყოველ-
თათვის სანდომოო, გული გაქენდეს მწყალობელი და მონდო-
ბილი და ხსენება შენი მოგვეც [დღესასწაულად], ყოლად სა-
ხიერო.

ა რ ე ს ი ს ა ლ მ ი

(64)

[შეიწირება] საკმეველი და ლიბანონი.

დაურღვეველო, სულგრძელო და დიად ძლიერო სულით,
მამაცო ღმრთეებაო. საჭურველით ხარებულო, დაუმონებელო,
ქრთილოან ღვინის მომსაოლველო¹, ქალაქის კედლებზედ
თავდამსხმელო, მეუფეო არეს, ვერაგულად ხმაურიანო, მოკვ-
დინებულთა სისხლით მცვრეულო მარადღე, კაცთ მოსისხლეო-
ბით ხარებულო, ბრძოლით შეჴზარავო და საშინელო, | რო-
მელს ჰოროლით და სატევარიით გასურის შერკინება უწურთნე-
ლად ხელოვანების; ო, დააყუდე მტრობა მძვინვარე და დახსენ
დაშვრომა სულის, ტირილოვანი და მწუხრიანი; ხოლო ტრფო-
ბისთვის წარნიზიდე კვიპრიდას მიერ და ბაკხური ქმენ ფერხი-
საი თავაწყვეტილი, რათა საჭურველის მოძალეობას ფერი უც-
ვალო დემეტრას საქმედ, [შენ,] რომელს გასურის მშვიდობა,
ყრმათა გაძველი და მომღებელი სვიანი ყოფის.

¹ *βρωσιχρῆς* ლექსიკონებში დადასტურებული არ არის. მნიშვნელობა გამო-
ვიძიეთ კომპონენტების მიხედვით: ქრთილის ღვინო (შდრ. ქრთილის მნიშვნელო-
ბა დემეტრას, ანუ დეოს, საკულტო ქმედებაში) და მოსპოლვა. *βρωσιχρῆς*
უნდა იყოს?

[შეიწირება] საკმეველი და ლიბანონ-მანანა.

ჰეფესტო, სულით პტიციეო, დიად ძალშემოსილო, ცეცხ-
 ლო უშრეტო და მბრწყინვალეო ცეცხლთა მობერვით, მოკვ-
 დავთა მნათობო ღმრთეებაო, ნათლიერო, მკლავმაგარო, საუ-
 კუნოო, წესი ცბორებისა შენისა — ხელოვანება. ოსტატო. წი-
 5 ლო სამყაროისაჲ და კავშირო უნაკლულოო, | ყოვლის შთამ-
 ნთქმელო, ყოველთა ლბილად მომაქცეველო, ყოლად უზეს-
 თაესო და ყოველთა მორიგეო ¹, [რომელ არიან:] ეთერი. მზე,
 ვარსკვლავები, მთოვარე, ნათელი უმანკო; ვინათგან ესენი ასო-
 ნასხამთა ჰეფესტოისთა მოკვდავთათვის განაცხადებენ. ზოლო
 ყოველი სახლის უფალი, ყოველი ქალაქისა და ყოველი ბალ-
 ხის ჰგიე და მოკვდავთა სხეულებში სახლობ, ფრიად სვიანო
 10 და ძრიელო. | ო. მოშაყურე, ნეტარო, გინმობ მემსხვერპლეთა
 ამათ თანა სიწმინდის მცერეჲად, რათა მარადღე მოხვიდოდე
 შენ, მდაბალი და ღმობიერი, საბარებელთა საქმეთათვის. და-
 აცხრე დაუშრეტელი ცეცხლის თავაწყვეტილი სიბორგილე,
 წვის ბუნებითის ვინ ხარ უფალი ჩვენს სახეულებში.

ა ს კ ლ ე პ ი ო ს ი ს ა დ შ ი

[შეიწირება] საკმეველი და მანანა.

ო, მკურნებელო ყოველთაო, ასკლეპიოს. მამფალო პეან,
 ვინ დაუამებ ადამიანთა სატკივარ-მრავალ საწამებელს, სნებო-
 თამიერს, მდაბლად და აჰოდ მბოძებელო, ძლიერო. ნეტარ მო-
 ხვიდოდე და მოგვიტანდე სიმრთელეს ჭანის, — სნებათა რო-
 5 მელ დააბრკოლებ. სასტიკ ძალთა სიკვდილისათა: ყვავილოა-

¹ *πανσοδότης*-*ლათინურ თარგმანში შეესაბამება omnia lustrans* (ყოვლის განწმენდელი).

ნო ყრმაო, სიავის გამრიდებლო, წილხვედრ-სვიანო, სხივიერ
ღებოს აპოლონის ძლიერო რტოო, მბრწყინვალედ პატივშემო-
სილო, სნებათა წინააღმდგომო, რომელს უმანკო თანამეცხედ-
რედ გყავს ჰიგიეია — სიმრთელე ჭანის. მოვედ, ნეტარო, მაყ-
ხოარო, და ცხოვრების კეთილი ბოლო მომაგე.

ჰ ი გ ე ი ა ს ა ლ მ ი ¹

(67)

[შეიწარება] საკმეველი და მანანა.

ო, სანდომოო, საამებელო, საზრდელიანო ყოლად კეთი-
ლო, ყოლად ხელმწიფეო მდედრო. მომაპყარ ყური, ნეტარო
ჰიგიეია, ბედნიერების მომნიჭებელო და დედაე ყოველთა;
შენგან ხომ სენნი მომაკვდინებელ ექმნებიან ადამიანთა, ხო-
ლო ყოველი კომლი ყვაეილობს — ფრიად ნახარები შენ გა-
5 მო | და ხელოვანება მძიმე გაქვს და გელტვის სამყარო, მბრძა-
ნებელო, მხოლოს გეწიშვის ჰადესი, სულთა მხრწნელი მა-
რაადე; კეთილო ნერგო, ყოლად ლოცვისა და აღთქმისშიერო,
მოკვდავთა შვებაო ჯა ფუფუნეულებავ, ვინათგან უშენოდ
უსარგებლოა ყოველი კაცთა ნათესაუისთვის; არცა პლუტოსი,
10 ბედნიერების მომნიჭებელი, ტკბილ არს სალხინოდ. | არც
ნაწამები მოხუცებული იქმნეს მამაცი გარეშე შენა, ერთად-
ერთს ძალგიც ყოველივე და ჰხელმწიფობ ყოველს. ოღონდ,
დედფალო, მოუხვიდოდე მწედ საუკუნოდ მემსხვერპლეთა და
მესაიდუმლოეთა, — ვინაც აშორებ მძიმე სნებათა განწირულ
წუხილს.

ე ვ მ ე ნ ი დ ე ბ ი ს ბ ა ლ ო ბ ა

(68)

[შეიწირება] საკმეველი და სურნელი ბალახი.

მომაყურეთ, დედფალნო, ყოლად პატივშემოსილნო, მალ-
ლად ხმიანნო, ბაკხუსის ქურუმნო², ტისილონე ჯა ალეკტო და

¹ ჰიგეია ან ჰიგიეია ჭანის სიმრთელის დედფალია.

² *Επίκουρος* — ბაკხუსის ქურუმი. GPh.

ღმრთიანო მეგაირა. ღამისანო, დაფარულნო, ქვაბულთა საწ-
 შილარსა ქვეშე სამყოფოს მქონებელნო, ბნელოვანსა მღვიმეს
 5 შინა. სტიქსის წმინდა წყლის პირას; | მოკვდავთა საღმრთო
 ზრახვების თანად არ ჰფრენთ მარადღე, თავაწყვეტილნო,
 მზვობარნო, განგებით მოდღესასწაულენო, ნადირის [სახის]
 პეპლოსიანნო, შურისმგებელნო, დიად ძლიერნო, მძიმე სატ-
 კივრის მომგვრელნო; საშინელნი ქალწულნი [ჰგეთ] ჰადესის
 10 ქვესკნელითგანნი. ნაირსახიანნი, დილეულნი, უხილავნი, მოსწ-
 რაფედ მსხლტომნი. ვითარცა აზრი: | ვინათგან არცა მზის
 სწრაფნი აღნი, არცა მთოვარის, ანუ სიბრძნის, ანუ სათნოე-
 ბის, ანუ გამორჩეული კადნიერების მადლი კეთილი, არცა პო-
 ხიერი და ყოლად შევნიერი სიჭაბუქისა — გარეშე თქვენსა
 ღმრთის ცხორების კეთილგონებიერებას. ოღონდ მარადღე ყო-
 15 ველთა მოკვდავთა შემოუწერელი სავკარტომონი | მოიხილეთ
 დიკეს თვალით, [ვინათგან] საუკუნოდ მსაჯულნი ჰგეთ.
 დედფალნო მოირებო, ნაწნავნი თქვენნი — გველის სახენი,
 ათასნაირნო, წყნარად გარდასცვალეთ ცხორების გონით საა-
 მებელი დიდება. [ოღონდ, ნეტარო, წმინდაო, ნეტარ მესი-
 დეს-ღოვთა წმინდა ნათელს მიჰმატებდე.]¹

ე ვ მ ე ნ ი დ ე ბ ი ს ა დ მ ი

(69)

[შეიწირება] საკვეელი და სურნელი ბალახი.

ო. მოწყურეთ, ევმენიდებო, სახელოანნო, კეთილგონებიე-
 რად მოსურნენო და მზრახვალნო. წმინდა ასულნო ქვესკნელის
 დიდი ზევსისანო, ფერსეფონესნო, — ნაწნავშვენიერ სანდომო
 ქალის, ცხორებას რომელ ყველა მოკვდავის ურწმუნოისას
 5 თავზედ დაჰყურებს; | უსამართლოთა მიმართ შურისმგებელ-
 ნო, უცილობლად მთავარნო, მრუმე ლურჯფერნო ხელმწიფე
 მდედრნო. სახედველთაგან რომელ აეღვებთ საშინელს, თვით-
 მბრწყინვალეს, ნათლის ელვარებას, განმბრწყინელს ხორცისას;

¹ ფიქობენ, რომ ეს ბოლო სტრიქონი სხვა ჰიმნიდან მიერთო.

[თქვენ—] სამარაღლონი, სახედველ-საშინელნი, შექცეულნი, თვით-ძლიერნი, ნასხამთა განმხსნელნი ძლიერი სურვით, სას-
15 ტიკის ღამისანი. ჭირ-მრავალნი, | ღამეულნი ასულნი, გველის [სახე]-ნაწნაეიანნი, სახედველ-საშინელნი [ჰგეეთ]: თქვენ გიბმობთ და გეზრახვით მოახლებად ფიქრთა თანა წმინდათა.

მ ე ლ ი ნ ო ე ს ა ლ მ ი

(70)

[შეიწირება] საკმეველი და სურნელი ბალახი.

მელინოეს — მიწისქვეშეთის ნიმფას — ვეზრახვი, ზაფრა-
ნისფერი პებლოსით მოსილს, რომელი საღმრთო სარეცელზე
ზევსისა, კრონოსის წულის, კოკიტოსის ღვარებთან დაჰბადა
5 წმინდა ფერსეფონემან, ზოლო ესე პლუტონმა აცთუნა და
შეერთო მზაკვრულად და ფერსეფონეს ნებით [მელინოემ]
ორფერი სნეული აღმოიხადა; საოცრებებით მან დილეულით
მოკვდავნი ქმნა თავაწყვეტილად, სრულ სხვანაირი გვარით¹
გამოაჩინა სახე ხატისა, — ხან ცხადმან, ხან ბნელოვანმან, ღამე
10 მნათობმან, პირდაპირი მისაჯალებით [მედინმან] უკუნის
სახის ღამეში. | ოლონდ, დედფალო, ელოცულოზ შენდა, ქვესკ-
ნელისათა ხელმწიფევი ვიდედრო, მოინებე, რომ სულს ჰსურო-
დეს დედამიწის საზღვართა შინა და მწყალობელმან და კეთი-
ლად წმინდამან განუცხადე პირისახე მესაიდუმლოეთა.

ტ ი ქ ე ს ა ლ მ ი

(71)

[შეიწირება] საკმეველი და ლიბანონი.

ო, ტიქე, კეთილ დედუფალს გეზრახვი ამა ლოცვებით,
ტკბილს, გზათასა და ბედნიერი საცხოვარისას, არტემიდას, წი-
ნამძღვარს განთქმულს, [შენ,] ევბულევსის სისხლითგან შო-

¹ დედანში: *ιδέα* — „სახე“ შეესაბამება *εὐποι*-ს, ხატო — *μορφῆς*-ს.

5 ბილს და დამომავალს, დაუძლეველი ლოცვის მქონებელს,
 | ტიმბიდიას, ცთუნებაშრავალს, საგალობელს ადამიანთათვის,
 ვინათგან შენში არს მოკვდავთა ცხორება, ყოლად ფერადი;
 ვინათგან ზოგთა მიაძმხვევ საცხოვარის სიმრავლეს, დიად
 იღბლიანს, ხოლო ზოგთა— ავს სიღატაკეს, რომელი ნაღვლით
 10 სულს შეამღვრევს. ოღონდ. დედფალო, ელოცულობ შენდა-
 მო, მოვედ — ცხორებისად მწყალობელი | და ბედნიერნი აღა-
 ვსე სვეკეთილი საცხოვარით.

დ ე მ ო ნ ი ს ა ლ მ ი

(72)

[შეიწირება] საკმეველი და ლიბანონი.

დემონს ვეზრახვი. მას დიდ წინაძღვარს¹. ძრწოლის მომ-
 გვრელს, ზევსს მოწყალეს, ყოლად მეშვეს, მოკვდავთათვის
 სიცოცხლის მომცემს, ზევსს დიდსა და ბევრგზის ცთომილს,
 რომელს უპატიობა არ ავიწყდება, ყოლად ხელმწიფეს, სიმ-
 5 დიდრის მომღებელს; ხოლო თულა, სიცხოვლით გარდაშლი-
 ლი, სახლად შევალს, | უკანვე წარუღებს სიცოცხლეს მოკვ-
 დავთ, სრულ დამაშვრალთა. [აღსრულდება ესე ყოველი,]
 ვინათგან მწუხარებისა და სიხარულის კლიტენი შენ გქონან.
 ამისთვის, ნეტარო, წმინდაო, განმქარებელო თესლმრავალი
 კმუნვის, რომელი სიცოცხლის წარწყმედას თან სდევს მრთელ
 დედამიწაზე. — ცხორების დიდებული და ტკბილი, კეთილი
 აღსასრული მოიღე.

ლ ე ვ კ ო თ ე ა ს ა ლ მ ი

(73)

[შეიწირება] საკმეველი და სურნელი ბალახი.

ლევკოთეას ვუხმობ, კადმოსის ღმრთეებას სალოცავს, მე-
 ტად ძლიერს, გვირგვინკეთილი დიონისეს გამდელს. მომაპყარ
 ყური, დედფალო, ხელმწიფეო ზღვისაო, მკრდითა რომ ღრმა
 არს, ჩქერალებით ხარებულო, მოკვდავთა მაცხოვრებელო დია-

¹ *μυγαλασχημα* მცდარი ფორმა (*vitiosa vox*): GPT^h.

5 დო; | ვინათგან შენში არს ხომალდთა [ხსნა]. დროდღრო
ზღვა¹ რომელ აღიძრვის; ერთადერთი განარინებ მოკვდავთა
საწყალობელი წილხვედრისაგან ზღვას შინა. რომელთა მო-
მართ მოსწრაფე ხარ, შენ, მოყვასი, მაცხოვრად მოუხვიდოდე.
და, ხელმწიფეო დედფალო, ვინ მეოხად ჰგიე, მოსლვას მოი-
ნებებდღე მხსნელად ერთოკეთილი ხომალდებისთვის მწყალო-
10 ბელის სურვით, | მემსხვერპლეთა და მესაიდუმლოეთა ზღვას
შინა ხომალდთ-სასრბოლო ზურგის ქარს რომელ დაადევნებ-

კ ა ლ ე ვ ო ნ ი ს ა დ მ ი²

(74)

[შეიწირება] საკმეველი და მანანა.

ბაკხუს, თანშეზრდილო სრულ ხარებულის დიონისეს ჭუნ-
დთან, რომელი სახლობ წმინდა უფსკრულეებში ზღვისა, სიდ-
რმითვე რომ შეიძრება და აზავთდება; შენ გიხმობ, პალემონ,
მოსლვად ყოლად წმინდა საიდუმლო ღმრთისმსახურებისთვის,
[გიხმობ] დამნდობელს, ვინ ყმაწვილურად ხარების ხარ გა-
5 მომეტყველი, | იხსენ მესაიდუმლოენი და მემსხვერპლენი ხმე-
ლსა და ზღვაზე, ვინათგან წყალში ცთომილთა ხომალდთა ავ-
დარში ეცხადები მარადღე, ერთადერთ მხსნელად იხილვები
მოკვდავთათვის და სრულ განპლევ ზღვის ტალღებზე უმძიმეს
რისხვას.

მ უ ზ ე ბ ი ს ა დ მ ი

(75)

[შეიწირება] საკმეველი და ლიბანონი.

მნემოსინეს და მძლავრად მგრგვინავი ზევსის ასულნო, მუ-
ზანო, პიერიის მკვიდრნო, დიდად სახელოანნო, სიტყვა-

¹ ტექსტშია: ზღვათა მსრბოლი — *πελαγοπόρομος*.

² ზღვის ღმერთის სახელია.

მბრწყინვალენო, მოკვდავთა რომელ თავს ევლებით. ფრიად
სანდომონო, მრავალსაბენო, ყოლად მწაფველნო და მით უყ-
ვედრელი სიკეთის მოქმედნო, | სულის გამდელნო, გულისბ-
5 მის სიწრფოების მომცემელნო და ყოლად ძლიერი გონების
წინამძღვარნო დეღუფალნო, რომელთაც საიდუმლო ღმრთიან-
მსახურება მოკვდავთ ასწავეთ [და დაუდგინეთ] მემსხვერპ-
ლენი და მესაიდუმლოენი; კლეიო და ევტერაჲ და თაღია და
მელბომენე და ტარფსიქორე და ერატო და პოლიმნია და ურა-
10 ნიე | და კალიოჲ დედითურთ, რომელ არს ყოლად ძლიერი
წმინდა დედფალი. ხოლო მოუხვიდოდეთ მესაიდუმლოეთა,
ღმერთქალნო, ათასნაირნო და წმინდანო, და მოაგებდეთ სურ-
ვას კეთილს, ამოს და ყოლად საგალობელს.

მ ნ ე მ ო ს ი ნ ე ს ა ლ მ ი

(76)

[შეიწირება] საკმეველი და ლიბანონი.

მე ხსოვნას ვუხმობ, მნემოსინეს, თანამეცხედრეს ზევსისას,
ხელმწიფე მდედრს, რომელმან შვა წმინდა მუზები, შუებლა-
ლაენი, მალლად ბგერადნი; იგი შორს ჰვიეს ავი ხსოვნისაგან,
საუკუნოდ გონდაკლებულის და ვნებულისა; მტკიცედ აერ-
5 თებს ადამიანთა სულებთან გონებას სრულს, | კეთილ შემძლე-
ბელს, ძლიერს, რომელი ჰმატებს მოკვდავთა ცნობას, —
[ხსოვნა] უამესი, მღვიძარების მეტრფე, ყოვლს მომგონი.
რაიც თითოეულად მარადღე მკერდში დაუნჯდება გულისხმად;
სრულ არ დაურღვევს, განუფხიზლებს გონებას ყოველს. ხო-
ლო, დედფალო, ნეტარო, მემსხვერპლეთა განუღვიძე ხსოვნა
დიად წმინდა საიდუმლოების და დავიწყება მათვე აშორე.

ე ო ს ი ს ა ლ მ ი

(77)

[შეიწირება] საკმეველი და მანანა.

ო, მომაცურე, დედფალო, მოკვდავთ წილ ნათლიერი ღლის
მომყვანებლო, ეოს მბრწყინვალედ ნათელო და [მრთელი]

სამყაროს განმაცისკრისფერებელი, მაცნევ ტიტანის, ღმრთი-
 5 სა დიდის უმანკონსა, — შენ, რომელი ღამის უკუნისფერ.
 მრუმე ფერის გზას | დედამიწის ქვეშე წარპვლი შენად აღმო-
 სავალად: ცხორების საგმირო საქმეთ წინამძღვარო, საღმრთო
 მბევალ ნოკვდავთაო; ცისკრისად განიხარებს ტომი მოკვდავ-
 10 თა კაცთა და არცვინ არის, რომ განევლტოდეს სახეს შენსაჲს,
 ზესთა მყოფს, ოდეს განაგდებ ტკბილ ძილს თვალის კილო-
 თაგან. | ო, გიხაროდენ ყოველ მოკვდავს, ყოველ მცურავს და
 სხვათა გვართა ოთხფერხთა, მფრინველთა და ზღვის იძრვის-
 თა მრავალსახეთა; ვინათგან მთელს ცხორებას ნამუშავევს მო-
 კვდავთათვის მოიღებ. ოლონდ, ნეტარო, უმანკოო, ნეტარ აღ-
 მატებულ ჰყოფდე მემსხვერპლეთათვის წმიდასა ნათელა.

თ ე მ ი ს ი ს ა ლ მ ი

(78)

[შეიწირება] საკმეველი და ლიბანონი.

ცის ასულს წმინდას ვუხმოზ თემისს, კეთილმამიანს, დედა-
 მიწის ნელდ რტოს და პირად ყვავილს გადაშლილს, ქალწულს,
 ვინაც პირველმან განუცხადა მოკვდავთა წმინდა წინასწარ-
 მეტყველება დელფოს საწმიდარს შინა, ღმერთთა განმსჯელმან
 5 , პითოს მიწაზე. სად დელფოს მეფა და ასწავა ფებოს მეუფეს
 მართლმსაჯულება. ყოლად პატივით შემოსილო, პირად ელვა-
 რეო. სათაყვანოო, ღამე ცთომილად მორბედო: ვინათგან პირ-
 ველმან წმინდა მესაიდუმლოეობა მოკვდავთა გამოუცხადე
 და ბაკბურ ღამეებში სახარულევანი სიტყვებით ქებას სწირავ-
 10 დი მეუფეს; | შენგან არს პატივი ნეტართა და წმინდა მესაი-
 დუმლოეობის წესი. ოლონდ, ნეტარო, აღლადებული კეთილგო-
 ნებიერი ზრახვით, მოუხვიდოდე დიად წმინდა მემსხვერპლეთა
 [მსახურების] სრულქმნად, ქალწულო.

[შეიწირება] საკმეველი და ლიბანონი.

ზამთრის ქარბით რომელი ერეკები ხშირთა ჰაერთა ქვეყანისათა, გამყინავო ბორეას, თოვლიანი თრაკითგან მოედ და დახსენ სრულ ღრუბლიანი შთაშოდგომა ჰაერის სოველსაეალიანის, სინოტივის (?) მნქრეველო წვიმისაგან გაჩენილი წქალისაო. ! ქმენ ყოველი ნათელი და გამჭვირვალე. თვალფეროვან ყავ ეთერი.

ზ ე ფ ი რ ი ს ა ლ მ ი

[შეიწირება] საკმეველი და ლიბანონი.

ნიაენო დასავალისანო, ზღვისგან შობილნო და ჰაერის მორბედნო, ამოდ ნქრეულნო, ჩურჩულით მოუბარნო, რომელნი დაღლილთა განსკვენებთ, გაზაფხულისანო, ლიმონარ-მდელოსანო, ნავთსაყუდელთათვის სანდომონო, ხომალდთა მშვიდად და ჰაერის სიაუბუქით წიად-მყვანებელნო, | ნეტარ მოხვიდოდეთ, — მონაბერნი, შემნანებელნი და შემნდობელნი, უყვედრელნი, დილისანი, უზილაენი, სუბუქ-ფრთედენი, ჰაერის სახენი.

ნ ო ტ ო ს ი ს ა ლ მ ი

[შეიწირება] საკმეველი და ლიბანონი.

[შენ,] მარჯო სრბაო სოველი გზებით ჰაერსა შინა და სწრაფი ფრთებით აქათ და იქით მიმონქრეულო, ნეტარ მოხვიდოდე ნოტიოთა ღრუბელთა თანა, წვიმების ტომის დასაბამო; ვინათგან ესე ზევსისგან არს [განწესებული] შენად პატივად — სრბა ჰაერში, | წვიმის გამჩენი ღრუბლების ჰაერთგან მიწაზე გარღმოყვანება. აპიტომ ვლოცულობთ შენდა, ნე-

ტარო, [მემსხვერპლეობით] წმიდით, რომ მადლიანმა მოიყვანო ნაყოფთა მზრდელი წვიმები დედამიწაზე.

ოკეანის აღმო

(62)

[შეიწირება] საკმეველი და სურნელი ბალახი.

ოკეანეს ვუხმობ, მამას უბრუნელს, მარადლე მყოფს, უკვდავ ღმერთთა საწყისს და მოკვდავთაცა ადამიანთა; რომელი ახავთებულ არს — დედამიწის მრგვლიად შემომწერელი, რომლისგან ყველა მდინარე ჰგვის და ყველა ზღვა | და დედამიწის პირველქმნულ წყაროთმიერი წმინდა სისოვლე. ყური მონაპყარ, ნეტარო და ყოლად ბედნიერო, ღმერთთა უდიდესო განსაწმედლო, დედამიწის სურვიელო საზღვარო, საწყისო ცისავ, გზაწყლიანო — მოხვიდოდე საიდუმლო ღმრთისმსახურთა მომართ გულმოწყალედ, მარადლე ხარებული.

ჰესტიას აღმო

(63)

[შეიწირება] საკმეველი და სურნელი ბალახი.

ჰესტია, დიად ძლიერის კრონოსის ასულო, ხელმწიფე დედავ, რომელს შუაგულ სახლში გიპყრია [ნაწილი] ცეცხლის უდიდესის, სამარადღეოსი, — შენ ამათ ღირსთა წმინდა მსახურებაზედ მემსხვერპლეებად ხელნი დაასხენ; იქმნენ მარადლე აღყვავებულნი, სვიანნი ფრიად, გულმოწყალენი და წპიდანნი; | კშევნი, ვითარცა ნეტართა ღმერთთა და მოკვდავთა საყრდნობელი ძლიერი. საუკუნოო, მრავალსახეო, ყოლად სანდომოო, სიმწვანის სახეო, გადიმებულო, ნეტრეულო. შენ შეიწყნარე ესე სიწმინდე გულდადებულად, ყოფას სვიანს ანქრევე [ჩემდამო] და ხელის სიაჟით და სისუბუქით¹ [მომამადლე] განის სიმრთელე.

¹ იხ. GPh. s. v. ἡπιόχευσι. ამას შეცდომად თვლიან. ჩვენ მანც შევეცადეთ გვეთარგმნა კომპონენტების გააზრებით. „ხელის სიამეს და სისუბუქეს“ შეიძლება ზემატერიალური ასპექტი ჰქონდეს, როგორც აქვე ზემოთ „ხელდაახმას“.

[შეიწირება] საკმეველი მიკონის მცენარითურთ¹.

ძილო, მეუფევე ყველა ნეტარი მოკვდავისა, ადამიანის და ყვე-
 ლა იძრვისის, რაოდენს ვრცელი ჰზრდის დედამაწა; ვინათგან
 ყოვლის უძლიერესი ხარ მხოლოი და მოუხვალ ყოველს, რა
 სხეულთა შეაბორკილებ, [ოლონდაც] არა სპილენძისაგან გა-
 5 მოჭედილი ფერხ-საყრველებით. | დამხსნელო საზრუნავისაგან,
 გულის გვემათა ლბილო საშეებელო, რომელი წმინდად აღ-
 სუბუჭებას იქმ ყოვლისაგან მწუხარებისა და სიკვდილის სა-
 გონებელს განჰსცდი და სულთა ათავისუფლებ, ვინათგან
 ღვიძლი ძმად ქმნულხარ დავიწყებისა და სიკვდილის². ხო-
 10 ლო, ნეტარო, ვილოცებ მასზედ, რომ მიემთხვიო შენ მაღალი
 ღაღადისით ნანატრ სიამეს, | რომელი წმინდა მსახურებისას
 სიკეთის ნდომით დაიფარავ მესაიდუმლოეთა.

[შეიწირება] საკმეველი და სურნელი ბალახი.

გეზრახვი ნეტარს, ო, ფრთებგაშლილო³ მრთელო სიზმა-
 რო, მერმისის მაცნევ და მოკვდავთათვის წინასწარ-მგალობე-
 ლო⁴ უდიდესო, ვინათგან ტბილი ძილის სიწყნარით მღუმა-
 რედ მოხვალ, უხმობ მოკვდავთა სულებს, თავადი განაღვიძებ
 5 გონებას [მათსას] | და საცნობელსაც ნეტართა ძილად საი-
 დუმლოდ მისდრეკ თავადი; შეფარვით მყოფი — მერმისს წი-

¹ ქართული სამწიგნობრო ტრადიციით, მიკონის-მცენარე (μακισα) ჰქვია ყაყაჩოს.

² შტრ.: უწინდელი ცოდნის დავრწყება ბრძანების მოკვდინებოს სწორია. იხ. ჩენი „ჰიმნოგრაფიული კანონის კომპოზიცია“, თბილისი, 1982, გვ. 6—7.

³ εαυσπλανερεθ მთვარის ეპითეტია ჰომეროსის ჰიმნში.

⁴ დელანში: გლიჟადბე. გერმანულ თარგმანში: Prophet.

ნასწარ განუტყბადებ მღუმარე სულეებს, ხოლო მათ უფლის
 წმინდა მხევალთა თანამღევეია ღმერთების გონება, გამორჩეუ-
 ლი, როგორც მარადლე სიკეთე იქმდეს უფროისად დაზესთა-
 ვებას საცნობელთათვის, სიამით უნდა მიიზიდოს ცხორება კაც-
 10 თა, წინათვე ხარებულთა, | შვება [მიაგოს] ბოროტისაგან,
 რათა მიუთხრას თავადმან ღმერთმან, ლოცვანის მცვრევით
 და მემსხვერპლეობით ნალველი განაქარვონ მამფალთა; ვი-
 ნათგან კეთილ-მორწმუნეთათვის ზემხილვარება მარადლე უფ-
 რო საამებელ არს; ხოლო ავთათვის [სიზმარის ხილვა] არ
 15 საჩინო-ყოფს გარდუვალ მერმისს. სიზმარის სახევე, ბოროტ
 საქმეთა მაცნევე, მოგვითველი, | რათა იპოვნებოდეს დახსნა
 მდინი ტკივილისაგან. ოღონდ, ნეტარო, ვლოცულობ შენ-
 და, მამცნე ღმერთების გაცხადებული, რომელ მარადლე
 წრფელ საცნობელთა მიეახლო თითოეულად და არცრა ავის
 ნიშანი ენალაქარდიანთა უქმნა საჩინოდ.

თ ა ნ ა ტ ო ს ი ს ა ლ მ ი

(86)

[შეიწირება] საქმეველი და მანანა.

მოიხილე, ყოველთა მოკვდავთა საჭეთმპყრობელო, წმინ-
 დისა ჟამის მომცემელო ყოვლისად, ვისთვისაც შორად ჰგიე,
 ვინათგან შენი ძილი მოსრავს სულს და [აქრობს] სხეულის
 5 ნიშანწყალსაც, ოდეს განხსნი ბუნების ძლიერ საკრველს, |
 ცოცხალთათვის მოგაქვს ხანიერი და უკუნითი ძილი. ზიარი
 ყოველთა, უსამართლო ჰგიე ზოგთათვის, მოსწრაფებით
 სწყვეტ ცხორების ყრმის-ასაკოვან ყვავილობას; ვინათგან
 შენში, ერთადერთში, არს განკითხვა ყოველთა; ვინათგან ვერ-
 10 ცა ლოცვებით მოგილობს გულს ძალი და ნდომა სიცოცხ-
 ლისა, ვერცა ვედრებით. | ხოლო, ნეტარო, სიცოცხლის ზა-
 ნიერებას რომ მიმამთხვიო, ვლოცულობ შენდა, მემსხვერპ-
 ლეობით და მუდარით შემყურე და მსახური შენი, რათა სი-
 ბერე შეენიერ საბოძვრად ექმნეთ ადამიანთა.

პროკლე დიადოხოსი

პროკლე დიადოხოსს ფართო სამეცნიერო საზოგადოება ეცნობს როგორც ფილოსოფოსს. მით უფრო საინტერესოა მასი ჰომნოგრაფიული შემკვიდრეობა. ამ მხრივ პროკლე დიადოხოსი თანაპედროვე ქართულ მეცნიერებაში სრულიად უცნობია. წ. ნუცუბიძე ასახელებს ე. ჰონიგმანის მიხედვით იეროთეოსისა და პროკლეს „ეროტიკულ ჰიმნებს“¹. საზოგადოდ. ერთგვარად გამოსაკვეთი ჩანს ის ტრადიცია, რომელიც „სოფლმხედველობრივად ანტიკურ ჰიმნებთან აკავშირებს აღრებიზანტიურ (ქრისტიანთა და წარმართთა წარმოდგენების გარკვეული ერთობის პერიოდის)² საგალობლებს.

Vita Procli-ს ცნობით (ავტორი არის პროკლეს მოწაფე მარინუსი), პროკლე დიადოხოსი თავის თავს მესაიდუმლოვდ ხელუდასხმულად თვლიდა. ძველი პითაგორელის — ნიკომაქეს — ბელაბალ განსხეულებად. ასე რომ პროკლეს ქმნილებები ნისტის განცდილია. განსაკუთრებული ემოციით გახლავთ აღბეჭდილი მისი პოეტური თხზულებები. როგორც მარინუსი წერს. ღამღამობით პროკლე ქმნიდა ჰექსამეტრით წკობილ ჰიმნებს. მიძღვნილს ღმერთებისადმი. აქ ისიც უნდა ითქვას: მიაყურეთ ფსევდო-დიონისიოს არეოპაგელს და მის ფილოსოფიურ პროზას უთუოდ საგალობლებად აღიქვამთ. ეს ერთობა და გალობის წინ წამოწევა თავის ადგილს პოულობს სამეცნიერო ლიტერატურაში. არც ის დარჩენილა შეუმჩნეველი, რომ ეფრემ მცირე, იოანე პეტრიწი, მთაწმინდელები და სხვა მათი თანამედროვენი სწორედ რომ ადევკვატურს, საგალობლის მიყურადების განწყობას ქმნიან.

¹ წ. ნუცუბიძე. ქართული ფილოსოფიის ისტორია, I, თბილისი, 1956, გვ. 203

² იხ. С. С. Аверинцев, Эволюция философской мысли; Культура Византии (IV—первая половина VII в.), Москва, 1984, гв. 42—77.

ძველი ხელნაწერების გადამწერნი არ აშორებენ ერთმანეთს ორფიკულ. ჰომეროსულ ჰიმნებს, კალიმაქეს ჰიმნებს და პროკლეს ჰიმნებს. რიგ შემთხვევაში ეს უკანასკნელნი (პროკლეს ჰიმნები) ორფევსს მიეწერება (და ასევე რჩება, მაგალითად, ლონდონის 1793 წლის გ. ვეიკფილდისეულ გამოცემაში). იმდენად დიდია ორფიკულ საგალობლებთან სიახლოვე. ამ მხრივ საგულისხმოა, რომ იოანე პეტრიწი, პროკლეს განმმართველი, „ორფეოსა წიგნს“ მიმართავს¹.

პროკლეს ჰიმნები პირველად გამოიცა 1500 წელს (დესევიდო-ორფევსის „არგონავტიკასა“ და ორფიკულ ჰიმნებთან ერთად) და, იმ დროიდან მოყოლებული, მათი მრავალი გამოცემა არსებობს. ჰიმნების ქართულად თარგმნისას ჩვენ ხელთ გვქონდა ე. ფოგტის გამოცემა, განხორციელებული ვისბადენში 1957 წელს². ამ წიგნში დეტალურად არის შესწავლილი თითოეული სტრიქონი, თითოეული სიტყვა, გაანალიზებულია ტექსტოლოგიურად, მეტრის თვალსაზრისით (დაქტილური ჰექსამეტრია საზომი), აღწერილია ყოველი ტერმინის ადგილი როგორც პროკლესავე ფილოსოფიურ თხზულებებში, ასევე სხვა ფილოსოფოსებთან, პოეტებთან და ა. შ. როგორც ჯერ კიდევ „პროკლესათვის კომენტარების შემდგენი იოანე [პეტრიწი]“, ნ. მარის სიტყვით, „მუდმივ ტრიპლებს არა მარტო ნეოპლატონიკოსთა ქვეყანაში, არამედ ანტიკურ პოეტებისა და ფილოსოფოსების ქვეყანაშიაც“³. ერთი შეხედვით, ე. ფოგტის შემდეგ თითქოს აღარაფერი საკვლევი. მაგრამ ბევრი რამ ჯერ კიდევ შეიძლება გამოვლინდეს. პროკლე დიადოხოსს შეთხზული უნდა ჰქონოდა სხვა საგალობლებიც, კერძოდ ჰესტიასადმი, რასაც მოწმობს 3. ფრიდლენდერის ვარაუდი იმის შესახებ, რომ გვიანი ან-

¹ იოანე პეტრიწის შრომები, II, ტექსტი გამოსცეს და გამოკვლევა დაურთეს შ. ნუტუბიძემ და სიმ. ყაუხჩიშვილმა, ტფილისი, 1937, გვ. 208.

² Procli Hymni, ed. E. Vogt, Wiesbaden, 1957.

³ იოანე პეტრიწის შრომები, I, ქართული ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო სიმ. ყაუხჩიშვილმა, თბილისი, 1940, გვ. XXXIV.

ტიკურობის ერთ დოკუმენტზე (ეს არის ნაბატი ქსოვილი) ეგების გამოსახული იყოს ჰესტიასადმი გალობის შეწირვა პროკლე ფილოსოფოსის მიერ¹; მით უფრო, რომ თ. ყაუე-ჩიშვილმა გაგვაცნო საკრალური, სატაძრო წარწერა, სადაც ჰესტია პირველ ადგილზეა სალოცავთა კარგა ვრცელ რიგში.

პროკლეს „*Προκλήτου ἑξασημερινή*“-ს რუსულად მთარგმნელა ა. თ. ლოსევი ძალიან მოკლედ ახასიათებს მის ჰიმნებს: «*Эти гимны обращают на себя внимание своим орфическим содержанием, астрологическими элементами, учением о мистических восхождениях и аскетической чистоте духа (хотя тут не отсутствуют и характерные для древних гимнов прошения о здоровье, счастье, богатстве и пр.) и, наконец, разного рода искусственными языковыми приемами*»². ამ ხელოვნურობას, ლოსევისავე ფორმულირებით, პროკლე უთავსებს ფილოსოფიური ენის იმდენად შეადიო ხასიათს, რომ ზოგჯერ სათქმელი თითქოს გეომეტრიული თეორემებისა და დასაბუთებების სახით არის გადმოცემული და გვაკვირვებს დებულებათა იურადიული მოქნილობითა და გამოკვეთილობით³.

პროკლეს ჰიმნების ქართველი მთარგმნელი რთული პრობლემებას წინაშე დგება. ვთქვათ: ვინარგებლით თუ არა „კავშირნი ღმრთისმეტყუელებითნის“ ტექსტში დადასტურებული იოანე პეტრიწისეული ტერმინებით, რომელთაც აუცილებლად უასჭირდებათ კომენტარი. ბერძნული *ἐξῆμας*-ის ძირის შქონე „ჰარმონიის“ შესატყვისი პეტრიწთან, როგორც ეს დ. მელიქიშვილმა გაარკვია⁴, არის „მორთულება“, თავისთავად ძნელად განსამარტავი. ჩვენ ტექსტში შესატანად ყარჩიეთ „ჰარმონია“. *Σεραφ-საუვის* დავტოვეთ „სირა“, რად-

¹ Procli Hymni, დასახ. გამოც., გვ. 1—2.

² Прокл, Первоосновы теологии, Перевод и комментарий А. Ф. Лосева. Тбилиси, 1972, გვ. 121.

³ იქვე, გვ. 119.

⁴ დ. მელიქიშვილი, იოანე პეტრიწის ფილოსოფიურ შრომებში ნახ-მარი ზოგიერთი ტერმინის განმარტებისათვის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომებ, 174, ენათმეცნიერება, თბილისი, 1976, გვ. 145.

გან ეს უკანასკნელი ქართული ფილოსოფიის ისტორიაში ასე იხსენიება. პეტრიწთან ასეა (და გვაქვს აგრეთვე სირათ-დასაბამი, სირათ-მთავარი, სირათ-მთავრობითი). რუსთველის მიხედვით ცნობილია „სულთა სირა“ (884-ე სტროფი ა. შანაძის, კ. კეკელიძის და ა. ბარამიძის 1957 წ. გამოცემის მიხედვით); რუსთველოლოგებს „სულთა სირა“ საკმაოდ ნათლად აქვთ გამოკვლეული¹.

შ. ნუცუბიძის განმარტებით, რუსთველის „სირას“ ესადაგება ბერძნული *σείρα* რაც ნიშნავს «ряд, ступень», «выражает систему ступеней, по которым согласно иерархическому миропредставлению, поднимаются души, распыляясь по детерминированным местам мира»². პ. ინგოროყვას აზრით, სირა ფილოსოფიურად კატეგორიის ფარდია. განსაკუთრებით საინტერესოა, რომ, მ. ჯანაშვილის მიხედვით, რუსთველისეული „სირა“ „უნდა ნიშნავდეს ჯერს, რიგს, ისევე როგორც ინგილოურში“³. ჩვენ შევამოწმეთ, დღეს სირა უკვე უცნობია ცოცხალი ინგილოურისათვის, რომლის მღვიძარებით შეუწახანავობამ შესაძლებელია ბევრი სხვა მარგალიტიც მოუმკელად დაგვაკარგინოს.

საგანგებოდ ძველი ბერძნული პოეზიისათვის შედგენილ ლექსიკონებში პროკლეს კომპოზიტების (და არა მხოლოდ კომპოზიტების) ერთი ნაწილი შედის როგორც *semel dicta*⁴ ან სულ არ შედის. თბზულ სიტყვებს ხშირად ვთარგმნით კომპონენტების მიხედვით, რაც სარისკოც არის.

¹ იხ. ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის საკომენტარო მასალა.

² Ш. И. Нуцубидзе, Творчество Руставели, Тбилиси, 1958, 33. 93.

³ ისევე ზემოხსენებული კომისიის საკომენტარო მასალით ვსარგებლობთ.

⁴ მაგალითად, I 20: *βαρυσφαισισιο gravi strepitu resonans*— ჰომეროსის ენისათვის დამახასიათებელი დაბოლოებით ნათესაობით ბრუნვაში *αιο*. იხ. განთქმული უმდიდრესი ლექსიკონი Graecae Poeseos Thesaurus; აგრეთვე A. Bailly, Dictionnaire grec-français, Orléans, 1894.

პროკლეს ფილოსოფიურ-პოეტურ „ზედიალექტზე“¹ დაკერვების შემდეგ ტექსტი გადმოგვაქვს პოეტური პროზით, თუმცა ზოგი საგალობელი მკაცრ მეტრსაც ადვილად იგუებს. ძალიან ვერიდებით ფსევდო-არქაიზმებს, შეძლებისდაგვარად პენდიანსებს და მსგავსთა. რამდენად ორიგინალურია და შესაგვანი ჩვენი სტილი, ამის განსჯა მომტკეველი მკითხველისათვის მოგვიწევია.

ნეოპლატონიკოსი ფილოსოფოსის ჰიმნებს შორის მზის საგალობელს განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა, რადგან პლატონი უმაღლესი იდეის — სიკეთის იდეის — ადგილს იღებდა სამყაროში უკავშირებდა მზის ადგილს ნივთიერ ქვეყანაში, თუმცა, როგორც სპეციალურ ლიტერატურაში შენიშნავენ, „უმაღლესი იდეა თავისი ონტოლოგიური და ნოოლოგიური ბუნებით დანარჩენი იდეებისაგან არ განსხვავდებოდა“². პროკლეს მზისმეტყველება ჭერაც თავის მკვლევარს ელის. მნათობებსა და ადამიანის გონს თუ ცნობას შორის ნეოპლატონიკოსები გასაოცარ კავშირებს ჰკრეტდნენ. მათს ვარსკვლავმეტყველებას ასე ახასიათებს ს. ს. ავერინცევი: «Высший образец для человеческого духа неоплатоникки видеть в круговращении небесных светил, равномерно бегущих по одной и той же орбите и таким образом вносящих в самое движение момент неподвижности, в самое время (измеряемое их бегом) — момент вечности»³.

¹ ე. ი. მ. ტრონსკის ტერმინია. რომელიც ჰომეროსის ენას აღნიშნავდა. აქვე დამატებით. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოითქვა, რომ „ფორმალური ცნებების კონსტრუირებაში მას (ე. ი. პროკლეს) ბადალი არ ჰყავს აზროვნების ისტორიაში“: მ. გოგიბერიძე, იოანე პეტრიწი და მისი მსოფლმხედველობა, იოანე პეტრიწის შრომები, I, გვ. XLV.

² იქვე, გვ. LV.

³ Культура Византии (IV—первая половина VII в.), გვ. 63.

მოიხილე¹, გონებითი ცეცხლის მეუფევე, ტიტ-ნო. ოქროს სადავიანო; მოიხილე, ნათლის საუნჯეთ-მბყრობელი [ჰგეი], მპრძანებლო, სიუცხლისათვის კმად საყოფელი წყაროს ხელთა გაქვს თავად კლიტენი და ზეგარდამო ნივთიერ სოფელს ჰარმონიის აღვრი ნაკადთა მეტის სიუხვით.

5 | მოიხილე, რათგან შუვა ხარ ეთერის საყუდელს ზენთ და გაქვს ქვეყნის საგულე სიმრგვლე მნათობიერი; ადგივსია ყოველი შენი განგებით, გონებას რომელ აღვიძებს. ზოლო გარს სარტყლად შექოვლებულნი ცთომილნი მაგათ მარად-ლე მგზებარეთა ცეცხლთა შენთა სრულ დაუმცხრალის და

¹ „მოხილე“ ცნება ეზოტერულ ქრისტიანობაში ფრიად მნიშვნელოვანია. როგორც ჰიმნოლოგებმა უწყიან, გალობანის მეორე ოდას, ერთხანს ეპოქოფილს, ზერე აღდგენილს ქართულ კლასიკურ საგალობელში მიქაელ მორდრეკილის ეპოქაში, სამყაროული ჰარმონიის აახვისათვის აუცილებელს, „მოიხილესა“ ეწოდება. ორფიკული საგალობლების თარგმანებშიც საწყისი აკრძალვას შესატყვისად ზოგჯერ აგრეთვე „მოიხილეს“ ეწერთ, თუმცა თავადვე გვიჩვენებს შემეცნებელი, რომ ეს შორად გამიზნული უზუსტობა იქნებ ვინმემ დაუკვირვებლობას მიაწეროს. ჩვენ ეზოტერული გაცხადებისაკენ მივემართებით. უგულისყუროდ არ დაგვიტოვებია ის მოვლენა, რომ, ზ. გამსახურდიას სიტყვით, „მისტერიებში ინიციაციის შედეგად მიწიერი კავშირებისაგან განთავისუფლებული სული კონკრეტულად კვრეტს „შუალამის შვის“ (ზ. გამსახურდიას „ეფეზისტყაოსანი“ ინგლისურ ენაზე, თბილისი, 1984, გვ. 141). სპალიოში (59) ზ. გამსახურდია განაგრძობს: „შუალამის შვის კვრეტაზე უფრო მალალი საფეხურია მისი სმენა (იმოწმებს: R. Steiner, Das Sonnenmysterium, S. 184). შურ. თვალის „დაწუხვიდან“ წარმოქმნილი „მწუხარების“ ინტერპრეტაციას ჩვენი სტატიიდან „მწუხარების“ სემანტიკისათვის“ (მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1983, № 3, გვ. 123—133). და მაინც ქართველი ჰიმნოლოგი „K. ჰმ.“ ფორმულას „მოიხილეს“ უფრო მიუხადავებს.

10 მოვლელის ფერხულის დავლით | მიწისაგანა წარუგზავ-
ნან ს-ცოცხლის-მოქმედ ნაწილაკებად.

ყოველი გვარტომი აღმომცენარდა ეტლთა თქვენთა მოქ-
ცევისაგან პორების წმინდა წესის მიხედვით. ერთურთის მი-
ჯართ მოძრავ კავშირთა ხმაური მიწყდა, გამოუთქმელი მშობ-

15 ლსაგან რაჟამს გამოსჩნდი. | მოიჩრებმა ქმნეს ფერბული შენ-
და, რათა უძრველად ეგოს ქალაქი: კვალდაც ცვლიან გარ-
დაუვალი ბედისწერის ძაფს, ოღეს ინებებ, ვინათგან ძღვევა-
შემოსილი ხარ, მორკმით მეუფე, და გამონდა ღმერთების
კერძი თქმულებებიდან ფებოს, მაჰვალი სირისა თქვენის,

20 უცხოოდ რომ უწყობს ხმას კითარას | და განაცხრობს ფრიად
ხმაურიანი მოდგმის დიდ ტალღას. ხოლო შენმა სიაუგის
გამრიდებელმა დღესასწაულმა აღმოაცენა საბოძვარ-წყნარი
პეეონი¹, რომელმან ჯანის სიმრთელე თავის წესად დაიდა-
ლა პარმონით, სრულ უვნებელით, მანვე აღავსო ვრცელი
სოფელი. შენ, განთქმულს, ვინაც კშვე დიონისე, გიგალობე-

25 ზენ. | სხვანი აქებენ ტყის ხმულ ტევრებში ევიელ ატისს,
სხვებს ჰაეროვან აღონისისთვის უამებათ საგალობლებით
კეთილ-ხმიანი. აშინებს მძაფრი სასჯელით შენგან დასჯის
ქადება დემონებს, სულით ველურთა. მოკვდავთ რომელ ავნე-
ბენ, წრაფთა ამათ სულთა ჩვენთა განუშზადებენ ავსა და ზო-

30 როტს, | აგრე მარადღე ითვენენ სხეულის ხმაურიანი ყოფიე-
რების უფსკრულში შებმად აპეურების, რათა დაივიწყონ
მამის სასახლე², მალლა აწვდილი და ნათელმრავალი. ხოლო

¹ მედიცინის ღმერთად განმარტავენ პეეონს. იხ. GPTH.

² მამის სასახლეს მამისეულ „წყობად“, „სირად“ განმარტავს თავად პრო-
კლე: ἡ πατρική εὐχὴ εἶσι (Procli Hymni, გვ. 57). „დავიწყებით“ სა-
ხეობრივად არის ნათქვამი თავდაპირველი არსებობის სხვანაირობა: „παρὰ τῆ
ἐξεδότης“ (პლოტინის სიტყვებია; იხ. იქვე). ამას მოსდევს თეორია ბოროტე-
ბის უარსობის შესახებ და ა. შ.

საინტერესო იქნებოდა „დავიწყების“, როგორც თეოლოგიურ-ფილოსოფი-
ური ცნების, შესწავლასთან დაკავშირებით მისი თვით სიტყვიერი წილის ანა-
ლიზი უნივერსალური ენობრივი კატეგორიების გამოვლენის პოზიციებიდან,
რა პოზიციებიდანაც მსოფლიო მეცნიერებამ ეხლახან მიიღო სამომავლო ხედ-
ვისათვის პროვიდენციული აკრიზიითა და სიღარბაისლით შესრულებული ნაშ-

შენ, ღმერთო ურჩეულესო, ვის შარავანდი გაღვას ცეცხლი-
სა, დიდო ღმრთეებავ, ხატო ყოველთა დამბადებელი ღმერ-

როში. მხედველობაში გვაქვს თ. ვ. გამყრელიძის და ვ. ვ. ივანოვის «Индоевропейский язык и индоевропейцы», Тбилиси, 1984. საგულისხმოა, რომ სემანტიკური რეკონსტრუქციის პრინციპებთან დაკავშირებით წიგნის ავტორები წერენ: «Реконструируется не только план выражения языка, но и его план содержания, то есть значения отдельных форм и синтаксических конструкций» (გვ. 18). ეგების ამოკითხულ ექმნეს „დაიწყოებს“ ამოსავალი სემანტიკა ძველი აღმოსავლეთის ენებში. ეს იქნებოდა ამოკითხვა გრანდიოზული ამოკრიფისა (ღართო მნიშვნელობით). სპეციალისტების შეუწყნოთ ჯერ მხოლოდ ის შევიტყვეთ ვ. გეზენიუსის ლექსიკონიდან, რომ არანაუღსა და ძველ ებრაულში „დაიწყებას“ საერთო (შქხ) ძირი აქვს (W. Gesenius' Hebräisches und Aramäisches Handwörterbuch über das Alte Testament, Leipzig, 1910, გვ. 818). „დაიწყების“ ჩვენებური მითოსური დორბელა გამჟღავნა ვაჟას „ალუდა ქეთელაურში“. ალუდას მოკვეთა დაიწყების იგავა (ეს მოსახლობა ზ. კინაძეს ეკუთვნის, ჩვენთვის ცნობილი გახდა შ. ოუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სტელომიდან).

სხვათა შორის, ფრიად საგულისხმო და უკომენტაროდ დაშთენილი სხვაობა ვნახეთ ერთგან „ფსალმუნის“ ვულგატაა და ვარიანტულ იკითხვისთა შედარებისას. აშკარად ოქსიმორონის იმეით ვარიაციასთან გვაქვს საქმე. ფსალმუნის, 136, 5-6, ვულგატა: „უკეთე დაგივიყო შენ, იერუსალემ, დაიწყენ მარჯუნანეცა ჩემი. აექვენ ენა ჩემი სასაა ჩემსა, არათუ მოგიკენო შენ და არათუ პირველ განგდებულ ვყო იერუსალემი, ვითარცა იგი დასაბამსა მას სიხარულისა ჩემისასა“. შდრ. მ. შანიძის გამოცემიდან (ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები X—XIII საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით, თბილისი, 1960, გვ. 379): „უკეთუ დაგივიყო შენ... და შემდეგ: „აექვენ ენა ჩემი სასაა ჩემსა, არა თუ მოგიკენო შენ და არა თუ პირველ განგდებულ ვყო იერუსალემი (არა განგდებულ, არამედ განგებულ ვყო), ვითარცა იგი დასაბამსა მას სიხარულისა ჩემისასა!“ ბერძნულ ტექსტში შესაბამისად იკითხება: „*ἠδοιμαδεξαιαι τῆς 'σφειοιαιουα*“ 136,6). „განგდება“, „მოკვეთა“, „დაიწყება“ — სემანტიკურად ერთიანდება.

სხოენია და დაიწყების (სხოენა—დაიწყება ტოლფასობის, ეკვივალენტობის ნიშნით) ურთიერთმიმართების პრობლემა მას შემდეგ დგას, რაც ადამიანი არსებობს. თუ იაფეტოლოგიური კვლევის უმდიდრეს გამოცდილებას გაკითხვასიწინებთ, სხოენა და დაიწყება წარმოშობით ერთნი, თანადროულნი არიან. და მაინც სხოენა აღზევდება. „პიმნოგრაფიული კანონის კომპოზიციის“ 1982 წელს ჩვენ ვწერდით: „კაცთა ნათესავი შთავონებულია შესაქმნელად, კაცთა ნათესავი შემოქმედი, რამდენადაც მას გააჩნია მებსიერება, რამდენადაც იგი ინახავს წარსულს“ (გვ. 7.). მთელი ანტიკური კულტურა, ელინთა რწმენით, სხოენის დედფალის (*Μνημοσύνη* -ს) მოღვმას შთაუგონებია.

35 თისაო¹ და სულთა აღმკვეანებელი², | მოიხილავედ და მექმ-
 ნებოდე წმიდა-ყოფელად მარადლე ყველა ცოდვისაგან; ო,
 შეიწყნარე შევრდომანი ცრემლმრავალი და განმაშორე დია
 საშინელს უბატიობას, ზღვევათა გარეშე მამყოფე და დამი-
 ცევე, რომელ სიამცხრალეს აძლევე ყოვლის მომზირალ დიკეს
 ძახვილ ოვალს. და მარადლე ოხითა თქვენით აუგას განვრ-
 40 დომისათვის | მოეც სულს ჩემსას უმანკო, ბევრად ნეტრეუ-
 ლი ნათელი, რომელმან ბნელი, მოკვდავთ მომსრეველი და საი-
 დუმლოდ დაისრული³, განაქარევე; ხოლო სხეულს ჩემსას
 მოეც საბოძვრად შვენიერი და სრულად უნაკლო სიმრთელე
 ჭაწის; შენ მიმამთბვიე სახელს და პატივს და წინაპართა წმი-
 45 წირავი ხელს მიმართავდე. | უცვალეველი ბედნიერება მო-
 კრძალებისა გამო სანდომოისა მომეც, თულა ისურვებ, მბრძო-
 ნებელი; გაქვს ხელმწიფება ყოველი შენი [ნანდომის] უსუ-
 ბუქებად აღსრულებისა, ვინათგან დიდად და აღუწერელად
 ძლიერი ჰვიე. ხოლო თუ ტამ დამლუბველი საბედისწერო

პარანსელმა ეოზე მარია დე ჰერედიაშ თავის მშვენიერ სონეტებს „ტრო-
 ფეები“ დაარქვა, რადგან 118 ტროფეი, როგორც მისი ქართველი მთარგმნელი
 მიქელ პატარიძე წერს 1936 წელს, „უთანასწორო ბრძოლაში გამოსტაცა... და-
 ვიწყებას“ (ეოზე მარია დე ჰერედია, ტროფეები, ფრანგულიდან თარ-
 გმნა მ. პატარიძემ, თბილისი, 1971, გვ. 8).

¹ მზე ხატია ყოველთა დამბაღებელი ღმერთისა („εὐχὰν παρρησίᾳσι ψεῖσιν“) და აქ თოქმის აღარ რჩება მანძილი ქრისტეანულ ფორმულურებადმდე ან ეზო-
 ტურულ მზემდე, რომლის სულია ქრისტე(რხ. ზ. გამსახურდია, დასახ.
 ნაშრ., გვ. 134).

² პეტრიწის „განმარტებაში“ (თავი 31) მოყვანლია სოკრატეს ნაუბარი:
 „ანალოლდ სულთა მამისა მიმართ ტრფიალებასა დაძღებდა“ (იოანე პე-
 ტრიწის შრომებო, II, 83, 5-7). ამიტომ ითვლება პროკლეს ეს საგალობე-
 ლი „ეპოტიკულად“. გონებითი მზე არის სულთა აღმკვეანებელი. გონებითი
 მზე არის სამყაროს მორთულების წყარო და მიზეზი. ვიგეორებთ მზის ჰიმი-
 დან: ზეგარდამო ნიეთიერ სოფელს პარმონის (მორთულების) აღვრი ნაკადთა
 მეტიტის სოუჯით („ἐλάσεις ἐπὶ κόσμους ὑπέρθεσ ἀρμόσσης ὑπὲρ πλῆσθσσος ἔξοχ-
 ἔνεσθσ“) .

პეტრიწის სიტყვით კი, „ტრფიალებისა მიერ უკუ ეტრფის კუალად არის
 ზესთ არსთა შუენიერებისა მორთულებათა (იქვე).

³ თუ: მოწამლულით წყაროთ გამომავალი. შდრ. A. Bailly, Diction-
 naire... s. v. *τολξευτος*.

თითისტარის ხვეულთა და ვარსკვლავთმოქცევის განგებით
50 ჩვენდა | მოემართება, შენ საბრხელ ექმენ ეგზომ ძლიერი
დაისრვის ძალით.

აზროღიბისადმი

(2)

გალობას ვწირავთ სახელმრავალ სირას ზღვის ქაფიდან
ამომავალის და წყაროს ძლიერს სამეუფოს. რომლისაგანაც
უკვდავი¹ და ფრთედვი ყველა ეროსი აღმომცენარდა. ერთნი
5 მათგანნი ისრავენ სულთა საცნაური ისრებით, | რათა სიყვა-
რულისათვის ლტოლვად აღტაცებულთა [სულთა ამათ]
ხილვა შეუძლონ ცეცხლით მბრწყინვალის, დედის სასახლის².

¹ ფრიად საყურადღებოა, რომ პეტრიწი მიჯნავს „უკვდავს“ და „სამარადისოს“: „ყოველი უკვდავი სამარადისო არს, და არა ყოველი სამარადისო უკვდავ. უკუეთუ უკვდავება არს მარადის ზიარებაჲ ცხოვრებისაჲ, ხოლო მარადის მზიარებელსა ცხოვრებისასა და მყოფობაჲცა აქუს, და მარადის ცხოველი მარადის არს. ვინაჲ ყოველი უკვდავი სამარადისო, რამეთუ უკუე არს არ უმუზნარებელი საუკუილსა და მარადის ცხოველი. ხოლო სამარადისო არ თავს მდები არ ყოფისაჲ, არამედ მარადის მყოფი“ (იოანე პეტრიწის შრომები, I, გვ. 65).

² „კავშირნი ღმრთისმეტყულებითნის“ იოანე პეტრიწისეულ თარგმანში არის ერთი თავი (151-ე), მამებრივი წყაროსადმი მიძღვნილი, სადაც გვითხულობთ: „ყოველი მამებრივი შორის ღმრთებრივთაჲსა პირველ აღმქმნელ არს და კეთილობითსა წესსა მყარობელ ყოველთა ღმრთებრივთა აღმკულებათა მიმართ“. და შემდეგ: „მამებრივად სახელ ედების, რამეთუ შეერთებულსა და კეთილგუარსა ძალსა ერთისასა წარმოაჩენს და მიზეზსა შემდგომთა გუამოვნებისასა“ (იოანე პეტრიწის შრომები, I, გვ. 91). ამ თავში სრულიად არაფერია ნათქვამი დედებრივ წყაროზე, მაგრამ აწერია „მამებრივისა და დედებრივისა წყაროჲსათჲს“. სქოლიოში სიმ. ყაუხჩიშვილს აღუნიშნავს: „სათაური ჩვენ მიერაა შედგენილი „განმარტების“ 151 თავის მიხედვით (იხ. „განმარტება“ გვ. 176, 15—18). მითითებულ ადგილას იოანე პეტრიწის განმარტებაში სწერია: „აქა ესე ხედვანი ესთა გვდადუქიებენ ჩვენ (მისტერიების მონაწილეებად, ანუ, ძველი ქართული ტერმინებით, მესაიდუმლოებებად და მემსხვერპლეებად, გვხდიანო. პეტრიწის შრომებზე დართული სიმ. ყაუხჩიშვილის „ბერძნული სიტყვების სმიებელი“, s. v. გვდადუქიებენ. შდრ. И. X. Дворецкий, Древнегреч.-русский словарь, s. v. бѣд—ошѣзъ культ. факелносец, жрец

მეორენი კი, მამის ნებით და სიაუგის გამრიდებელი გან-
 გებით რომ ისწრაფიან ვრცელპყონ მონაშენით სოფელი გა-
 რე შემოუწერელი, აღუძრავენ სულთა მიწიერი ცხოვრების
 10 ნდომას¹. | სხვანი [ეროსნი] საქორწინო გალობათა ათასნა-
 ირ კილოს მარადლე ზემბილვარ ექმნებიან², რათა მოკვდავი
 ბუნებისაგან შექმნან დამაშვრალ ადამიანთა უკვდავი ტო-
 მი³; ხოლო ეროსთა მშობელ კითერეიას საქმე ყოველთა სა-
 ზრუნავია. სრულად ყოველი ესმის, დედფალო, სასმენელს
 15 შენსას; | ან ცას ეხები, მალლად გარდართხმულს, და მით

жрец Деметры, несший, во время Элевсинских мистерий горящий факел, как символ поисков похищенной Персефоны...) და გუნთლებენ, რამეთუ ორ არიან პირველნი წყარონი ღმერთებრივთა ღმერთთანი: მამებრივი, რომელსა ვიტყუთ პირველად საზღვრად, და კუალად დედებრივი, რომელ არს პირველი უსაზღვრობა და მიზეზი სხუად და სხუად გამრავლებისა, რამეთუ უსაზღვროა ძალი არს ნიადაგ გამრავლებისა წარმომშობელ, ხოლო პირველი საზღვარი სამარადისოდ მებრთებელი არს და ერთ და გუარ მყოფელი და ესე რიცხუთადა შორის განიცადო, უკუეთუ დაგაარსებოდის შენ ხელვა სამათიმტიკოთა“ (იოანე პეტრიწის შრომები, II, გვ. 176, სტრიქ. 15-23).

პეტრიწი ვითარცა წყარო, როგორც ვხედავთ, კარგა ხანია თვალწინ არის. ხოლო რას ეყრდნობოდა თავად პეტრიწი? წყაროა პროკლეს საგალობლები. აფროდიტეს სასახლეზე ე. ფოგტის გამოკრებილ პარალელებში კეთილყოფილთ „ქალღეური ორაკულიდან“: „იმ ღმერთებს შორის, რომლებსაც სამყაროში გზავნის გონება (mens), განსაკუთრებული ადგილი უკავია ტრფობას“ (თარგმანი ჩვენის) (Procli Hymni, გვ. 63).

¹ განსამარტავად პეტრიწის სიტყვებს მოვიყვანთ. პლატონზე დამყარებით პეტრიწი წერს: „ტრფიალებმა გჩუენშორისა მბადმან ჩუენმან ღმერთმან ორთა სამიზეხოთათუხ: რაათა ვეტრფიალნეთ და აღვეკრნეთ მამასა სულთა ჩუენთასა ღმერთსა, და კუალად რაათა ბუნებასა მონაცვალეთა ჩუენთა უშთენდეთ, ვითარ მედინნი“ (იოანე პეტრიწის შრომები, II, 214, 8-12).

² ძნელზე ძნელი ვადმოსაღებია პროკლეს მისტიური ენა. გაგვიპირდა *ἀνοσιεσθησθη*, ასე ეთქვათ, ეპოპტების, როგორც ინიციაციის უმაღლეს საფეხურზე ყოფნის, აღმნიშვნელი ზმნის თარგმნა. ბოლოს ეფრემ მცირისგან ავიღეთ „ზემბილვარება, თუ მიიღებენ ამას დღეს ფილოსოფოსები. იხ. ჩვენა „მწუხარების“ სემანტიკისათვის“.

³ ეს მომენტი ფრიად ანგარიშგასაწევია იმ მოსაზრების დასაზუსტებლად, რომ „პროკლეს არ დაუყენებია საკითხი ღმერთთან მიხლოების ან ღმერთისათვის დამსგავსების შესახებ. ღმერთად გახდომა, როგორც ადამიანის მოქმედება, პროკლე დიადოხოსის საგალობლები

შენზე ესრეთ იტყვიან — მარადლე მედინი სოფლის სულად
 ლეთიურად მოიქცევაო; ანუ შეიდი სარტყელის ეტლთა ზედა
 ეთერს ჰვიე და ძალს შთაუღვრი სირათა თქვენთა გარდაუ-
 ლახავს. მოიხილე (ჯეჯღამი) და ცხორების გზას ჩემსას,
 20 დიდად დამაშვრალისას, | წარჰპართებდე, ხელმწიფეო მღედ-
 რო, შენი ყოლად მართებული ისრებით, — რომელი არა გან-
 პლევ წმიდისა და ბუნებითის ტრფიალების კვეთებას სას-
 ტიკს.

მ უ ზ ე ბ ი ს ა ლ მ ი

(3)

[მობერვითი რომელ იქმან გალობას]

მო, ვუგალობოთ, მოკვდავთა კაცთა² აღმყვანებელი ვა-
 ქოთ ნათელი, ცხრანი ქალწულნი დიდი ზევისი, ბგერა რო-
 მელთა თითოეული მპრწყინვალე არს და ამოდ ხმირი, რო-
 მელნი სულებს, ცხორების სიღრმეს შინა ცთომილთა და
 [უგზო-უკვლოდ] მოხეტიალეთ³, ხელუხლებელი და საიდუმ-
 ლო ღმრთისმსახურებით და გონების მღვიძარებისათვის

ბის მიმართულება, პირველად ფსევდო-არეოპაგიტულ წიგნებშია მოცემული“,
 როგორც შ. ნუცუბიძე ბრძანებს (დასახ. ნაშრ., გვ. 257). გაუიხსენოთ, სრულ-
 ქმნილებებისათვის ღვწოლის ეროიკა (ეროიკას უწოდებს შ. ნუცუბიძე) ქერ კო-
 დევ ანტიკურ ტრაგედიაშია განხორციელებული.

¹ „შთავონების“ ცნებას ძველ ქართულ ენაში გამოხატავს „მობერვა“
 (ბერძნული შესატყვისია *ἐμπειρία* = *παινεω* и *εισπνεω*), რასაც ძა-
 ლიან ღრმა ძირები აქვს და შემდგომ ვითარდება შუა საუკუნეებში. ამ თარგმანს
 უნდა წაუვმძღვარო: „არს ხანძთას ველითა მისითა დაწერილი, ს უ ლ ი ს ა მ ი -
 ე რ წ მ ი დ ი ს ა, საწელიწდოა იადგარი“. შდრ. მუზეუმისადმი მიძღვნილი პო-
 მეროსის ჰიმნი და ორფიკული ჰიმნი. მათი მიმართების შესახებ ვეროპელ მეც-
 ნიერთა სპეციალური შრომებია გამოქვეყნებული.

² ღედანში: *μειρόταυ*.

³ „ცთომილთა და მოხეტიალეთ“ პენდიადისია *διδομαι*-თვის, ხოლო ეს
 უკანასკნელი — პოეტურად გაუცხოებული ფორმა *διδομαι* დან. ამ
 ტექსტში ბევრია პენდიადისი და ბერძნული პოეტური დამკვლევების სადაფი.
 გაუცხოება.

5 ქმნული წიგნებით | სრულ იფარავდნენ მიწიერი და უუძძი-
მესი ტკივილისაგან და ასწავებდნენ მოცალეებას, რომ შეენა-
ხათ კვალი ზესთა დავიწყებისა, რომელს უღრმესნი ღვარნი
[პზომავენ]; წმინდა [სულეზს] კი ასწავებდნენ მიახლებას
თან-დამწყსილ ვარსკვლავთან და შერამე [კვალად] შორდებ-
ბოდნენ, რათა მიმთხვეოდნენ საგვარტომო თავანსა და მალ-
ლოვანს თვისას, აღლაღებულნი ნივთიერი¹ საზრდელის
10 წილით.

ხოლო, დედფალნო, ჩემს თავაწყვეტილს აღლაღებას
და აღვსებას დააყუდებდეთ² და ბაკხურად აღმიტაცებდეთ
ბრძენთა სიტყვებით³ საცნაურით; არ განმაშოროთ მე, ტო-
მით კაცი, ღმერთთა უშიში⁴, ყოლად წმინდა ბილიკისაგან.
ფრიად ნათელის, ნაყოფმწყაზარის; მაცთუნებელი საგვარ-
15 ტომოის ხმაურისაგან სამარადლეოდ | წარზიდეთ უმანყო
ნათლისკენ ჩემი სული, რომელი დაეხეტება, — თქვენი გო-
ნების გამდელი ფუტკრის სკებიდან მდიდრად აღვსილი—
და საამებლად სულისა ენაკეთილობის პატივით შემოხილი
სამარადლეოდ.

ზიარი გალობა ღმერთთაგისადმი⁵

(4)

ისმინეთ, ღმერთნო, წმიდისა სიბრძნის საქეთმპყრობელნო⁶,
აღმყვანებელი ცეცხლის მგზებელნი, აღიზიდავდეთ

¹ იქნებ დედებრივი? *ἐπιειθεμένης* ვთარგმნეთ „ნივთიერ საზრდელად“. „ნივთიერის“ და „დედებრივის“ მიმართება სპეციალური ნაშრომის საგანია.

² „აღლაღება და აღვსება“ არის პენდიადისი *ἐπιμαί-σθεις*. „აღვსება“ და-
უუმეტეთ, რადგან სხვარიგად თარგმანში არ აისახებოდა *πείθει* - ელემენტრი
πείθει კომპოზიციას.

³ ღელანში: *μαρτυρία*.

⁴ ამაჲ, *ἐπιειθεμένης*-ს, არქეტპში აღაღვენენ. ნუსხებში არის „ღმერთთა
მოშიში“.

⁵ პიზნი გადმოგვაქვს სამი ხუთმარცვლიანი მუხლისაგან შედგენილი თხუთ-
მეტმარცვლიანი ლექსით, რომლითაც ვთარგმნეთ დაქტილური პექსამეტრით
წყობილი, პომეროსის პიზნები.

⁶ ღელანში: *Κλησε, θεοί, / σφοδρῶς ἰσρήξ | σίησας ἔχουτες*. აქ პეტეშიმეტრი-
სია ცეზურა, რაც პროკლესთან სულ ორჯერ დასტურდება. ერთია „შენიშნული“
გამოკვლევებში; ეს ერთი კი გამორჩენიათ.

უკვდავთა თანა მოკვდავთა სულებს, რომ დააგდებენ დაფარულ ალაგს და გალობათა გამოუთქმელი ხელთდასხმის წესის საიდუმლოთი იწმიდებიან.

- 5 ო, მაცხოვარნო დიდნო, ისმინეთ, საღმრთო წიგნთაგან მანიშნეთ წმინდა ნათელი, ნისლის მიმომბნეველნო, რათა კეთილად შევიმეცნებდე ღმერთს უკვდავს და კაცს; ნურც დავიწყების მდინარებაში დამნთქას სრულიად დემონმა, რომელს მარადღე ვაქენდე შორს ნეტართაგან,
- 10 და ნურც შემძრველად გაქვაებული გვარტომის ზვირთით დანთქმულს სულს ჩემსას, რომელს არ ჰსურის მყოვარჟამ ცთობა, შეკრავს ცხოვრების საკრველით ზღვევის დედფალი ცივი. ო, წინამძღვრებად მზრწყინვალე სიბრძნის გიხმობთ, ღმერთებო, მისმინეთ, მალლა სავალ ბილიკზე მოწრაფედ მავალს,
- 15 და გამიცხადეთ წმინდა სიტყვათა საიდუმლონი.

ლიკიელი აზროღიბისადმი

(5)

- გუგალობთ ლიკიელთა ხელმწიფე მდედრს, ყმაწვილ აფროდიტეს, რომლის მიერ სიაუგის განრიდების მეოხებით აღვსებულთა და ღმრთივ თქმულთა¹ მამულის ჩვენის წინამძღვართა აღაშენეს ქალაქსა შინა წმინდა ქანდაკი და ალა-
- 5 მა, | რომელს აქვს იგავი და სახე ცეცხლიანი ჰეფესტოს და ზეციერი აფროდიტეს საცნაური ქორწინებისა, საცნაური ჰიმენეების; და [ქანდაკსა და ალალმას] ამას დაარქვეს დედფალი ოლიმპიელი, რომლის ძალითაც ხშირად განველტვით სიკვდილის ისარს, მზრწნელს მოკვდავთა, და სათნოების-
- 10 ზმულების საქორწინო პალატათაგან | მყარი და ელვარედ განმსჯელი გვარტომი ხშირად აღმოუზრდია საყანე ჯეჯილად; ხო-

¹ ღმრთივ ნათქვამობა, სახელდება ალბათ ღმერთისაგან არსად მოყვანებას გულისხმობს.

ლო ყოველგან წყნარი საბოძვარი თან სდევს ცხორების სიმ-
შვიდეს. ოლონდ ჩვენიც შეიწყნარე, დედაუფალო, მსხვერ-
პლი ენამჭევრობისა; ვინათგან ლიკიელთა სისხლთაგანი ვარ
თავადაც. სულს კი კვალად აღიზიდავს [ქანდაკი] სირცხვი-
15 ლისაგან დიდი სახიერებისაკენ, — [სულს, რომელი] | განე-
კრძალება მიწიერის მოზღვაეების მხრწნელ თავაწყვეტას.

ჰეკატეს და იანოსის ზიარი ბალოვა (6)

გიხაროდენ, ღმერთთა დედაო, სახელმრავალო და გვარ-
ტომ-შვენიერო; გიხაროდენ, კარიბჭეთა ჰეკატევ. ძლიერო.
თავადაც გიხაროდენ, იანოს მამათმთავარო, ზევსო უხრწნე-
ლო; გიხაროდენ, უხესთაესო ზევსო. განმიმზადეთ ელვარე
5 გზა ცხორების ჩემის, | სიკეთით სავსე, ხოლო ბოროტი აშო-
რეთ სნება ასოთა და ნასხამთა ამათ და სული, ქვესკნელს
რომელ მზვაობრობს, გონებით მღვიძარეთა მიმართ წარზიდე,
განწმედილი მემსხვერპლეობით. ო, მომაწველეთ ხელი. ვლო-
ცულობ, გზა ღმრთივ დათქმული მსურის მაჩვენოთ. უძვირ-
10 ფასესს ვუმზირო ნათელს, | მით ბოროტისგან ღტოლვა სხვე-
ვია მრუმე ლურჯ (sic) გვარტომს. ო, მომაწველეთ ხელი,
ვლოცულობ, თქვენი ნიავის ნქრევით მიმააზლეთ მე, დაღლი-
ლი ესე, ნავთსაყუდელს კეთილმოსავობისას. გიხაროდენ,
ღმერთთა დედაო სახელმრავალო და გვარტომ-შვენიერო; გი-
15 ხაროდენ, კარიბჭეთა ჰეკატევ, ძლიერო. თავადაც | გიხარო-
დენ, იანოს მამათმთავარო, ზევსო უხრწნელო; გიხაროდენ,
უხესთაესო ზევსო.

დიად ბრძენი ათენასადმი (7)

დამიგდე ყური, ფარის მპყრობელი ზევსის ქალო, რომე-
ლი მშობლის წყაროით გამოჰბედ და უმწვერვალესს ეკუთვ-
ნი სირას; სულით ახოვანო, ფაროსანო, დიად ძლიერო და
ძლიერისავე მამის ქალო, პალას, ტრიტოგენია, [მძლავრად]

5 რომელ იქნევ სატევარს, მუზარად-ოქროანო, | მომაცურე და
 კეთილგონიერი სულით¹ შეიწყნარე ესე გალობა, სავედრე-
 ბელო, ნურცა ოდესმე ჩემი სიტყვა გავემეტოს გასაქარვებ-
 ლად, — რ ო მ ე ლ მ ა ნ სიბრძნის განახვენ ბჭენი, ღმრთივ
 დათქერილი, და დაგემონა მიწისქვეშეთის ღმერთთა მბრძო-
 ლი გიგანტთა გვარი; რ ო მ ე ლ ი ტრფობას გაურბოდი მომ-
 10 ნატრებელის ჰეფესტოსას | და იპყარ აღვირი თვისის ქალ-
 წულებისა შეუულღველად²; რ ო მ ე ლ მ ა ნ უფლის შეუმღ-
 ვრეველი გული აცხოვლე და ოდესღაც ეთერის სიმრგვლე-
 ში ბაქხუსი რომელ ნაწილდებოდა ტიტანთა ხელით, [გული]
 იგი, რომელ მოგქონდა, მამას მიართვი, ყრმა დიონისეს მშო-
 15 ბლისა [თვისის] გამოუთქმელი ზრახვით რათა | სემელესა-
 გან ექმნა სამყაროს განახლება და სატფურება; რ ო მ ლ ი ს
 ჩუგლუგმა, ძირში რომ წარჰკვეთს თავებს ნადირთა, ყოვ-
 ლის მხილველი ჰეკატეს სურვა სრულად დააცხრო³; რ ო
 მ ე ლ მ ა ნ მოკვდავთ მღვიძარების სიკეთეთა წმინდა და ნა-
 ნარი ძალნი აღიხვენ; რ ო მ ე ლ მ ა ნ მრთელი ცხოვრება შე-
 20 ამკვე ათასნაირი ხელოვანებით, | რა საცნაური შემოქმედე-
 ბა სულთ შთაუნერგე; რ ო მ ე ლ ს წილად გხვდა ციხე-სი-
 მაგრე თავმალალ კლდეზე, რაიც გვანიშნებს შენს დიდსა და
 უმწვერვალეს სირას, სავედრებელო; რ ო მ ე ლ ს გიყვარდა
 მიწა⁴, მამაცთა გამღელი, დედა საწიგნე ჰილის; რ ო მ ე ლ
 25 მ ა ნ სძლიე მამის ღვიძლი ძმის⁵ წმინდა ლტოლვას; | ხოლო
 სახელი დასდევ იმ ციხეს შენი მბრწყინვალე სიბრძნის და
 ცნობის გამომეტყველად⁶; იქ ბრძოლის ყოვლად ცხადი ნი-

¹ შდრ. „კავშირნი ღმრთისმეტყუელებითნი“, იოანე პეტრიწის შრო-
 მები, I. გვ. 68: „ყოვლისა გონიერისა სირაჲსა რომელნიმე არიან ღმრთიებრნი
 გონებანი, შემწყნარებელნი ღმერთთა ზიარებასა, ხოლო რომელნიმე მხოლოდ
 გონებანი. და ეს სახედ სულსაცა ზედა: რამეთუ რომელნიმე არიან გონიერნი
 სულნი, აღკრულნი თესთა გონებათადა, ხოლო რომელნიმე სულნი მხოლოდ“...

² დედანში: *παιδισιτης εφσλαξιας της δδμουαυα χαλυσυ.*

³ სიტყვასიტყვით: ენებათა გვარტომი დააცხრო.

⁴ განმარტებულია: ათენის მიწა.

⁵ დასახ. გამოცემის კომენტარის თანახმად, პოსეიდონი იგულისხმება.

⁶ დედანში: *εξελε...φιδενα.*

შანი [არის] მთის ძირში; კვალად შენივე მოდგმისათვის აღ-
 მომცენარდი ზეთისხილის ხედ, კეკროპიდებზე¹ პოსეიდონის
 მეოხებით რომ ზღვითგან აშლილი მირიადი ტალღა მოვარ-
 30 და² და თვითეული ჰკვემდა დიდად ხმაურიანი აზავთებით.
 მოჰაყურე. რომელი უმანკო ნათელს სახით გამოაეღვებ,
 მომეც სვიანი საყუდელი მე, დედამიწის გარეშემო მოხეტია-
 ლეს, სულს უმანკო ნათელი მოეც კეთილად წმინდა სიტყვა-
 თაგან შენთა და სიბრძნე და ტრფობა [მოეც]; ძალი მოჰბე-
 35 რე ტრფობას³ იმდენი და ისეთი, რომ ქვესკნელის წიაღიდან
 უკუ აღზიდოს [სული] ოლიმპოს, მამისა შენის საჰყოფელ-
 ში. ხოლო თუ რამ ბოროტი ცაომა ცხორებას შინა დამიმო-
 ნებს და თვისად მიმაქცევს, ვინათგან ვუწყვი, ბევრად ვმძი-
 ღები ზოგათგან ზოგი უღირსი საქმით. რაშიც შევემცდარვარ
 40 უვნური სულით, — | მიწყალე. ზრახვა-ლმობიერო, მოკვ-
 დავთ მაცხოვარო, ნუ დამაგდებ ძირს საზარელთა პოინეთათ-
 ვის² საჭიჯგნელ მძორად, ვინათგან შენად ყოფნას ვლოცუ-
 ლობ. მოეც [სხუელის] ნასზამთა სახსრებს უვნებელი და მყა-
 რი სიმართლე; განარინე შენ სამწყსო მწარე სნებათაგან,
 45 რომელ ხორციელად ჩამოზღნარს იქმან, | ხო, გვედრები,
 ხელმწიფევ მღედრო, შენი უხრწნელი ხელით გააჭრევ სრუ-
 ლად შავ სატყვიართა ბოროტება. მოეც ყოფნას, ძერყევს
 და მსხლღოშელს, მშვიდი. ნიავი, შვილნი, მეუღლე. დიდება,
 სვიანობა და კეთილგონიერება სანდომო, რწმენა, მოყვას-
 50 თან ენაწყლიანობა, გონება მახვილად განმსჯელი, | ძალი
 წინააღმდეგობათა ზედა, ხალხთა შორის მეწინავეობა და და-
 ზესთავება. მოჰაყურე, მომაყურე, მბრძანებელო, დიად სავე-
 დრებელმან³ შემვივრომე საჭირო გარდაუვალობით და
 ლმობიერად დამიგდე ყური.

¹ კეკროპიდები — კეკროფისის, ათენის აკროპოლის დაძაარსებლის, შთა-
 მობა.

² პოინე ზღვევის, შურისძიების დედფალია.

³ [მე.] დიად სავედრებელი, შეგივრდები? დედანში სწერია: *πὸ τῆς ἑ-
 ροῦς ἢ τῆς οἰκίας*.

საგალოგელთა ჳრაგმენტები
ღიღნისესადმი

(1)

რაოდენი ვიხილე, მიუთხრეს შვილებს მშობელთა.

?

(2)

ვინათგან შენ, მზოლოი, სამ [სახედ] გიხილა და გეთაყ-
ვანა სამყარო.

შემოკლებანი

1. Argon. — Argonautica.
2. Forcellini— Ae. Forcellini, Totius Latinitatis lexicon, Londini, 1828.
3. GPT^h — Graecae poeseos thesaurus.
4. H. — Hymni.

სახელთა საძიებელი *

- აბულაძე ი. 33, შენ.
 აგლაიე 59, 3—4.
 აღონისი ლოცვა, 41; 54, 28; 55, სათაური; 55, 5; პროკლე, 1, 26.
 ადრესტეია ლოცვა, 36.
 Аверницев С. С. პროკლე, შესავალი, შენ.
 ავერინცევი ს. ს. პროკლე, შესავალი.
 ავრისპაჭ. წინასიტყვა.
 ათენა 31, სათაური; პროკლე, 7, სათაური.
 აღეკტო 68, 2.
 აღექსიძე ლ. 11, შენ.
 აღუდა პროკლე, I, შენ.
 ანტაია 40, სათაური; 40, 1, 40, შენ.
 'Ανετα 40, შენ.
 აპოლონი წინასიტყვა; 23, 15; 33, სათაური; 33, შენ. 66, 7.
 არგუსი 27, 4.
 არესი ლოცვა, 10; 37, 1; 37, 8; 38, 2; 64, სათაური; 64, 4.
 არტემიდა ლოცვა, 7; ლოცვა, შენ.; 1, 14; 1, შენ. 1; 34, 5; 35, სათაური; 35, შენ.; 71, 2.
 ასკლეპიოსი ლოცვა, 37; 66, სათაური; 66, 1.
 ატიისი ლოცვა, 40; პროკლე, 1, 27.
 ატიისი 17, 16.
 ატლანტი ლოცვა, 28.
 ატროპე 58, 20.
 აფროდიტე 45, 4—5; 54, სათაური; 54, 2; 56, 5; პროკლე 2, სათაური; პროკლე 2, შენ.; პროკლე, 5, სათაური; პროკლე, 5, 1; პროკლე 5, 6.
 აქერონი 17, 12.
 Bailly A. პროკლე, შესავალი, შენ.;
 ბაკხუსი ლოცვა, 34; ლოცვა, 47, 23. 4; 23, 14; 28, შენ. 2; 29, 5; 33, 8; 39, 11; 43, 9; 44, 2; 44, 6; 45, 4; 46, სათაური; 46, 1; 46, 7; 47, 2; 48, 1; 49, სათაური; 49, 1; 49, 5; 50, 3; 50, 9; 50, 18; 51, 2; 51, 7; 52, 1; 52, 4; 52, 9; 53, 2; 53, 7; 53, 10; 54, 8; 56, 3; 68, 2; 68, შენ.; 74, 1; პროკლე, 3, 16; პროკლე, 7, 14.
 ბაკხუს-ლიონისე 51, შენ.
 ბარამიძე პროკლე, შესავალი.
 ბორეასი 79, სათაური; 79, 2.

* სახელთა საძიებელი შეადგინეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის უმცროსმა მეცნიერმა თანამშრომლებმა ზაირა ყოლბაიამ და მათა ნახუცრიშვილმა.

პირველი რიცხვი აღნიშნავს გალობის რიგს, მეორე — სტრიქონს. პროკლე დიადოხოსის საგალობლების შესავლიდან და თვით საგალობლებიდან ამოწერილ სახელებს ყველგან მიწერილი აქვს: პროკლე; ხოლო სადაც არ არის მითითებული, იგულისხმება ორფიკული ჰიმნები.

გამსახურდია ზ. პროკლე, I, შენ.

გამყრელიძე თ. პროკლე 1, შენ. გეა 25, სათაური.

გეზენიუსი ვ. პროკლე, I, შენ. Gesenius W. პროკლე, 1, შენ.

გეახარია ვ. 33, შენ.

გიგანტი 31, 16; 33, შენ. პროკლე, 7, 10.

გოგიბერიძე მ. პროკლე, შესავალი, შენ.

Гомер წინასიტყვა, შენ, 1.

გორგონა 31, 9—10.

დემეტრა ლოცვა, 6; 17, 13; 22, შენ. 39, სათაური; 39, 2; 40, შენ.; 41, შენ. 64, 12; 64, შენ.

Деметра პროკლე, 2, შენ.

დეო 22, 6; 22, შენ.; 39, 1; 50, 19; 64, შენ.

Дворецкий И. X. 35, შენ.; პროკლე, 2, შენ.

დიდიმელი 33, 8—9.

დიკე ლოცვა, 25; 42, 2; 61, სათაური; 61, 1; 68, 17.

დიკეოსინე ლოცვა, 14; 62, სათაური; 62, 4.

დიონე ლოცვა, 19.

დიონისე ლოცვა, 8; 29, სათაური; 29, 1; 41, 1; 43, შენ.; 44, სათაური; 44, 1; 45, 1; 47, 2; 52, 2; 56, 3—4; 73, 2; 74, 1; პროკლე, 1; პროკლე, 26; პროკლე, 7, 15; პროკლე, ფრაგ. 1, სათაური.

ეაგრე წინასიტყვა.

Ἐβάστειρα 68, შენ.

ევაზლევისი 17, 13; 28, 9; 41, 2; 71, 3.

Ἐβουλεῖς 26, შენ.

ევენიდეზი 28, 7; 68, სათაური; 69, 1.

ეემოლპოსი ლოცვა, შენ.

ეენომიე 42, 1; 59, 3.

ეესებია ლოცვა, 14.

ეეტერპე 75, 9.

ეფროსინე 59, 4.

ეთერი 4, სათაური; 4, 5; 5, 2; 5, შენ.; 18, 16; 33, 14; 57, 5;

65, 7; 79, 6; პროკლე 1, 6; პროკლე 2, 18; პროკლე 7, 13.

ეილეთითა (ეილითთა) ლოცვა, 13; 1, 10; 1, 14.

ეირენე 14, 13; 42, 2.

Empanda 40, შენ.

ეონი ლოცვა, 28.

ეოსი 77, სათაური; 77, 2.

ეპაფოსი 49, 10; 51, 14.

ერატო 75, 10.

ერიკეპეოსი 5, 5.

Ἐρικεπαῖος 5, შენ.

ეროსი 5, შენ.; 54, 9; 57, სათაური; 57, 1; პროკლე, 2, 3;

პროკლე 2, 10; პროკლე 2, 13.

ეფრემ მცირე პროკლე, შესავალი; პროკლე 2, შენ. 2.

ექო 10, 12.

ვაჟა პროკლე, 1, შენ.

ვეიკფილდი გ. პროკლე, შესავალი.

ზევისი ლოცვა, 3; ლოცვა, 21; 4, 1; 7, 18; 16, 17; 13, 4—5; 16, სათაური; 14, 1; 14, 6; 14, 11;

15, 3; 17, 3; 18, სათაური; 18, 1; 18, შენ.; 19, სათაური; 19, 6;

27, 1; 28, 1; 28, 7; 28, 8; 29, 9;

31, 1; 34, 4; 35, 2; 40, 7; 42, 1; 42, 9; 43, 5; 45, 7; 47, 3; 47, 1; 51, 8; 58, 16; 58, 17; 59, 2;

61, 2; 62, 20; 69, 3; 70, 3; 72, 2; 72, 3; 75, 1; 76, 1; 81, 4;

პროკლე, 3, 2; პროკლე, 6, 3;
პროკლე, 6, 4; პროკლე, 6, 16;
პროკლე, 6, 17; პროკლე, 7, 1.

ზეფირი 80, სათაური.

თალეია 59, 4; 75, 9.
თანატოსი 86, სათაური.
თემილა (თემისი) ლოცვა, 23;
42, 1; 78, სათაური; 78, 1.

იაკხოი 41, 4.
იანოსი პროკლე, 6, სათაური;
პროკლე, 6, 3; პროკლე, 6, 16.
იეროთეოსი პროკლე, შესავა-
ლი.
ივანოვი ვ. ვ. პროკლე 1, შენ.
ინგოროყვა პ. პროკლე, შესა-
ვალი.
ინო ლოცვა, 35.
ისიდა 41, 9; 41, შენ.

კაბეირები ლოცვა, 20.
კადმოსი 43, 1; 43, 12; 46, 2;
73, 1.
კალიმაქე პროკლე, შესავალი.
კალიოპე წინასიტყვა; 23, 15;
75, 11.
Калимах წინასიტყვა, შენიშ-
ვა 1.
კეისნერი კ. წინასიტყვა.
კეკელიძე კ. პროკლე, შესა-
ვალი.
კეკროპიდები პროკლე, 7, 31;
7, შენ. 4.
კეკროფსი პროკლე, 7, შენ. 4.
Керн О. წინასიტყვა.
კეპროდა (კეპროსი) 2,
2—3; 21, 8; 55, 10; 64, 10.
კეპროსი 41, 7.
კითერეია 41, 10; პროკლე, 2,
13.

კიენაძე ზ. პროკლე, 1, შენ.
კლემისია 35, 9.
კლემო 75, 9.
კლოთო 58, 20.
კოიე 34, 2.
კოკიტოსი 56, 1.
კორიზანტი ლოცვა, 20; 37,
20; 38, სათაური; 38, 4.
კრონიოსი 14, 6.
კრონოსი ლოცვა, 26; 3, 10; 12,
სათაური; 12, 5; 12, 6; 13, 7;
26, 15; 43, 5; 47, 1; 70, 3; 83,
1.
კურეტი ლოცვა, 20; 30, სათაური;
30, 1; 30, შენ.; 37, სათაური;
37, 1; 37, 8; 37, 19.

Κυρήνη 38, შენიშვნა.

ლაქესი 58, 20.
ლევკოთეა ლოცვა, 35; 73, სა-
თაური; 73, 1.
ლენაიოსი 51, 2.
Ληναίος 51, შენიშვნა.
ლეტო ლოცვა, 19; 34, სათაური;
34, 1.
ლიბიტინა ლოცვა, შენიშვნა.
ლიკნიტე 45, სათაური, 45, 1.
ლიკორევესი 33, 2.
ლოსევი ა. თ. პროკლე, შესა-
ვალი.
Лосев А. Ф. პროკლე, შესავა-
ლი, შენ.
Lucumones 38, შენ.

მაია 27, 1.
მარი ნ. პროკლე, შესავალი.
მარინუსი პროკლე, შესავალი.
მეგაირა 68, 3.
მელაშვილი ნ. წინასიტყვა.
მელინოე 70, სათაური; 70, 1;
70, 5.
მელიქიშვილი დ. პროკლე,

შესავალი; პროკლე, შესავალი, შენ.
 მელპომენე 75, 10.
 Μῆτις 5, შენ.
 მისე 11, სათაური; 41.3.
 Μισθ 41, შენ.
 მიქაელ მოდრეკილ პროკლე, 1, შენ.
 მნემოსინე ლოცვა, 17; 75, 1; 76, სათაური; 76, 1.
 Μνημοσύνη პროკლე 1, შენ.
 მოირა 54, 6; 58, სათაური; 58, 1; 58, 13; 58, 17; 58, 23; 58, 26; 68, 18; პროკლე, 1, 16.
 მუსეოსი წინასიტყვა; ლოცვა, სათაური; ლოცვა, 1, ლოცვა, შენ.
 ნაისები 53, 7.
 ნემესიდა 60, სათაური; 60, 1.
 ნერეესი 22, სათაური; 22, 4; 23, 1.
 ნერეიდები 23, სათაური.
 ნიკე ლოცვა, 36; 32, სათაური; 32, 1; 32, შენ.
 ნიკომაქე პროკლე, შესავალი.
 ნიქსი 2, სათაური.
 ნოვოსადსკი ნ. ი. წინასიტყვა.
 Новосадский Н. И. წინასიტყვა. შენიშვნა.
 ნომოსი 63, სათაური; 63, 2.
 ნოტოსი 81, სათაური.
 ნუტუბიძე შ. პროკლე, შესავალი, შენ. პროკლე, შესავალი. პროკლე, 2, შენ. 3.
 Нуцубидзе Ш. И. პროკლე, შესავალი.
 ოკეანე ლოცვა, 27; 50, 1; 82, სათაური; 82, 1.
 ონეიროსი 85, სათაური.
 ონომაკრიტოსი წინასიტყვა.

ორფეესი წინასიტყვა; 58, 27; პროკლე, შესავალი.
 Orpheus წინასიტყვა.
 პალასი (პალადა) ლოცვა, 38; 31, 1; პროკლე, 7, 4.
 პალემონი ლოცვა, 35; 74, სათაური; 74, 3.
 პანი ლოცვა, 15; 10, სათაური; 10, 1; 10, 3; 33, 29; 50, 9.
 პატარიძე მ. პროკლე, 1, შენ.
 პაფიე 56, 4.
 პეანი 33, 1; 66, 1.
 პეეონი პროკლე, 1, 24.
 პეითო 9, 16; 54, 10.
 პენტეესი 49, შენ.
 პერსეფონე ლოცვა, 6; 3, 14—15; 28, სათაური; 28, 1; 42, 7; 52, 3; 56, 5.
 Персефона პროკლე, 2, შენ.
 პერსეფონეია 29, 9; 40, 5; 43, 7. იხ. პერსეფონე.
 პერსია ლოცვა, 48.
 პეტრიწი იოანე 33, შენ.; პროკლე, შესავალი. პროკლე, შესავალი, შენ. პროკლე, 7, შენ. 1.
 პითაგორა წინასიტყვა.
 პითონი 33, 5.
 პისისტრატე წინასიტყვა.
 პისტინი ლოცვა, 25.
 Plassmann გ. ო. წინასიტყვა.
 პლატონი წინასიტყვა; ლოცვა, შენ.; პროკლე, შესავალი; პროკლე, 2, შენ. 1.
 პლოტინი პროკლე, 1, შენ. 2.
 პლუტონი 17, სათაური; 17, 5; 17, შენ.; 28, 3; 28, 25; 28, შენ.; 70, 4.
 პლუტოსი 67, 10.
 პონე პროკლე, 7, 44—45; პროკლე, 7, შენ. 1.

პოლიმნია 75, 10.
პოსეიდაონი 16, 1. იხ. პოსეი-
ლონი.
პოსეილონი ლოცვა, 5; 16, სა-
თაური; პროკლე, 7, 31; პროკლე,
7, შენ, 2.
პრიეპოსი 5, 10.
პროთირაია 1, სათაური; 1, 5;
1, 14.
პროკლე წინასიტყვა; პროკლე,
შესავალი; პროკლე, 1, შენ. 2;
პროკლე, 2, შენ. 3; პროკლე, 4,
შენ. 2.
Прокл პროკლე, შესავალი, შენ.,
Proclus პროკლე, შესავალი, შენ.,
პროკლე, 2, შენ.
პრომეთე 12, 8.
პროტეესი 24, სათაური; 24, 1;
24, 7.
პროტოგონოსი 5, სათაური; 5,
1; 5, შენ. 13, 1—2.
ქოზე მარია დე კერედია
პროკლე, 1, შენ.,
რეა ლოცვა, 26; 12, 8; 13, სათაუ-
რი; 13, 1; 13, 8; 13, შენ.; 40,
სათაური; 40, შენ.
Рубцова Н. А. წინასიტყვა, შე-
ნიშვნა 1.
რუსთველი პროკლე, შესავალი;
პროკლე, 1, შენ.
Руставели პროკლე, შესავალი,
შენიშვნა.
საბა 1, შენ.
საბაძიოსი, 47, სათაური; 47, 1.
საბინი 48, შენ.
საბოსი 48, 3.
Σάβως 48, შენ.
სატიროსი 29, შენ. 53, სათა-
ური; 53, 9.

სელენე 8, სათაური; 8, 2.
სემელე ლოცვა, 34; 34, სათაური;
43, 2; 46, შენ.; პროკლე, 7, 16.
სილენოსი 29, შენ.; 53, სათაუ-
რი; 53, 2; 53, 6.
სკალიგერი ი. წინასიტყვა; 27,
შენ.; 40, შენ.; 51, შენ.; 52, შენ.
სოკრატე პროკლე, 1, შენ. 2.
Steiner R. პროკლე, 1, შენ.
სტეფანუსი კ. წინასიტყვა; 27,
შენ.
სტიქსი ლოცვა, 29.
ტარტაროსი 17, 2; 36, 2.
Taylor Th. წინასიტყვა.
ტეთისი ლოცვა, 26; 21, სათაური;
21, 1.
ტერფსიქორე 75, 10.
ტიმბილია ლოცვა, 47; ლოცვა,
შენიშვნა; 71, 5.
ტისიფონე 68, 2.
ტიტანი 7, 2; 33, 4; 35, 2; 36, სა-
თაური; 36, 1; 77, 3; პროკლე,
1, 1; პროკლე, 7, 14.
ტიტიოსი 33, 1; 33, შენ.
ტიქე 71, სათაური; 71, 1.
ტიტიოგენია 31, 16; პროკლე,
7, 4.
ტიტონი 23, 5; 23, 8.
ტრონსკი ი. მ. პროკლე, შესავ-
ალი, შენ.
ურანიე 75, 10.
ურანოსი 3, სათაური.
ურუშაძე ა. წინასიტყვა.
ფანესი 5, 9.
φάουξ 5, შენ.
ფელოსი ლოცვა, 7; 33, 1; 34, 4;
66, 7; 78, 5; პროკლე, 1, 20.
ფერსეფონე 55, 11; 69, 3; 70,
4; 70, 5. იხ. პერსეფონე.

ფერსეფონეია 28, 19; 56, 10.
იხ. პერსეფონე.
ფოგტი გ. წინასიტყვა.
ფოგტი ე. პროკლე, შესავალი.
პროკლე, 2, შენ.
ფორჩელინი 40, შენ.
Forcellini 40, შენ.
ფრიგია 41, 5.
ფრიდლენდერი კ. პროკლე,
შესავალი.
ფსევდო-დიონისიოს არეო-
პაგელი პროკლე, შესავალი.
ფსევდო-ორფეესი პროკლე,
შესავალი.
ქარიტები 59, სათაური; 59, 1.
ქეთელაური აღუდა პროკლე,
1, შენ.
ქრისტე პროკლე, 1, შენ. 1.
ქრონოსი ლოცვა, 29.
ყაუხჩიშვილი თ. პროკლე, შე-
სავალი.
ყაუხჩიშვილი სიმ. პროკლე,
შესავალი. პროკლე, 2, შენ. 2.
შანიძე ა. პროკლე, შესავალი.
შანიძე მ. პროკლე, 1, შენ.
ცერერა 40, შენ.
ზაილერი ფ. წინასიტყვა.
ჯანაშვილი მ. პროკლე, შესავა-
ლი.
პადესი 67, 7.

ჰებე ლოცვა, 13.
ჰეკატე წინასიტყვა; ლოცვა, 45;
1, შენ.; პროკლე, 6, სათაური;
პროკლე, 6, 2; პროკლე, 6, 15;
პროკლე, 7, 9.
ჰელიოსი 7, სათაური; პროკლე,
1, სათაური.
ჰერა ლოცვა, 16; 15, სათაური; 15,
2.
ჰერაკლე ლოცვა, 13; 11, სათაუ-
რი; 11, 1.
ჰერკულესი 11, შენ.
ჰერმანუსი 51, შენ.
ჰერმეია 27, 1.
ჰერმესი ლოცვა, 22; 27, სათაური;
56, სათაური; 56, 3.
ჰესტია 26, 10; 83, სათაური; 83,
1; პროკლე, შესავალი.
ჰეფესტოსი ლოცვა, 10; 65, სა-
თაური; 65, 1; 65, 9; პროკლე 5,
5; პროკლე 7, 11.
ჰიგეია 67, სათაური; 67, შენ. იხ.
ჰიგიეია.
ჰიგიეია 66, 9; 67, 3; 67, შენ.
ჰიპასი 47, 4—5; 48, სათაური;
48, 1.
Ἥρα 47, შენ.
ჰიპნოსი 84, სათაური.
ჰომეროსი წინასიტყვა; 16, შენ.;
40, შენ.; 85, შენ.; პროკლე, შე-
სავალი, შენ.; პროკლე, 3, შენ. 1;
პროკლე 4, შენ. 1.
ჰონიგმანი ე. პროკლე, შესავა-
ლი.
ჰორა 10, 5; 28, 10; 42, სათაური;
42, 1; 42, 4; პროკლე, 1, 14.

შ ი ნ ა ა რ ს ი

ორთიკული საგალობლები	5
პროკლე დიადოხოსი	71
სახელთა საძიებელი	89